

კონსტანტინე კონსტანტინიძე

საქართველოს
რევოლუციური პარტიის



«ნაკადული»-თბილისი-1970

დავით ჩუბინაშვილის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალმხრივ საინტერესოა. იგი იყო პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში. მის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთში ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლების შემოღება.

დ. ჩუბინაშვილის ნაშრომებმა ლექსიკოლოგიაში, გრამატიკაში, მსობლიურ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში.

ახალგაზრდა მკვლევარის კორნელი კინწურაშვილის წიგნი პირველი ცდაა დავით ჩუბინაშვილზე მონოგრაფიის შექმნისა. იგი იმითაა საყურადღებო, რომ უშუალოდ ლენინგრადის არქივებში დაცულ დოკუმენტებს ემყარება და ზოგიერთი საკითხი პირველად გამოაქვს დღის სინათლეზე.

წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდობას და ყველას, ვინც დაინტერესებულია ფართოდ გაიცნოს დეაწლმოსილი მამულიშვილის დამსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე.



ପ୍ରଫୁଲ୍ଲ କୁମାର

წინაპრები, გავრცობისა და სტუდენტობის წლები

ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში ჩუბინაშვილების გვარის მრავალმა წარმომადგენელმა ისახელა თავი. უკანასკნელი ორნახევარი საუკუნის განმავლობაში მათგან ბევრი ნიჭიერი მწიგნობარი, მთარგმნელი, არქეოლოგი და ლექსიკოგრაფი გამოვიდა, რომელთა მემკვიდრეობა თაობებს აცნობდა და აყვარებდა მშობლიურ ენას, მწერლობასა და ისტორიას. ამიტომაც მათი გვარის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიის უკეთ გაგებისათვის. ჩუბინაშვილები მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

დავით ჩუბინაშვილის წინაპრები სამცხის აზნაურები ყოფილან, ერთი მათგანი, გიორგი; მე-18 საუკუნეში ქართლში გადმოსახლებულა, აქ მისთვის ზედმეტ სახელად ჩუბინი შეურქმევიათ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჩუბინი „ესე არს კაცი ისართა, თოფთა, ქვათა უცდენელად ისროდეს“. გადმოცემით გიორგი მართლაც ყოჩალი ვაჟკაცი და კარგი მსროლელი ყოფილა.

ჩვენი წინა თაობები ხომ გვარს ხშირად საკუთარი სახელიდან აწარმოებდნენ. გვიანფეოდალურ ხანაში ასე წარმოიშვა ბევრი ქართული გვარი. გიორგის მემკვიდრე-

ებიც. ტრადიციის თანახმად, ოფიციალურ დოკუმენტებში დიდხანს ვიორგიშვილებად იწოდებოდნენ, მაგრამ როცა მეფის თვითმპყრობელურმა ხელისუფლებამ ჩვენში აზნაურული წარმოშობის გვარების მკაცრი რეგლამენტაცია გადაწყვიტა, ჩუბინაშვილები იძულებულნი გახდნენ დაემტკიცებინათ თავიანთი აზნაურული ჩამომავლობა და ათეული წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომა გაესწორებინათ.

მაგრამ ეს არ იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, მთავარი ის გახლავთ, რომ თითოეული მათგანი „ძალმომრეობისა და ქვეყნის დაწიოკების დროს იჯდა მშვიერმწყურვალი, რიგიან ბინასა და სინათლეს მოკლებული, დიდის მედგრობით, ხასიათის სიმტკიცით, სისტემატურად აკეთებდა მადლიან საქმეს: იკვლევდა, თხზავდა, წერდა მემუარს, კაზმავდა წიგნებს, აგროვებდა უკვე დაბეჭდილებს. კულტურული შრომა ხვედრი იყო მრავლისა და ხშირად გვარიდან გვარზე გადადიოდა, შთამომავლობიდან შთამომავლობაზე მიმდინარეობდა“ (გრ. ყიფშიძე).

საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენისთანავე ჩუბინაშვილები განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენენ მწიგნობრობისადმი, ბეჭდავენ წიგნებს და ზრუნავენ მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის.

ეს ის პერიოდია, როცა შინაფეოდალური ომები საქართველოში უკვე დამთავრდა და ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტელექტუალური ძალები წამყვან როლს ასრულებენ.

ასეთ ვითარებაში სასულიერო და საერო პირები, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ — ერისკაცები საკუთარი თაოსნობით ხსნიან კერძო სკოლებსა და თეატრებს, ზრუნავენ ისტორიული მემკვიდრეობის შესასწავლად და ცდილობენ მოზარდ თაობას სწავლა-განათლებისადმი საყვარული ჩაუნერგონ.

ჩუბინიძედ წოდებული, გიორგის უფროსი ვაჟიშვილი, დავითი ხსნის პირველდაწყებით სკოლას, სადაც სხვებთან ერთად მისი შვილებიც სწავლობენ.

როგორც ნიჭიერი ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი, ნი-

კოლოზ ჩუბინაშვილი შემდეგ იგონებდა, აღნიშნულ სკოლაში წერა-კითხვისა და სიმღერის შესწავლის, წმინდანთა ცხოვრების, საქართველოსა და, საერთოდ, საეკლესიო ისტორიის გაცნობის გარდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც ისწავლებოდაო.

80-იან წლებში მღვდელი დავით ჩუბინიძე თბილისის სამეფო სტამბაში გამოცემულ წიგნებში სასტამბო სამუშაოს გამგედ მოიხსენიება. ასეთ მოღვაწეობაზე მიუთითებს დავითის მიმართვა ერეკლე მეორისადმი, რომელშიც იგი მეფეს სთხოვს, მორიგე ჯარში სავალდებულო სამსახურისაგან გაათავისუფლოს, რომ სტამბაში მუშაობა საშუალებას არ აძლევს ყურადღება მიაქციოს საკუთარ სკოლას.

მართლაც, გაათავისუფლა მეფემ სამხედრო სამსახურისაგან მწიგნობარი მოძღვარი და ყოველგვარი პირობა შეუქმნა, მთელი თავისი უნარი ერის საგანმანათლებლო საქმისათვის მოეხმარებინა.

თუ რა ერთგულად ემსახურებოდა დავით ჩუბინიძე სამეფო ხელისუფლებას, ამას მოწმობს ანტონ II-ის სიგელი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოს-პატრიარქმან, მეფის ძემან ანტონმა, გიბოძეთ წერილი ესე შენ, აზნაურთაგანსა მღვდელსა დავითს რჩეულა ჩუბინიძეს, ესრეთ, რომელ, რადგან შენ სანატრელმან მეფემან ირაკლიმ მიგიღო უმად თვისა და კარისა მისისა სამღვდელთა კრებულთა შორის ჰმსახურე სიბერემდე ყოვლითა უბრალოებითა, ამისათვის აწ ჩვენცა გიბოძეთ სამეფოსავე სასახლისა ნათლისმცემლის ეკლესია, რომელთა აღასრულებდე მას შინა თანამდებობისამებრ შენისა მღვდელ-მოქმედებასა და არა მოგეშალოს პატივი ნამსახურობისა შენისა და ქონებული თქვენგან ღირსება აზნაურისა, ეგრეთვე შემდგომთა შენთა ნათესავთაცა“.

ასეთ მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად დავითმა თავის შვილებს იმ დროისათვის შესაფერისი განათლება მიაღებინა. კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზი იქვე დატოვეს რუსული ენისა და მა-

თემატიკის მასწავლებლად; მან თავი გამოიჩინა მთარგმნელობით მუშაობაშიც, მაგრამ ყველაზე დიდი ნიჭი ქართული ლექსიკონის შედგენაში გამოავლინა.

როგორც პროფ. ალ. ცაგარელი წერდა, ნ. ჩუბინაშვილის საგრამატიკო და სალექსიკოგრაფიო მსჯელობა და შენიშვნები, თუ ყოველთვის ღრმა და სწორი არ არის, ყოველ შემთხვევაში მუდამ მოსწრებულია, მახვილგონიერი, გამოთქმული დალაგებით, მკაფიოდ და ამტკიცებს, რომ მისი ავტორი ქართული ენისა და ქველი მწერლობის ღრმა მცოდნეა.

დავითის მეორე ვაჟიშვილი იესე ქართულ ენას ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იმდროინდელი მკაცრი რეჟიმით შევიწროებულ მოსწავლე-ახალგაზრდობას მისი გამამხნეველელი სიტყვები ძალას ჰმატებდა, ხოლო დარბაისლური საუბარი მსმენელებში ქართული ენისა და მწერლობისადმი განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევდა.

მშობლიური ენის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იესეს მიერ შედგენილ ქართულ გრამატიკას, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის წინადადებით სახელმძღვანელო წიგნად დაუშვეს სასულიერო სასწავლებლებში. ნაშრომის ღირსებებზე ისიც მიუთითებს, რომ 1826 წელს იგი შეორედ გამოიცა მოსკოვში.

1814 წლის 26 სექტემბერს იესე ჩუბინაშვილს ვაჟი შეეძინა, რომელსაც თავისი მამის პატივსაცემად დავითი დაარქვა.

მე-19 საუკუნის 10-იან წლებში საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული დაბადების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი წიგნები და ბავშვის გაჩენა მხოლოდ ეკლესიაში მონათვლით აღინიშნებოდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, როცა დავით ჩუბინაშვილს დაბადების მოწმობა მოსთხოვეს, მას, რა თქმა უნდა, ასეთი ცნობა არ აღმოაჩნდა. დავითის დაბადების თარიღის დასადგენად საქართველოს სინოდა-

ლური კანტორის სელმძღვანელობა იძულებული შეიქნა ნათლობის მონაწილეებისათვის მიემართა.

სიღნაღის მიტროპოლიტმა წერილობით დაადასტურა, რომ დეკანოზ იესე ჩუბინაშვილსა და აზნაურის ასულ ანასტასია ნახუცრიშვილს 1814 წლის 26 სექტემბერს ნამდვილად შეეძინათ ვაჟიშვილი დავითი, რომელიც მონათლა იმავე წლის 8 ოქტომბერს.

ასევე დაადასტურეს დავითის დაბადების თარიღი არქიმანდრიტმა თეოდოსმა და მღვდელთმონაზონმა ინოკენტიმ, რის საფუძველზეც გაიცა დ. ჩუბინაშვილის დაბადების მოწმობა.

უზრუნველად გადიოდა დავითის ბავშვობის წლები. მოსიყვარულე დედ-მამა თავს დასტრიალებდნენ ერთადერთ ვაჟიშვილს. ოჯახს მალე ქალ-ვაჟი შემოემატა და ადვილი გასაგებია, რა დიდ ბედნიერებას განიცდიდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. მაგრამ დავითისა და მისი დამძის მზიან და უღრუბლო ცაზე მოულოდნელად ჩამობნელდა.

1821 წლის 20 აგვისტოს ოჯახის ბურჯი იესე, ორმოცდაერთი წლის ასაკში, გარდაიცვალა. ანასტასიამ ვერ გაუძლო ამ დიდ მწუხარებას და ერთი თვის თავზე ისიც მიწას მიაბარეს.

ობლად დარჩენილ ბავშვებზე მზრუნველობა ნიკოლოზმა იკისრა; მან ძმისწულებს მშობლიური სიტბო არ მოაკლო და მთელი სიცოცხლე მათ აღზრდას შესწირა.

ბუნებით კეთილი და ბავშვებას მოყვარული ნიკოლოზი დავითისა და ევგენიასათვის (იასონი 2 წლისა გარდაიცვალა) არაფერს არ იშურებდა. დაჰყავდა სხვადასხვა სანახაობებზე, უმდიდრებდა გონებას ქართული ზღაპრებითა და ლექსებით. წერა-კითხვაც თვითონ შეასწავლა. სიხარულს ვერ ფარავდა, როცა ძმისწულებს სწორად გამოჰყავდათ ქართული ასოები.

ნ. ჩუბინაშვილის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები. ისინი უმთავრესად ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების საკით-

ხებზე მსჯელობდნენ, საუბრობდნენ ქართულ სიძველე-
ებზე, მწერლობაზე, საქართველოს წარსულსა და მომავალზე.

დავითს უყვარდა ხოლმე უფროსების საინტერესო საუბრის მოსმენა. სტუმრების წასვლის შემდეგ კი შეკითხვებით მოსვენებას არ აძლევდა საყვარელ ბიძას. ასე თანდათანობით ჩაენერგა ბავშვს წიგნისა და ქართული მწერლობის სიყვარული.

ნ. ჩუბინაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაშიც; მან თავი გამოიჩინა ქართული კანონების, კერძოდ, ვახტანგ მეექვსის სამართლის რუსულ ენაზე მთარგმნელი კომისიის საქმიანობაში. კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართული და რუსული ენების ცნობილი სპეციალისტები ი. ჭილაშვილი, მ. ფალავანდიშვილი და პ. ბუკრინსკი, საქართველოს მთავარმართებლის განკარგულებით სამი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა, რათა მეცნიერული სიზუსტით ეთარგმნა ეს მნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტი.

ისე როგორც წინათ, ნიკოლოზი ამ ხანებში დიდი გულისყურით ეკიდებოდა ძველი ქართული მწერლობის საკითხებს. მართალია, ბერძენთა აჯანყების გამო მან ვერ შეძლო ათონის ივერთა მონასტერში ბიბლიის 978 წლის ქართული ხელნაწერიდან ასლის გადაღება, მაგრამ ქართული ხელნაწერების შეგროვება-შესწავლისათვის ზრუნვა ოდნავადაც არ შეუწელებია. განსაკუთრებული ენთუზიაზმით მაინც ლექსიკოლოგიურ მასალებზე მუშაობდა, რადგან ქართული ლექსიკონის შედგენა ჰქონდა განზრახული.

როცა მეფის მთავრობამ საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში ქართული ენის მთარგმნელის შტატი დაუშვა, აღნიშნულ თანამდებობაზე სამუშაოდ ნ. ჩუბინაშვილი მიიწვიეს.

პეტერბურგში გამგზავრებისას მზრუნველმა ბიძამ დავითი და ევგენია თან წაიყვანა. ისინი ერეკლე მეფის ასულ ანასტასიასა და მის ამაღას გაჰყვნენ.

რაგინდ მდიდარიც არ უნდა ყოფილიყო კავკასიონის ბუმბერაზი მთებისა და რუსული შემოდგომის სურათებით გამოწვეული შთაბეჭდილება, ერთი თვის მგზავრობა მაინც დამქანცველი აღმოჩნდა, მაგრამ სატახტო ქალაქში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრამ დავითს დადლილობა დააეიწყო.

იმდროინდელი პეტერბურგი თავისი 420 ათასამდე მცხოვრებით ტიპიური ევროპული ქალაქი იყო. იგი დღითი დღე იზრდებოდა და მშენებდებოდა. მშენებლობის პროცესში მყოფი ისაკის ტაძარი კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებს შლიდა ამ მიმართულებით. გაბატონებული კლასის წარმომადგენლები ბალ-მასკარადებსა და საზეიმო შეხვედრებზე ერთგულებას ეფიცებოდნენ სამეფო ხელისუფლებას. ასე რომ, რუსეთის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ყველაფერში ტონს აძლევდა იმპერიის ქალაქებს.

ერთი შეხედვით, ცხოვრება დედაქალაქში მშვიდობიანად მიდიოდა, მაგრამ სინამდვილეში სწორედ აქ იქმნებოდა და იწრთობოდა ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი.

1825 წლის 14 დეკემბერს სენატის მოედანზე დეკაბრისტების აჯანყებით პეტერბურგისა და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ცარიზმის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეპოქა დაიწყო. დეკაბრისტებმა გამოაფხიზლეს არა მარტო რუსი ხალხი, ბრძოლას სურვილი გაუღვივეს და სამოქმედო პროგრამა დაუსახეს იმპერიაში შემავალ ჩაგრულ ერებსაც.

ბუნებრივია, დეკაბრისტების გამოსვლამ პეტერბურგში მცხოვრებ პატრიოტულად განწყობილ ქართველებში თანაგრძნობა გამოიწვია. აქ სწავლობდნენ მაშინ 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელი ალექსანდრე ორბელიანი, მონაწილეები — ვახტანგ ორბელიანი, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვები; ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ქართველ ბატონიშვილებთან და ცხარედ მსჯელობდნენ საქართველოს ბედზე.

ასეთი ვითარება იყო პეტერბურგში, როცა იქ ჩუბინაშვილები ჩავიდნენ.

ნიკოლოზ ჩუბინაშვილი მალე სააზიო დეპარტამენტში შეუდგა მთარგმნელობით საქმიანობას, ხოლო ძმისწულები სასწავლებლებში მიაბარა. დავითი — დედოფალ ანას სახელობის სკოლაში, ხოლო ევგენია — ერთ-ერთ ქალთა პანსიონში.

ყმაწვილმა ნიჭითა და ბეჭითობით მალე მიიქცია ყურადღება. მას არ აკმაყოფილებდა სკოლის პროგრამა და ბიძის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა. გატაცებით სწავლობდა რუსულ ენას და წერდა მარტივ თხზულებებს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ვაჟთა გიმნაზიაში გატარებული წლები; იგი უკვე თავისუფლად ერკვეოდა რუსეთის ისტორიაში, სასულიერო და საერო მწერლობაში, ზეპირად სწავლობდა ადგილებს ვეფხისტყაოსნიდან, ადგენდა პოემაში ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონს.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა და სწავლობდა. მუდამ დინჯი და აუჩქარებელი დავითი უმაღლეს ცვლებოდა, როცა საქმე ახალ თხზულებას ან გაუგებარ სიტყვას ეხებოდა, მოსვენებას კარგავდა, ვიდრე მის შინაარსს არ ჩასწვდებოდა.

გატაცებით კითხულობდა რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. გიმნაზიაში დიდი მოწონება დაიმსახურა ი. კრილოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილმა მისმა რეფერატმა. პედაგოგები გაკვირვებას ვერ ფარავდნენ ქართველი ჭაბუკის ასეთი ურომისმოყვარეობისა და ნაკითხობის გამო.

დავითის მუყაითობა მხედველობიდან არც თეიმურაზ ბაგრატიონს გამორჩენია; მან გიმნაზიელს მრავალი სასარგებლო რჩევა მისცა და თავისი ბიბლიოთეკით სარგებლობის ნებაც დართო.

თეიმურაზთან ურთიერთობამ დავითის მუშაობა უფრო მიზანსწრაფული გახადა. დამამთავრებელი კლასის მოსწავლე მთელ თავისუფალ დროს საქართველოს ის-

ტორიისა და ქართული ხელნაწერების შესწავლას ანდომებდა; ახლოს ეცნობოდა ქართველი კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას; მეგობრობდა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში მომუშავე ქართული წიგნების მბეჭდავებთან, ზოგჯერ კორექტურის წაკითხვაშიც კი ეხმარებოდა მათ.

დ. ჩუბინაშვილს შეეძლო გიმნაზიის დამთავრებისთანავე გაეგრძელებინა სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ არ მოისურვა. ამ წანებში დავითი ბიძამისის ხელმძღვანელობით რუსულად თარგმნიდა ქართულ იურიდიულ დოკუმენტებს, აგროვებდა მასალებს ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის, სრულყოფდა თავის ცოდნას ფილოსოფიურ დისციპლინებში და განაგრძობდა ლათინური ენის საფუძვლიანად შესწავლას.

საერთოდ, დ. ჩუბინაშვილი საკუთარ თავს მუდამდიდ მოთხოვნილებას უყენებდა. იქნებ ამანაც განაპირობა მისი ასეთი ნაბიჯი. ერთი კი ცნადა, 1835 წელს იგი უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის აღმოსავლური სიტყვიერების პირველი კურსის სტუდენტია.

იმ ხანად პეტერბურგის უნივერსიტეტში გახსნილი იყო მხოლოდ ორი ფაკულტეტი — ფილოსოფიური და იურიდიული, შესაბამისი განყოფილებებითა და განხრებით. მაგალითად, ფილოსოფიური ფაკულტეტი ორ განყოფილებას აერთიანებდა. პირველში შედიოდა ზოგადი და აღმოსავლური სიტყვიერება, მეორეში — მათემატიკური და საბუნებისმეტყველო დისციპლინები.

საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შედეგად დ. ჩუბინაშვილი ფილოსოფიური ფაკულტეტის პირველ განყოფილებაზე ჩაირიცხა, სადაც მთავარ საგნებად ითვლებოდა ზოგადი ღვთისმეტყველება და საეკლესიო ისტორია, არაბული, სპარსული და თურქული ენები, აღმოსავლეთის ისტორია და გეოგრაფია, რუსეთის ისტორია და სიტყვიერება, აღმოსავლური კალიგრაფია, ხოლო დამატებით საგნებად — ვალახურ-მოდღავური ენა, მსოფლიო ისტორია, რუსეთის სამართლის ისტორია და ერთი რო-

მელიძე ევროპული ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ახალი ენა.

შემდგომ წლებში კავკასიელი სტუდენტებისათვის ამავე განყოფილებაზე ძირითად საგნებად შეისწავლებოდა ქართული, სომხური და თათრული ენები, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო-დაწესებულებების, ამიერკავკასიის მხარის ადგილობრივი დადგენილებები და სამოქალაქო და სამართლის კანონები. კავკასიელები თავისუფლდებოდნენ მოლდავური ენის, მსოფლიო და შუა საუკუნეთა ისტორიის, რუსეთის კანონმდებლობისა და ევროპული ენის შესწავლისაგან.

აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილების სტუდენტებს თავიანთი სპეციალური საგნების გარდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის რამდენიმე ზოგადი კურსის შესწავლა ევალებოდათ. მათ შორის რუსეთის ისტორია და სიტყვიერება, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, ახალი ისტორია და სხვ. აღნიშნულ ფაკულტეტზე იმ პერიოდში ლექციებს სახელგანთქმული მეცნიერები კითხულობდნენ და ამიტომ მათ საუბრებს მუდამ ბევრი მსმენელი ჰყავდა. პირველი კურსის სტუდენტს დავით ჩუბინაშვილს განსაკუთრებით უყვარდა პროფესორების—ფიშერის, შულგინის, ფრეიგატისა და პლეტნევის ლექციებზე დასწრება.

ამ ხანებში იგი აქტიურად ებმება კვლევით მუშაობაში და სტუდენტთა წრეში რეფერატს კითხულობს ქართულ საისტორიო მწერლობაზე, მონდომებით სწავლობს აღმოსავლურ ენებს.

უსახსრობის გამო დავითს საშუალება არა ჰქონდა შეეძინა მენინსკის არაბულ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი; ამიტომ დასახელებული ნაშრომიდან ხელით გადაწერა სპარსულ-თურქული ნაწილის ოთხი მოზრდილი ტომი, რითაც ერთხელ კიდევ 'დაამტკიცა ცოდნის შეძენისადმი განსაკუთრებული ინტერესი. სწორედ ამ ძლიერმა ნებისყოფამ და მიზანდასახულობამ შეაძლებინა მას მალე ფართო მეცნიერულ სარბიელზე გამოსულიყო.

პეტერბურგელი ქართველების ცხოვრებისა და, საერ-

თოდ, მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარიზიდან რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში სამუშაოდ მარი ბროსეს მოწვევას.

ვისთვისაც ძვირფასია ქართული კულტურა, იგი არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი ხალხის ამ უანგარო მეგობრის დამსახურებას, რომელიც ძნელბედობის უამს მხარში ამოუდგა ქართველ მოღვაწეთა მცირერიცხოვან ჯგუფს.

მ. ბროსეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა წერილობითი ურთიერთობის დამყარების შემდეგ საშუალება მიეცა პირადად გასცნობოდა თეიმურაზ ბაგრატიონსა და პეტერბურგში მცხოვრებ სხვა ქართველებს. სწორედ აქედან იწყება მისი ურთიერთობა დ. ჩუბინა-შვილთანაც. დავითის მეცნიერულ მიღწევებს კი მაშინ გაეცნო, როცა ამ უკანასკნელმა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი წარუდგინა.

მე-3 კურსის სტუდენტისაგან ამგვარი შრომის თავმოდგმა ადვილი საქმე როდი იყო, თანაც ისეთ პირობებში, როცა ლიტერატურა შეუსწავლელ-გამოუცემელი იყო და წინამორბედებიც ძალზე ცოტა ჰყავდა. მაგრამ მშობლიური ერის სიყვარულით დავითმა ყოველგვარი სიძნელე გადალახა.

რეცენზიის დაწერა მარი ბროსეს დაევალა. 1837 წლის 29 დეკემბერს მეცნიერებათა აკადემიის საჯარო სხდომაზე სწავლული მდივანი პ. ფუსი აღნიშნავდა: რუსეთში 7 ივნისს ჩამოსული ფრანგი სწავლულისათვის მიცემული პირველი დავალება იყო განეხილა ქართულ ენაზე შედგენილი ფრიად სრული ლექსიკონის ხელნაწერი, რომელიც აკადემიას ახალგაზრდა ქართველმა. აჭაური უნივერსიტეტის სტუდენტმა ბ-ნმა დ. ჩუბინოვმა წარმოუდგინაო.

მ. ბროსემ ნაშრომი დიდი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით განიხილა.

რეცენზენტმა სასურველად მიიჩნია ლათინური ენის შეცვლა ფრანგულით (ამ ნაწილის რედაქტორობა თვითონვე იკისრა) და აკადემიის წინაშე იშუამდგომლა ლექსიკონის გამოცემაზე. ამასთანავე ნაშრომს რეკომენდაცია გაუწია დემიდოვის¹ სახელობის პრემიის საძიებლად კონკურსში დასაშვებად.

ამ წარმატებით გახარებულმა დ. ჩუბინაშვილმა ახალგაზრდული ძალები მოსინჯა ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მსგავსი ნაშრომის რუსულად გამოცემის საქმეში. ამ მიზნით შეადგინა საქართველოს გეოგრაფიული ატლასი და ისტორიული რუკები.

დავითი ენთუზიაზმით ასრულებდა კარტოგრაფიულ სამუშაოებს, კარგად ეხერხებოდა მათთვის ფერების შერჩევა. მის მიერ დახატულ ქართლის რუკაზე ვკითხულობთ: „ქარტა ქართლისა ანუ რუკა, რომელიც წილად ხუდა უფლოსს, ძესა მცხეთოსისას და მან უწოდა წილხდომილთა თვისსა ზენა სოფლები ანუ შიდა ქართლი, და შემდგომად მეფისა ფარნავაზისა იქმნა ერთ საერისთაოდ, რომელ აქუნდა სპასალარსა, ხოლო აწ არს სამი სადროშო, რომელიც არს ყვითლის ფერითა; ხოლო ტაშისკარს ზევით წითელ არს; სამცხის წილი ოძრახოსი და სურამალს იქით ნარინჯნი — არს წილი ეგროსისა. და მტკვარს-არაგვს იქით წითელ — არს წილი კახ-კუხოსისა, რომელიც აწ უპყრავს მეფესა ქართლისასა, ნიშანნი ამისნი, ვითარცა სხვა ქარტასა შინა, ეგრეთ იუწყე. დაიხატა 15 ნოემბერს. 1837 დავით ჩუბინოვის მიერ“.

ნაშრომი, რომელიც მ. ბროსეს მიეძღვნა, გამოუქვეყნებელი დარჩა.

ქართული მწერლობისა და საქართველოს წარსულის

1. პავლე ნიკოლოზის ძე დემიდოვი იმ აღამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მეცენატური საქმიანობით სახელი გაითქვეს. ქოლერით დაავადებულთათვის მან აავთო საავადმყოფოები, დადგა პოეტ ბოგდანოვიჩის ძეგლი და საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ავტორებისათვის ფულადი პრემიები დააწესა.

საფუძვლიანი ცოდნა დავითს საშუალებას აძლევდა ამ ზნებში ა. პლიუშარის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის პერიოდულად სტატიებიც დაეწერა, რასაც იგი დიდი ენთუზიაზმით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. რედაქციისათვის გადასაცემად მომზადებულ წერილებში კვლავ შეჭკონდა კორექტივები და უკითხავდა მეგობრებს, მერე მ. ბროსესაც აცნობდა. ასე აქვეყნებდა ენციკლოპედიაში სტატიებს ქართველი მეფეებისა და მთავრების ცხოვრებაზე, ზოგიერთი ქართული გვარის და იურიდიული დოკუმენტების შესახებ. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს წერილები გიორგი II-სა და დავით აღმაშენებელზე. ენციკლოპედიის მე-15 ტომში საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული დადიანების გვარის ისტორიაზე.

დ. ჩუბინაშვილი წერს, რომ ამ გვარს ქართული მატრიანები მე-10 საუკუნემდე იხსენიებენ. მათმა შორეულმა წინაპარმა სამეფო ხელისუფლების ერთგული სამსახურისათვის მიიღო ადგილი დადი, ხოლო რუსუდანის მეფობის დროს ამ ადგილის ერთ-ერთ მფლობელს დიდი მთავრის ტიტულით მემკვიდრეობითს მფლობელობაში გადაეცა სამეგრელოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ დროიდან დადიანები, როგორც საქართველოს მეფეთა ვასალები, ფლობენ მათთვის მიცემულ ოლქებსო.

ერთ-ერთ სტატიაში ახალგაზრდა მკვლევარი ახასიათებს მეფეთა მიერ ეკლესია-მონასტრებისადმი გაცემულ სიგელ-გუჯრებს და მიუთითებს საქართველოს ისტორიისათვის ამ დოკუმენტებისა და წმინდანთა ცხოვრების დიდ მნიშვნელობაზე.

დავითს სხვა წერილებიც ჰქონდა გამზადებული, მაგრამ ცარიზმის პოლიტიკისათვის მიუღებელი მიმართულების გამო პლიუშარის ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა 1841 წელს ასო დ-ზე შეწყდა.

დ. ჩუბინაშვილის სახელოვანი შთამომავალი აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი პაპის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ თავის გამოუქვეყნებელ წერილ-

ში აღნიშნავს, რომ მას დავითის ქალაქებში უნახავს ლექსიკონის შემდეგი ტომებისათვის მომზადებული მასალები, რომელთა შორის ყოფილა რუსუდან მეფის ცხოვრების ამსახველი სტატიაც.

ადვილი მოსალოდნელია, საქართველოს ისტორიული წარსულით ღრმად დაინტერესებულ სტუდენტს სხვა წერილებიც წინასწარვე მოემზადებინა. თუ რა ბედი ეწია დასახელებულ მასალებს, დღესდღეობით უცნობია, ხოლო, რაც შეეხება ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ სტატიებს, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ მათგანს მუყაითობისა და შრომისმოყვარეობის ბეჭედი აწის.

1839 წლის 18 ივლისს, მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისა და სამეცნიერო დარგში მოპოვებული წარმატებისათვის, დავით ჩუბინაშვილს პირველი განყოფილების ნამდვილი სტუდენტის წოდება მიენიჭა.

ნამდვილი სტუდენტის წოდების მიღება რომ ადვილი საქმე არ იყო, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ 1839—1855 წლებში აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილების 73 კურსდამთავრებულიდან აღნიშნული წოდება მხოლოდ 19-მა დაიმსახურა, ხოლო მეცნიერებაში მხოლოდ ორმა—დ. ჩუბინაშვილმა და ვ. ტიზენჰაუზენმა დაიმკვიდრეს ეს სახელი.

1. თავისი პაპის დაბადების 150 წლისთავის გამო აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილს დაუწერია სტატია „პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-ქართველოლოგი დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი“. სტატიაში იგი სინანულით იგონებს: „ბავშვობისა და ყრმობის პერიოდში ბებიაჩემისა და მამაჩემისათვის სპეციალურად არ გამომიკითხავს პაპის ცხოვრების მომენტები, არ ჩამინიშნავს მისი მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობის პირობები, ნაცნობთა წრე, სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობები, სტუდენტებთან და, საერთოდ, პეტერბურგის ქართულ კოლონიასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხში“.

ასეთი თავმდაბლური განცხადების მიუხედავად, აკადემიკოსის წერილში ბევრი საინტერესო ცნობაა დავით ჩუბინაშვილის პატრიოტულ მოღვაწეობაზე.

სწორედ ამ გამოუქვეყნებელი სტატიისა და ზოგიერთი სხვა დოკუმენტით სარგებლობისათვის ბატონ გიორგის უღრმეს მადლობას გოვასხენებ.

უნივერსიტეტის საბჭომ კურსდამთავრებული ქართველი ჭაბუკი საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში ქართული ენის მთარგმნელად გაანაწილა.

პირველი ნაბიჯები

როგორც უკვე ითქვა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში დავითი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გაანაწილეს. მაგრამ ქართული ენის მთარგმნელად მუშაობას იგი მხოლოდ 1840 წლის 13 მაისს შეუდგა. ამის მიზეზი, სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ვიცი, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ამ ხანებში კვლავ ჩვეული მონღოლებით განაგრძობს ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროების, თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა საფუძვლიან შესწავლასა და ლექსიკოლოგიური მასალების შეგროვება-დამუშავებას, თვალყურს ადევნებს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში თავისი ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის ბეჭდვას. კითხულობს კორექტურას და ხშირად უშუალოდ ტექსტის აწყობაშიც მონაწილეობს.

დ. ჩუბინაშვილმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი ცხოვრება მეცნიერებისათვის მიეძღვნა და ფართო პროპაგანდა გაეწია ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი კულტურული მონაპოვრებისათვის. მტკიცე და შეუპოვარი ხასიათის მქონე ახალგაზრდას თავისი მიზნისათვის არასოდეს უღალატია და, თუ როგორ შეასრულა ჩანაფიქრი, ამას მოწმობს მთელი მისი მემკვიდრეობა, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული დავითი მატერიალურად შევიწროებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ნ. ჩუბინაშვილი ამ დროისათვის საქართველოში მოღვაწეობდა და, ბუნებრივია, სათანადოდ ვეღარ ეხმარებოდა ძმისწულს. მაგრამ ძლიერმა ნებისყოფამ და

2. კ. კინწურაშვილი

შრომისმოყვარეობამ დავითს საშუალება მისცა თანდა-
თანობით გაეუმჯობესებინა ცხოვრების პირობები.

სააზიო დეპარტამენტში მას მინდობილი ჰქონდა ქარ-
თველი ბატონიშვილებისა და თავად-აზნაურების მიერ
წარდგენილი სიგელ-გუჯრების კლასიფიკაცია, მათი გა-
დაწერა და რუსულ ენაზე გადათარგმნა.

ჩვენი წარსულის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ამ-
სახველი დოკუმენტების ასლებს იგი მუდამ პირად ბიბ-
ლიოთეკაში ინახავდა და მოხერხებულად იყენებდა მეც-
ნიერული კვლევის დროს. . . ლექსიკოლოგიური თვალსაზ-
რისით ეცნობოდა კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერ-
ლების ნაწარმოებებს, ყველაზე გულმოდგინედ „ვეფხის-
ტყაოსნის“ ლექსიკას სწავლობდა და სიხარულს ვერ ფა-
რავდა, როცა შეგროვილ მასალებს რაიმე ახალს შეჰმა-
ტებდა.

განსაკუთრებით უყვარდა ჩახრუხადის პოეზია, დიდ
პატივს სცემდა არჩილის, დავით გურამიშვილისა და ბე-
სარიონ გაბაშვილის შემოქმედებას. ხშირად მიმართავდა
ქართლის ცხოვრებას, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელია-
ნის, ფარსადან გორგიჯანიძის და ვახუშტის მატიაწეებს.
ლექსიკოლოგიური მასალებისათვის საეკლესიო თხზუ-
ლებებსაც იყენებდა.

ამასთანავე სისტემატურად მეცადინეობდა ბერძნულ,
სპარსულსა და სომხურ ენებში, რადგან ქართული საის-
ტორიო მწერლობისა და საქართველოს წარსულის კვლე-
ვა-ძიებისათვის აღნიშნული ენების ცოდნა აუცილებელ
პირობად მიაჩნდა. ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცა
თეიმურაზ ბატონიშვილთან ახლო ურთიერთობამ, რომე-
ლიც ახალგაზრდა თანამემამულეს ხშირად ესაუბრებოდა
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერუ-
ლი შესწავლის საკითხებზე.

დავითს სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა ისეთ პი-
რობებში მოუხდა, როცა მეცნიერული დისციპლინების
სწრაფ განვითარებას დაღს ასვამდა კვალიფიციური კად-
რების ნაკლებობა. თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ
გარემოებასაც, რომ ცარიზმის ხელისუფლების საგანმა-

ნათლებლო ღონისძიებები უმთავრესად თვითმპყრობე-
ლური პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა, მა-
შინ ნათელი გახდება კვლევა-ძიებისათვის შექმნილი არა-
ჯელსაყრელი პირობები.

მეცნიერული დარგების განვითარებისათვის მთავრო-
ბა თითქმის არავითარ წამახალისებელ ღონისძიებებს არ
ახორციელებდა. ეს განსაკუთრებით რუსეთის იმპერიაში
შემავალი ხალხების კულტურულ მემკვიდრეობაზე ითქ-
მის, რომლის მიმართ მეცნიერული ინტერესი შემთხვე-
ვით ხასიათს ატარებდა და ამა თუ იმ მკვლევარის პირად
მოწადინებაზე უფრო იყო დამოკიდებული.

იმდროინდელ ვითარებას მკაფიოდ ახასიათებს დიდი
ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის სიტყვები:
„თუკი ჩვენი ხალხი ეროვნულად არ გადაგვარდა და
ჩვენმა დედა-ენამ ეგოდენ უმწეო მდგომარეობაში თავი
შეინარჩუნა, თანდათანობით კვლავ მოღონიერდა, პოე-
ტების, მწერლების, დრამატურგებისა და მსახიობთა, თა-
ნაც თითო-ოროლა მეცნიერის თავგამოდებულ და და-
უუცხრომელ პირადი მხნეობის წყალობით. ეკლიანი და
საძნელო იყო მათი გზა, შემაძრწუნებელი იყო მათი
მდგომარეობა... მაგრამ მათმა წმინდა სულისკვეთებამ და
სპეტაკმა, უანგარო მოღვაწეობამ შედარებით უხვი ნაყო-
ფი გამოიღო“.

კვლევა-ძიების საქმეში იმ თითო-ოროლა მეცნიერის
ტონის მიმცემი დავითიც იყო.

სწორედ ამ ხანებში, 1840 წლის 30 ივლისს, მეცნიე-
რებათა აკადემიამ დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილის ქართულ-
რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, რითაც ავტორმა დემი-
დოვის სახელობის პრემიის საძიებელ კონკურსში მონა-
წილეობის უფლება მოიპოვა.

საკონკურსო ნაშრომები წარმოდგენილი იყო ცოდნის
სხვადასხვა სფეროდან — ისტორიიდან, ენათმეცნიერები-
დან, პედაგოგიკიდან, ფიზიკიდან, სამედიცინო და საბუ-
ნებისმეტყველო მეცნიერებებიდან. მათ შორის 16 თხზუ-
ლება თვით საიმპერატორო აკადემიამ განიხილა, დანარ-

ჩენები სხვა აკადემიებსა და საზოგადოებებში შეისწავლეს.

დავითის ლექსიკონის მეცნიერულ ღირსებებსა და პრაქტიკულ დანიშნულებასზე, როგორც ვთქვით, აკადემიას თავისი აზრი ბროსემ მიაწოდა. სახელოვანი ქართველოლოგი სამეცნიერო წრეებში ღრმა პატივისცემით სარგებლობდა და მის ყოველ სიტყვას დიდი წონა ჰქონდა.

სწორედ ამის თაობაზე, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. უვაროვი, 1840 წლის 13 დეკემბერს, ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში აღნიშნავდა, დ. ჩუბინაშვილის შრომა წარმოდგენილია ექსტრა-ორდინარული აკადემიკოსის მ. ბროსეს რეკომენდაციით, აკადემიის ეს ღირსეული წევრი ევროპელ მეცნიერთა შორის ქართული და სომხური ენების საუკეთესო მცოდნეა; რუსეთში ჩამოსვლისთანავე იგი დაუღალავად იღვწის თავისი ახალი მამულის სასარგებლოდ და ჩვენ მოვალენი ვართ, ანგარიში გავუწიოთ მის მიერ წარმოდგენილ რეცენზიასო.

ლექსიკონის საფუძვლიანი განხილვის შემდეგ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რუსეთის სახალხო განათლების მინისტრს სწერდა: „თანამედროვე პირობებში, როცა რუსეთსა' და საქართველოს შორის ურთიერთობა ყოველწლიურად იზრდება და ძლიერდება, დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, იგი კეთილსინდისიერად და ნიჭიერადაა შესრულებული და სავსებით იმსახურებს დემიდოვის სრულ პრემიას.“

კონკურსის შედეგად სრული პრემია დაიმსახურეს პროფესორმა პოგოდინმა, ფორპატის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა იაკობიმ და 26 წლის ქართველმა ჭაბუკმა დავით ჩუბინაშვილმა.

ეს იყო მეცნიერებაში დავითის პირველი სერიოზული გამარჯვება. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა დავითის ყოფილი სტუდენტისა და შემდეგში უახლოესი მეგობრის, პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ გა-

ზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც იგი ამბობს: „მე ვიცი, რომ სამსახურში შესვლის დღეზედ ლექსიკონის პირველი გამოცემის დღე უფრო ძვირფასად მიაჩნია პატივცემულს მუშაკს-მეცნიერს. ამიტომ 30 იელისს დ. ჩუბინაშვილის პატივისმცემელთ სურთ შინაურულად ილღესასწაულონ მისი მოღვაწეობის 50 წლისთავი“.

ახალგაზრდა ქართველი მკვლევარის ამ დიდ წარმატებას გულთბილად გამოეხმაურა აკადემიკოსი შიოგრენი. გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე კედომოსტში“ მან მაღალი შეფასება მისცა სამენოვან ლექსიკონს და სურვილი გამოთქვა დ. ჩუბინაშვილს რუსულ-ქართული ლექსიკონის შექმნით დაეგვირგვინებინა მის მიერ დაწყებული პატრიოტული საქმე.

ნაშრომის შესახებ წერილები გამოაქვეყნეს აგრეთვე სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალმა და გაზეთმა „კავკაზმა“, რომლებიც სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილ სიტყვარებთან შედარებით უპირატესობას დ. ჩუბინაშვილისეულ ლექსიკონს ანიჭებდნენ.

და მართლაც, დავითის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი ლექსიკოლოგიური ლიტერატურის ახალი შენაძენი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომით დ. ჩუბინაშვილმა ქართული ენა ევროპულ მეცნიერთა კვლევის ორბიტაში მოაქცია და ხელი შეუწყო მშობლიური ლიტერატურის განვითარებას.

მართალია. ქართული ენის სიტყვათა კრებულების შედგენაში გარკვეული წვლილი მიუძღვით პაოლინს, ირბახს, ფირალოვს და კლაპროტს. მაგრამ მათი ნაშრომები მხოლოდ 3-4 ათას სიტყვას განმარტავდა, რომ არაფერი ითქვას ცალკეულ შეცდომებზე. იგივე შეიძლება ვთქვათ საახიო დეპარტამენტის ქართული ენის მთარგმნელის ალ. სულხანიშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულ (მეთოდური ხასიათის) ლექსიკონზეც, რომელიც 1839 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა.

ამ მხრივ დ. ჩუბინაშვილის სამენოვანი ლექსიკონი სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელ მოთხოვნილე-

ბას და ავსებდა ათეული წლების მანძილზე ლექსიკოლო-
გიაში არსებულ ნაკლს.

ნაშრომის გამოქვეყნებით დავითმა თავისი ხალხისათ-
ვის ერთბაშად იმდენი გააკეთა, რაც მხოლოდ რჩეულებს
შეუძლიათ, ისიც დიდი გამოცდილების შეძენის შემდეგ,
ხანდაზმულობის ასაკში. სავსებით სამართლიანად წერდა
პროფესორი ვასილ გრიგორიევი, რომ სამენოვანი ლექ-
სიკონი ყველაზე საუკეთესო რეკომენდაცია გამოდგა იმი-
სათვის, რომ დ. ჩუბინაშვილი 1844 წლის ბოლოს უნი-
ვერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლად მიეწვიათ.

პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს გულწრფელად
ახარებდათ ახალგაზრდა თანამემამულის მიღწევები, ამხ-
ნევენდნენ და ხელს უწყობდნენ, რითაც შეეძლოთ.

საინტერესოა სამეგრელოს მთავრის წერილი სერ-
გეი უვაროვისადმი, რომელშიც იგი მაღალ შეფასებას
აძლევს დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულ
ლექსიკონს და შუამდგომლობს, რათა მთავრობამ ორდე-
ნით დააჯილდოვოს „ამ დიდი და თავისი დანიშნულებით
ერთადერთი სრულყოფილი ნაშრომის ავტორი, რომე-
ლიც ლექსიკონის შედგენისათვის არ ზოგავდა თავის ჯან-
მრთელობას“.

ასეთი ყურადღებით გარემოცული დავითი კიდევ
უფრო ბეჯითად განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას და
აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარ კულტურულ-სა-
განმანათლებლო წამოწყებაში. მარი ბროსესთან და ზა-
ქარია ფალავანდიშვილთან ერთად მან დიდი ენერჯია შე-
აღია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის მეორე გამო-
ცემის მომზადებას.

ვახტანგისეული გამოცემიდან საკმაო დრო იყო გასუ-
ლი და ამ შესანიშნავი პოეტური ქმნილების ნაბეჭდი ეგ-
ზემპლარები აღარსად იშოვებოდა. გარდა ამისა, 1712-
წლის გამოცემაში დაშვებული შეცდომები გასწორებას
მოითხოვდა. გასასწორებელი იყო პოემის ხელნაწერებში
დაშვებული გრამატიკულ-ორთოგრაფიული და ზოგიერ-
თი სხვა ხასიათის შეცდომებიც.

ვეფხისტყაოსნის ახალ რედაქციას საფუძვლად უნდა

დადებოდა ვახტანგ VI მიერ დაბეჭდილი პოემის ტექსტი და, როგორც გამომცემლები თავიანთ „პროღრამაში“ წერდნენ, „გარნა - მცირედ განმართული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ძველთა ხელწერილთა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა, და მით მივაახლოებთ ნამდვილსაო“.

სხვადასხვა ხელნაწერებთან პოემის შედარების შემდეგ მათ სურდათ ტექსტისათვის ნანუჩა ციციშვილის ლექსებიც დაერთოთ, მაგრამ ეს აზრი მალე უარყვეს იმიტომ, რომ ნანუჩას ნაწარმოები, ისე როგორც ვეფხისტყაოსნის სხვა მსგავსი გამგრძელებლებისა, დიდად ჩამორჩებოდა რუსთველურ პოეზიას.

საგულისხმოა ისიც, რომ გამომცემლებმა ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანს 50 სტროფი დაუმატეს, გამოავლინეს და გაასწორეს მისი გრამატიკული შეცდომები, ახალ გამოცემაში არ შეიტანეს ვახტანგ VI-ის კომენტარები, რადგან მათ უმრავლესობას 40-იან წლებში უკვე აღარ იზიარებდნენ.

პოემას თან დაერთო მ. ბროსეს წინასიტყვაობა, რომლის დაწერაზე დავითმა ავტორს გულითადი შემწეობა აღმოუჩინა და საკუთრივ დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „მცირე ლექსიკონი“ ვეფხისტყაოსანში არსებული ძნელი გამოთქმებისა და სასაუბრო ენაში ნაკლებად გავრცელებული სიტყვებისა. ვეფხისტყაოსნის წიგნის ბეჭდვის ხელმძღვანელობაც ამ უკანასკნელმა იკისრა.

პოემის ახალი გამოცემის თავფურცელზე ასეთი წარწერაა. „ვეფხისტყაოსანი, რუსულად *Барсова кожа*. პოემა დაწერილია შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭვდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ. ზაქარია ფლავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა, სანკტ-პეტერბურღს, სტანბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა 1841“.

გამოცემა, რომელიც შეიცავს 1637 სტროფს და დაიბეჭდა 1200 ცალად, დიდი პატივისცემით ეძღვნება თეიმურაზ ბაგრატიონს.

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემამ, როგორც ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ს. ყუბანეიშვილი წერს, რუსთველოლოგიაში პროგრესული როლი ითამაშა, მან შეარყია ვახტანგისეული პოემის გამოცემის მოცულობა და დააყენა საკითხი ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

დ. ჩუბინაშვილი შოთას უკვდავ პოემას დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას რომ ანიჭებდა, ეს მაშინაც დადასტურდა, როცა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შედგენილი „ქართული ქრესტომათის“ 1846 წლის გამოცემაშიც ვეფხისტყაოსნის ტექსტი შეიტანა.

განსაკუთრებით საყურადღებოა პოემის 1860 წლის გამოცემა, სადაც დავითი გვევლინება როგორც პოემის შესანიშნავი მცოდნე. რუსთაველისად მიჩნეული და წინა გამოცემაში შეტანილი 50 სტროფიდან მან ახალ ტექსტში მხოლოდ 6 დატოვა. გააერთიანა ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი სათაური. ყოველივე ეს ისე მოფიქრებულად იყო გაკეთებული, რომ პოემის შემდგომი პუბლიკატორები ამგვარ დაყოფას დიდხანს უკრიტიკოდ იზიარებდნენ. საუბრისხმოა ისიც, რომ დ. ჩუბინაშვილის მიერ კრიტიკულად განხილული და გამოცემული პოემის ტექსტზე აღიზარდა ქართული კულტურის მოღვაწეთა მრავალი თაობა.

როგორც ქართული და რუსული ენების კარგი მცოდნე, მალე იგი ქართული ენის მთარგმნელადაც დაინიშნა პეტერბურგში მცხოვრები საქართველოს ყოფილი სამეფო სახლების წევრთათვის. დ. ჩუბინაშვილი მსგავს მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა აგრეთვე საიმპერატორო კანცელარიასთან არსებული ამიერკავკასიის მხარის საქმეთა დროებით განყოფილებაშიც.

ახალ თანამდებობებზე დანიშვნა დავითისათვის მხოლოდ იმით იყო საინტერესო, რომ იგი კიდევ უფრო ახლო გაეცნო ქართველი ბატონიშვილების პირად ბიბლიოთეკებს, ხელნაწერებსა და სხვა მასალებს. სათანადოდ გასინჯა და რუსულად თარგმნა აქტები და სიგელ-გუჯრე-

ბი, ამასთანავე წერილობითი ურთიერთობა დაამყარა სამშობლოში მომუშავე საზოგადო მოღვაწეებთან.

ისე კი სამსახურებრივი მოვალეობა ფართო მეცნიერული კვლევადიებისათვის გასაქანს არ აძლევდა, მაგრამ მასში იმდენად ძლიერი იყო ლექსიკოლოგიური მუშაობისადმი ინტერესი, დასვენებისათვის გამოყოფილ თავისუფალ დროსაც ამ საქმეს ახმარდა.

წარმატებებით გამხნეებულმა მკვლევარმა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა განიზრახა და მთელი თავისი ენერჯია დასახული მიზნის განხორციელებას მოახმარა. ასეთმა მუყაითობამ კარგი შედეგიც გამოიღო.

1843 წლის 24 დეკემბერს სერგეი უვაროვი სტატუს— მდივანს მ. პოზენს სწერს, რომ დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემა, მისი აზრით, ფრიად სასარგებლო იქნებოდა, როგორც ქართველებისათვის, ისე თვით საქმის წარმოებისათვის. შემდეგ იგი მოითხოვს, რომ აღნიშნული შრომა სარეცენზიოდ გადასცენ მეცნიერებათა აკადემიას ან აღმოსავლური ენების ერთ-ერთ აკადემიკოსს, და თუკი ლექსიკონი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება, მაშინ საჭირო იქნება შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე. სახელმწიფო ხარჯზე მისი დაბეჭდვისათვის, რადგან ავტორს მისი გამოცემის არავითარი საშუალება არ გააჩნიაო.

რეცენზიის დაწერა ამჯერადაც აკადემიკოს მ. ბროსეს დაევალა, მან დადებითად შეაფასა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი და მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა თავისი აზრი, რის საფუძველზეც ნაშრომის დაბეჭდვისათვის გამოიყო თანხები. გამოცემის მეთვალყურეობა თვითონ ავტორს დაევალა. მაგრამ კარგად დაწყებული საქმე დიდი ხნის განმავლობაში გაჭიანურდა და წიგნი მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გამოვიდა.

დავით ჩუბინაშვილი და ქართული ენის სწავლება კატეგორიულად

გასული საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი მეცნიერი სისტემატური კვლევა-ძიების ნაცვლად დილექტანტურად აცხადებდა, თითქოს აზიის ხალხებს არასოდეს ჰქონიათ და არც ახლა გააჩნიათ კულტურული წარსული ამ სიტყვის ევროპული გაგებით, და, რომ ევროპელი მკვლევარების მიერ შემუშავებული ისტორიის შესწავლის მეთოდები აღმოსავლეთისათვის მიუღებელია. სხვაზე რომ არაფერი ითქვას, ასეთ მცდარ აზრს იცავდა თავის დროზე ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი, როგორც იყო ფრ. შლოსერი თავის „მე-18 საუკუნის ისტორიის“ შესავალში.

მაგრამ ამ ქვეყნებში მოწყობილმა სხვადასხვა ექსპედიციებმა და მეცნიერულმა დაკვირვებებმა, მწერლობისა და მატერიალური კულტურის დრმად შესწავლამ მცდარ მოსაზრებებს ძალა დაუკარგა და კვლევა-ძიების საქმე ახალ საფეხურზე აიყვანა.

რუსეთში ორიენტალისტიკის სწრაფი ტემპით განვითარება პრაქტიკულმა აუცილებლობამ განაპირობა, რადგან მეფის მთავრობის თვითმპყრობელური პოლიტიკა აღმოსავლეთში მოითხოვდა აღნიშნული ხალხების ენის, ისტორიისა და ყოფაცხოვრების დრმად შესწავლას.

უმალეს ხელისუფლებას მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ხალხების განათლების ბედი რომ არ აწუხებდა, ამაზე აშკარად მიუთითებს პეტერბურგის სააზიო ინსტიტუტის წესდების პროექტი. სასწავლო დაწესებულებას, ჰირველყოვლისა, უნდა მოემზადებინა აღმოსავლური ენების თეორიულად და პრაქტიკულად მცოდნე ახალგაზრდები სხვადასხვა სამინისტროებში სამსახურისათვის, მერე კი მოთხოვნილებისდა მიხედვით ეზრუნა შემოერთებული ხალხების განათლებაზე.

პროექტის ავტორები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სპარსეთის მიერ დაბრუნებულ პროვინციებში სიმშვიდისათვის, აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის მმართვე-

ლობის გაადვილებისათვის, სასურველია მთავარ საზოგადოებრივ თანამდებობებზე ამ ქვეყნებში გავრცელებული ენების კარგად მცოდნე რუსები ინიშნებოდნენ, რომლებიც თავიანთ ძირითად მოვალეობასთან ერთად საჭირო ცნობებს შეაგროვებენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, შეისწავლიან მათ გეოგრაფიას, ისტორიასა და სტატისტიკას.

ასეთი „მზრუნველობით“ იყვნენ გარემოცული მეფის რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ხალხები, როცა აღმოსავლეთმცოდნეობა, როგორც სპეციალური დისციპლინა, საუნივერსიტეტო წესდებით, 1804 წელს სასწავლო პროგრამაში შეიტანეს. თბილისში, ყაზანსა და ირკუტსკში აღმოსავლურ ენათა კლასები უნდა გახსნილიყო, მაგრამ იმპერიაში არ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული პედაგოგიური კადრები და მთავრობა იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო.

აღმოსავლური ენების ინტენსიური შესწავლის საქმე მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში აზიის ხალხთა ისტორიისა და სიტყვიერებისათვის ორდინალური აკადემიკოსის ორი საშტატო ერთეული დაუშვეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისეთმა სამეცნიერო საზოგადოებებმა, როგორიც იყო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული, ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და გეოლოგიის საზოგადოებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ადგილობრივი სამეცნიერო ძალების გამოვლენას.

უკვე 20-იანი წლების ბოლოს მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტების აღმოსავლურ ენათა კათედრებზე, სააზიო დეპარტამენტის აღმოსავლურ ინსტიტუტსა და საჯარო ბიბლიოთეკაში მომუშავე მკვლევართა სახით რუსეთს აღმოსავლეთმცოდნეობის სხვადასხვა დარგებში მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ძალები გააჩნდა.

სწორედ ასეთ პირობებში წარმოიშვა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა სრული კლასების გახსნის იდეა, რომელმაც მთავრობაში სათანადო მხარდაჭერა ვერ პოვა.

მისი ავტორები, აკადემიკოსი ქ. ფრენი, შარშუა და სენკოვსკი მოითხოვდნენ კავკასიური, მუსულმანური და ჩინური ენების შესწავლას ამ ქვეყნების გეოგრაფიულ და ისტორიულ დისციპლინებთან ერთად.

რამდენიმე წლის შემდეგ მინისტრთა კომიტეტში დაახლოებით ასეთივე წინადადება შეიტანა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრმა კ. ლივენმა. იგი მთავრობას უსაბუთებდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა განსაკუთრებული განყოფილების აუცილებლობას და მოითხოვდა გახსნილიყო ქართულ-სომხური, მაჰმადიანური ენების (არაბული, სპარსული, თურქულ-სპარსული) და მონღოლურ-ყალმუხური კლასები.

პროექტი განსახილველად მინისტრთა კომიტეტიდან სახელმწიფო საბჭოში გადავიდა, მაგრამ შემდგომი მსვლელობა არ მისცემია, რადგან იგი 1835 წელს ახალმა საუნივერსიტეტო წესდებამ შეცვალა.

ქართულმა ენამ და, საერთოდ, ქართველოლოგიამ თუ დიდხანს ოფიციალური მმართველობის ყურადღება ვერ დაიმსახურა, ეს უმთავრესად კვალიფიციურ სპეციალისტთა სიმცირით უნდა აიხსნას.

ასეთ ვითარებაში ზოგიერთი არამკითხე მკვლევარი, იმის ნაცვლად, რომ წყაროები ღრმად შეესწავლა და გამოეყენებინა, რუსეთის პერიოდულ პრესაში ღვარძლიანად აკრიტიკებდა ქართულ მწერლობასა და საქართველოს ისტორიას. ცხადია, ასეთი ცილისმწამებლური გამოხდომები დიდხანს ამუხრუჭებდა ჩვენი კულტურის განვითარების საქმეს.

ქართული ენის სწავლება პეტერბურგში შედარებით ხელსაყრელ პირობებში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მარი ბროსე მოიწვია სამუშაოდ პარიზიდან. ენთუზიასტმა მკვლევარმა თავისი ძალები იქითკენ წარმართა, რომ ქართული ენა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში შესულიყო.

მისი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ის იყო, რომ 1839 წლის 6 სექტემბრიდან საკუთარი ინიციატივით საჯარო ლექციებს ატარებს რუსეთის სატახტო ქალაქში მცხოვ-

რები ქართველი ახალგაზრდობისათვის. ცოტახნის მერე კი სახალხო განათლების მინისტრს მიმართავს თხოვნით, ნება დართოს, ამიერკავკასიელი სტუდენტებისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის სპეციალური კურსი ჩაატაროს.

ორი სემესტრის მანძილზე მ. ბროსემ 29 ლექცია წაიკითხა და მსმენელებს გააცნო ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები.

კიდევ უფრო დიდი წარმატებები იყო მოსალოდნელი, მაგრამ ბროსე საჯარო ბიბლიოთეკაში გადაიყვანეს და დაწყებული კარგი საქმე დროებით შენელდა. აუცილებლობა კი მის განახლებას მოითხოვდა, რადგან დიდი იყო ახალგაზრდობის ლტოლვა მშობლიური მწერლობის შესწავლისადმი.

სწორედ აქ გამოვლინდა დავით ჩუბინაშვილის ნიჭი და უნარი. ახალგაზრდა მეცნიერი სათავეში ჩაუდგა ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის სწავლების საქმეს უნივერსიტეტში.

ფილოსოფიის ფაკულტეტის აღმოსავლურ განყოფილებაზე ქართული ენის სწავლების შემოღებით ასრულდა პეტერბურგელი ქართველოლოგებისა და ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ხნის ოცნება.

ამიერიდან ქართულმა ენამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში. ქართული კულტურის ეს გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა.

უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის განვითარება აღმავლობის გზას დაადგა. განათლების სხივი შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მეტი ყურადღება დაეთმო ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების შესწავლასა და კლასიკური მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემას, სკოლებში მშობლიური ენის სწავლება შემოიღეს, ჩატარდა მოსამზადებელი ღონისძიებები მუდმივი ქართული თეატრალური დასის შექმნისა და ქართული ჟურნალის დაარსებისათვის.

ყველაფერი ეს კეთილ გავლენას ახდენდა ჩვენი ხალხის სულიერ კულტურაზე, ალაფრთოვანებდა და ძალას ჰმატებდა მას უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ასეთი ფართო მასშტაბებით დაწყებულმა საგანმანათლებლო საქმიანობამ, ეჭვს გარეშეა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაშიც.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ამ დიდ წამოწყებებში აქტიურად მონაწილეობდნენ პეტერბურგელი ქართველოლოგები, რომელთა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები ტონს აძლევდა თანამემამულეთა კულტურულ მიღწევებს, ეხმარებოდა მათ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

ქართული სიძველეების შესწავლაზე კვლავ დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი და სხვა სწავლულები. ისინი სიტყვითა და საქმით ხელს უწყობდნენ სამშობლოში მომუშავე მკვლევარებს, აქვეყნებდნენ და სამშობლოში აგზავნიდნენ თავიანთ ნაშრომებს.

დავით ჩუბინაშვილმა წინადადება მიიღო კავკასიის ოლქის გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული გრამატიკა და საკითხავი წიგნი შეედგინა. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა სწავლულის მიერ შედგენილმა სახელმძღვანელოებმა იმ დროისათვის სათანადო წვლილი შეიტანა ქართული ენის სწავლების საქმეში.

საუნივერსიტეტო სწავლებაც კარგად მიდიოდა. დავითმა პირველი ღღეებიდანვე გულწრფელი პატივისცემა დაიმსახურა მსმენელებში. მის ლექციებში იგრძნობოდა მშობელი ერის დიდი სიყვარული და იმის ღრმა რწმენა, რომ ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა ხელს უწყობდა ქართველი ხალხის კულტურულ წინსვლას. იგი მუდამ საკადრის პასუხს აძლევდა საქართველოს ისტორიული წარსულის მოხალისე კრიტიკოსებს, ამასთანავე ყოველთვის მზად იყო ელიარებინა სხვების დამსახურება ამა თუ იმ მეცნი-

ერული დისციპლინის თუ კონკრეტული საკითხის განვითარება-გადაწყვეტაში.

მასწავლებლის საუბრებს ახალგაზრდები ყურადღებით ისმენდნენ და სათანადო ჩანაწერებსაც აკეთებდნენ. მაგრამ სახელმძღვანელოს უქონლობა, ცხადია, დაღს ასვამდა სწავლების ხარისხს.

ამ ხანებში დ. ჩუბინაშვილი ფაკულტეტის დეკანს პროფ. ნ. უსტრილოვს უდგენს იმ წიგნების სიას, რომელთა შექმნა აუცილებელი იყო ქართული ენის სწავლებისათვის. დასახელებულ ლიტერატურაში ჩამოთვლილია შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, მ. ბროსეს ქართული ენის გრამატიკა, დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, გაიოზის ქართული გრამატიკა, ჩახრუხაძისა და შავთელის თხზულებები, ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული სასაუბრო.

ნაბეჭდი წიგნების გარდა მას მიზანშეწონილად მიუჩნევია ხელნაწერებად დაცული ნაწარმოების გამოყენებაც, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნესიკრუისა“, ამირანდარეჯანიანი, წმინდანთა ცხოვრება, ვახტანგის სამართალი და სხვ.

ეს იყო აუცილებლობით გამოწვეული დროებითი ღონისძიება და იგი საქმეს ვერ უშველიდა. საჭირო გახდა ახალი გზების ძიება. ასეთ გზად დავითს ლიტერატურული ტექსტებისა და წყაროების მეცნიერულად გამოკვლევა და მათი გამოცემა მიაჩნდა.

სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ თითქმის არავითარი მემკვიდრეობა არ არსებობდა.

მშობლიური ხალხის სიყვარულმა დ. ჩუბინაშვილს ძალა შეჰპაატა ამ პატრიოტული საქმის შესრულებაში.

ახლა, როცა თვალს ვადევნებთ რუსეთის სატახტო ქალაქში მყოფი ქართველების ცხოვრებას, ადვილი წარმოსადგენია ის ხელისშემშლელი დაბრკოლებები, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარს უნდა გადაელახა. ამის გამო მის გადაწყვეტილებას ზოგიერთი უნდობლად შეხვ-

და; მაგრამ დავითს არც ეს აწინებდა, პირიქით სკეპტიკოსების გასაგონად იგი ხშირად იმეორებდა ხოლმე ფილოსოფოსის ცნობილ სიტყვებს: „ვისაც გზის მცირეოდენი უსწორმასწორობა ჰქანცავს, ვისაც მცირეოდენი წინააღმდეგობისაგან თავგზა ებნევა, ის, დაე, ნუ ივლის, ნუ იფიქრებს, დაწვეს ლოგინში და დახუჭოს თვალე-ბიო“.

დავითმა თავიდანვე სწორი გეზით წარმართა მუშაობა. წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით იგი სისტემატურად ავსებდა ქართული ქრესტომათიისათვის განკუთვნილ მასალებს. მომავალი წიგნისათვის არჩევდა როგორც დაბეჭდილ თხზულებებს, ისე ხელნაწერის სახით დაცულ ნაწარმოებებს.

ბატონიშვილების ბიბლიოთეკებსა და ნაცნობ-მეგობართა ოჯახებში შემონახული ხელნაწერების, სიგელგუჯრების, ქართული ანდაზების, იგავ-არაკების, წმინდანთა ცხოვრებისა და სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტების ერთმანეთთან შედარების შედეგად დიდძალი მასალა დაუგროვდა. საჭირო გახდა მათი გადაწერა და სათანადოდ შერჩევა. ქრესტომათიაში შესულ ნაწარმოებს აღმზრდელობითი დანიშნულება უნდა ჰქონოდა და ქართული მწერლობისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის გაზრდილი ინტერესი დაეკმაყოფილებინა.

1845 წლის ბოლოს ქართული ქრესტომათიის შედგენა უკვე დამთავრდა. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საბჭო მიუთითებდა, აღნიშნული ნაშრომით ქართული ენის სწავლებაში დიდი ხნის წინანდელი მოთხოვნილება დაკმაყოფილდა და ავტორი მთავრობის ჯილდოს იმსახურებსო. დავითმა ხელნაწერი მეცნიერებათა აკადემიის სტამბას გადასცა და წიგნის ბეჭდვაზე მეთვალყურეობაც მანვე იკისრა.

40-იან წლებში დავითმა მონაწილეობა მიიღო მიხეილ ბარათაშვილის «Нумизматические факты грузинского царства»-ს ქართულად გამოცემაში, საქმეს ისიც ართულებდა, რომ ქართულ ენაზე არათუ ნუმისმატიკური ტერმინები, საერთოდ, ტექნიკური ტერმინოლოგიაც

თითქმის არ არსებობდა. მაგრამ პატრიოტი მკვლევარი სიძნელეს არ შეუშინდა, წიგნი თარგმნა და გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობა გაუწია.

ასეთი შრომატევადი საქმის პარალელურად ახალგაზრდა მკვლევარმა დაბეჭდა თეიმურაზ ბაგრატიონის ფრანგულ მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ქრისტიანობის მიღებამდე. აღნიშნულ ნაშრომს გამომცემელმა დაუროთო ცნობები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე და ქართულთა მიერ იერუსალიმსა და ათონზე აგებული მონასტრების შესახებ. შეადგინა სააზიო მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერების და წიგნების კატალოგი. ამასთანავე დაულალავად იღვწოდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისათვის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ლექსიკონის ავტორისათვის დემიდოვის სრული პრემიის მინიჭება დიდი სტიმულის მიმცემი გახდა.

დ. ჩუბინაშვილმა წარმატებით განახორციელა აკადემიკოს შიოგრენის სურვილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისა. ისარგებლა საუკეთესო წყაროებით. უმთავრესად რეივის, ულიანოვისა და სოკოლოვის ლექსიკონებით, შეაგროვა და ქართულად განმარტა 53 ათასამდე სიტყვა. ნაშრომი სახელმწიფო ხარჯზე დაიბეჭდა. ხოლო დავითი მეორედ ჩაება აკადემიის მიერ გამოცხადებულ პავლე დემიდოვის სახელობის პრემიის საძიებელ კონკურსში.

მეცნიერთა ამ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობდა 34 ავტორი, რომელთაგან სრული პრემია მხოლოდ ხუთს მიენიჭა. მათ შორის დავით ჩუბინაშვილიც იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისმა მეცნიერულმა დამსახურებამ ნამდვილი აღიარება პოვა.

ამ ხანებში ორ ნაწილად დაიბეჭდა ქართული ქრისტომათია. სიყვარულითა და გულმოდგინეობით შედგენილ ნაშრომში იმდენად ძვირფასი ნაწარმოებები იყო მოთავსებული ქართული კლასიკური მწერლობიდან, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით,

თბილისის გიმნაზიის წარჩინებულ მოსწავლეებს ჯილდოდ ქართული ქრესტომათია ეძლეოდათ.

1847 წლის 27 სექტემბერს დ. ჩუბინაშვილი უნივერსიტეტის რექტორს პეტრე პლეტნევს ქართული ქრესტომათიის (46,5 თაბახის მოცულობით) ბეჭდვის მთლიანად დამთავრებას აცუობინებს და აქვე აღნიშნავს, რომ მას აუცილებლად მიაჩნია, ქრესტომათიის ტექსტს თან დაერთოს ფილოლოგიური შენიშვნები და ვახტანგ VI-ის კანონთა თარგმანი; ხოლო, რადგან ამისათვის 20 ნაბეჭდი ფორმა იყო საჭირო, ხარჯების გაღებას თვითონვე კისრულობდა. ამავე წერილში დავითი ჩამოთვლის თავის ნაშრომებს და რექტორს შუამდგომლობას სთხოვს უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე, რათა მას ადიუნქტის¹ წოდება მიანიჭონ.

უნივერსიტეტის საბჭომ გაითვალისწინა დ. ჩუბინაშვილის მეცნიერული დამსახურება და თავის ათი ნომბრის სხდომაზე, 19 ხმით ერთის წინააღმდეგ, იგი ქართული ენის ადიუნქტად აირჩია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იმ ხანებში არ მიიღო.

აღმოსავლური ენების მოსწავლეებს ადიუნქტის წოდება სწავლების ხარისხით ენიჭებოდა და, რადგან საუნივერსიტეტო კურსი არცერთ ამიერკავკასიელ სტუდენტს არ დაუმთავრებია. ამიტომ შეუსაბამო იქნებოდა ზემდგომ ორგანოებში გვეშუამდგომლა მისთვის ადიუნქტის წოდების მინიჭებაო, — წერდა ოლქის მზრუნველი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დ. ჩუბინაშვილის მიმართ მაინც დაუშვეს გამონაკლისი და 1848 წლის 17 სექტემბერს იგი ადიუნქტად დაამტკიცეს.

1. ადიუნქტი ლათინური სატყუაა და ნიშნავს თანაშემწეს. ასე უწოდებდნენ სწავლულს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტებსა და მეცნიერებათა აკადემიაში უმცროს სამეცნიერო თანამდებობაზე იყო, ამასთანავე იგი პროფესორის ან აკადემიკოსის თანაშემწედ ითვლებოდა, უნივერსიტეტებში ადიუნქტის წოდება 1863 წლის წესდებამდე არსებობდა.

ამ წელს უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა დავითის ცხოვრებაში. მან ცოლად შეირთო პეტრე სერგოვსკის ასული ეკატერინე, ხოლო 29 ნოემბერს ვაჟიშვილიც შეეძინა, რომელსაც, საყვარელი ბიძის ხსოვნის აღსანიშნავად, ნიკოლოზი დაარქვა.¹

მემკვიდრის შეძენამ დიდი სიხარული შეიტანა დავითის ოჯახში. ამას თან ერთოდა მეუღლის გულგახსნილობა და კეთილი ხასიათი; აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი წერს, რომ ეკატერინეს იმ დროისათვის კარგი განათლება მიუღია, იგი თავისუფლად ფლობდა ფრანგულ ენას, იცოდა გერმანულიც. ჩინებულად უკრავდა და მოგვიანებით ორ-სამი, საფორტეპიანო პიესაც კი შეუთხზავს.

50-იან წლებში დ. ჩუბინაშვილმა ვასილის კუნძულზე მოზრდილი სახლი იყიდა და ლექციების წასაკითხად უნივერსიტეტში ხშირად ცხენზე ამხედრებული დადიოდა. მთელ თავისუფალ დროს იგი აკადემიასთან არსებული სააზიო ინსტიტუტის ქართული ხელნაწერების დაწვრილებით აღწერას ანდომებდა.

ქართული, სომხური და თათრული ენების პეტერბურგელ ლექტორთა საქმიანობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაფართოვდა, რაც მიიღეს დებულება „კავკასიელებისა და ამიერკავკასიელი აღსაზრდელების შესახებ“.

დებულების თანახმად რუსეთის სატახტო ქალაქის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება შემოიღეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ამიერკავკასიელი სტუდენტების რიცხვი; ამიერიდან კავკა-

1. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ ნ. ჩუბინაშვილის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბიძისა და ძმისწულს შორის ურთიერთობა გამწვავდა. 1838-40 წლებში ნიკოლოზი ცოტა ხანს მართლაც იყო გაჯავრებული დავითზე, რადგან დ. ჩუბინაშვილის მიერ დემიდოვის სახელობის პრემიის საძიებლად წარდგენილი ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი მისი და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონების უბრალო კომპილაცია ეგონა. მაგრამ როცა ნიკოლოზმა დაბეჭდილი ლექსიკონი აღნიშნულ ნაშრომებს შეადარა, როგორც გიორგი ჩუბინაშვილი წერს, „უკმაყოფილებამ და დროებითმა გულცივობამ გაუარა“. ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პეტერბურგში დაბრუნებული ნიკოლოზი ძმისწულთან ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა 1847 წელს.

სიის სასწავლო ოლქი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში ხუთის ნაცვლად ყოველწლიურად 20 ახალგაზრდას აგზავნიდა. მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, თუ უნივერსიტეტის რომელ ფაკულტეტზე ჩაირიცხებოდა ამიერკავკასიელი სტუდენტი, თვითველ მათგანს ევალებოდა დამატებით შეესწავლა ქარაული და თათრული, ხოლო სომხებს ზემოთდასახელებული ენების გარდა — სომხური ენაც.

უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების შემოღება პრაქტიკული მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი, ლექციების კითხვა აქაც დავით ჩუბინაშვილს შესთავაზეს.

გზათა საინჟინროს, სამთო, ხე-ტყის და ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში, აგრეთვე სამხატვრო აკადემიაში. სამართლისმცოდნეობის, სამშენებლო, კომერციულ სასწავლებლებსა და სხვაგან ამიერკავკასიელ ახალგაზრდებს იგი თითქმის 20 წლის განმავლობაში უკითხავდა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიას უძველესი დროიდან მე-18 საუკუნემდე. ამასთან დაკავშირებით საგანგებო სასწავლო კურსიც კი შეიმუშავა.

სამწუხაროდ, აღნიშნული ლექციების ტექსტების ძიება მომავლის საქმედ რჩება. 90-იან წლებში კი მათ არსებობაზე მიუთითებდა დავითის პირველი ბიოგრაფი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელი ჟურნალ „მწყემსის“ 1892 წლის მეორე ნომერში წერდა: „განსვენებულის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა სიგელ-გუჯრებიც. არის იშვიათი ხელნაწერებიც. მაგალითად, თეიმურაზ ბატონიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება, თავადაზნაურთა ჩამომავლობის ისტორიის მასალა, სიები ძველი წიგნებისა... განსვენებულის საკუთარ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა ცალკე შენიშვნები, ლექციები, მოკლე გამოკვლევანი, რომელნიც შეიძლება დაიბეჭდოს, თუ საზოგადოებას ხარჯი არ გაუჭირდებაო“. მომდევნო ხანებში თავისი პაპის ბიბლიოთეკაში გიორგი ჩუბინაშვილსაც უნა-

ხავს დიდი მოცულობის ხელნაწერები, რომლებსაც სხვადასხვა ჩანართები და მინაწერები ჰქონია.

„ეს იყო ალბათ პაპაჩემის ლექციები ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, — წერს აკად. გ. ჩუბინაშვილი. ამ ხელნაწერებით მე პირველად გავეცანი როგორც საქართველოს წარსულს, ისე ძველ ქართველ მწერლებს, მათი ნაწარმოებების მთარგმნელებსა და გადამწერლებს.“

ფაქტების თანმიმდევრულ გადმოცემასთან ერთად ლექციები შეიცავდა ქრონიკების შედარებებს სხვა ისტორიულ მასალებთან, ზოგ ადგილას ვრცელი კრიტიკული ექსკურსებითა და საკითხების დასმით. ლექციებში ვახტანგ გორგასლის მეფობის ქრონოლოგიზაციასთან ერთად ნისი გარდაცვალების თარიღად 537 წელი ყოფილა მიჩნეული.

დასახელებული ლექციების მეცნეურული ღირებულება, რა თქმა უნდა, ამჟამად ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის კვლევის თანამედროვე დონეს ვერ უპასუხებდა, მაგრამ მათზე თუ მაინც ვმსჯელობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექციების კურსი ერთგვარ ეტაპად უნდა ჩაითვალოს ქართული ენისა და მწერლობის სისტემატიური სწავლების ისტორიაში.

დავითის მსმენელებმა გამოცდებზე კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს. რისთვისაც კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობამ ქართული ენის მასწავლებელს მადლობა გამოუხატა, და ამის შესახებ სახალხო განათლების მინისტრს აცნობა.

მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტის ადიუნქტი, კოლეჟსკი ასესორი დ. ჩუბინაშვილი, რომელსაც სანკტ-პეტერბურგის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობა უკავია, მუდამ გამოირჩევა დაკისრებული მოვალეობის მიმართ განსაკუთრებული გულმოდგინებით, ამასთანავე იგი მივლინებული იყო ქართლის, იმერეთისა და გურიის თავადაზნაურული წარმოშობის

გვარების დამდგენ დროებით კომისიაში, ისტორიულ აქტებსა და სხვა დოკუმენტებში ქართული გვარების შემოწმება-თარგმნისათვის, და ეს დავალებაც წარმატებით შეასრულაო.

ასეთ ოფიციალურ მიწერ-მოწერას დავითი მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მისთვის მთავარი იყო, რაც შეიძლება მეტი ცოდნა გადაეცა ახალგაზრდობისათვის, რომ ისინი მშრომელი ხალხის სამსახურში ჩამდგარიყვნენ.

ამ მხრივ საინტერესოა 1851-52 სასწავლო წელს ამიერკავკასიელი მხარის სტუდენტებისათვის განკუთვნილი პროგრამა.

პირველკურსელები სწავლობდნენ ქართული ასოების შესატყვისი ბგერების სწორად წარმოთქმას, არსებითი სახელწოდებებს, წესიერი და არაწესიერი ზმნების წარმოებასა და უღლებას, ზედსართავს. სასვენ ნიშნებს, ქართულ ლექსთწყობასა და სხვა გრამატიკულ წესებს.

ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნაში ვარჯიშისათვის იყენებდნენ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნესიკრუისას“, ამირანდარეჯანიანს, ვისრამიანსა და ქილილა და დამანას ნაწყვეტებს.

თარგმნის პროცესში დ. ჩუბინაშვილი მწერლების ცხოვრებისა და ცალკეული სიტყვების ისტორიულ-ფილოლოგიური განხილვის გარდა, განმარტავდა სიტყვების გადატანით მნიშვნელობას, საჭირო შემთხვევაში იშველიებდა სინონიმებს და აჩვენებდა, როგორც ერთმანეთთან მათ მსგავსებას, ისე ზოგიერთი სიტყვის უცხოურ წარმოშობას.

მეორეკურსელები ქართულ ენაზე თარგმნიდნენ ნაწყვეტებს ტიმოთეს ნაშრომიდან „მიმოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა“, რომელშიც იმ ხანებში პლატონ იოსელიანი დაბეჭდა თბილისში. სწავლობდნენ იერუსალიმისა და ათონის ქართველთა მონასტრების საგანმანათლებლო მუშაობას, ვახტანგ VI-ის ქართლის ცხოვრებასა და ქართველი წმინდა მამების.

მოღვაწეობას. რუსული ენიდან ქართულად თარგმნაში ვარჯიშობდნენ ტაპკეს მიერ გამოცემული კარამზინის შემოკლებული ისტორიის მეორე ნაწილით.

დავითი მოკლედ მიმოიხილავდა ქართული მწერლობის ისტორიას, ახასიათებდა მეექვსე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საუკუნეთა საუკეთესო ნაწარმოებებს, ცალკე ლექციას უძღვნიდა ქართულ ენაზე საღმრთო წიგნების თარგმნის საკითხს, განმარტავდა გვიანდელი პერიოდის სასულაერო თხზულებებს, ანტონ კათალიკოსისა და არქიმანდრიტ გაიოზის შრომებს.

ახალგაზრდობის ინტერესი დ. ჩუბინაშვილის ლექციებისადმი იმით იყო განპირობებული, რომ იგი ყოველწლიურად სრულყოფდა ლექციების ხარისხს, მის შინაარსსა და გადასაცემი მასალების - საკითხთა წრეს.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ 1851-52 და 1852-53 აკადემიურ წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროგრამები.

წინა აკადემიურ წელთან შედარებით 1852 წელს ქართული ენის სწავლებაში დავითი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნაცვალსახელს, დროისა და ზმნის წარმოებას, წინდებულებსა და მართლწერის საკითხებს. რუსულიდან ქართულ ენაზე სათარგმნელად პროგრამაში დამატებით შეაქვეს გუროს მიერ გამოცემული საკითხავი წიგნის ნაწყვეტები, რომლებიც რუსულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნისათვის იყო გათვალისწინებული. ხშირად მიმართავს მის მიერვე დაბეჭდილი ქართული ქრესტომათიის პირველ ნაწილს, მასში მოთავსებულ ნაწარმოებთა თარგმნის დროს ყურადღებას უთმობს სინონიმებისა და ფილოლოგიური შენიშვნების საფუძვლიან ცოდნას. რადგან ლექციებს ხშირად არაქართველი კავკასიელი სტუდენტებიც ისმენდნენ. იგი პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებს ქართულ ენაში.

მეორე კურსზე გათვალისწინებული იყო საქართველოს ისტორიული წყაროების თარგმნა და საეკლესიო წიგნების კითხვა, რომლის დროსაც დ. ჩუბინაშვილი მსმენელებს გადასცემდა ბუცური დამწერლობის გრამა-

ტიკულ თავისებურებებს. პრაქტიკული მეცადინეობა მთლიანად ქართულ ენაზე საუბარს, რუსული ტექსტების თარგმნასა და „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ადგილების ზეპირად შესწავლას ეთმობოდა.

მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის, რა თქმა უნდა, უფრო რთული პროგრამა იყო შედგენილი. მესამე კურსის მსმენელები პრაქტიკულ მეცადინეობაზე იყენებდნენ ქართული ქრესტონათიის მეორე ნაწილს და სწავლობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიას.

დავითი ლექციებს კითხულობდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ისტორიული შეხედულება ქართულ დამწერლობაზე, ქართული დამწერლობის ნათესაური კავშირები, მხედრული ანბანის მსგავსება ძველ სპარსულ დამწერლობასთან, ხუცური ანბანის მსგავსება სომხურთან და კოპტურთან, მხედრული და ხუცური ანბანების მსგავსება, ქართული ენისათვის უცხო ასოების შემოსვლა ქართულ დამწერლობაში, არაბულ-სპარსული ენის გავლენა ხალხის სასაუბრო ენასა და პოეზიაზე.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსში განხილული იყო ახალი აღთქმის თარგმნა მეექვსე საუკუნეში, ქართული ბიბლია, მე-9-12 საუკუნეთა სასულიერო მწერლობა, ათონის მთაზე ქართველთა სავანის დაარსება, ამის შესახებ ქართველი, რუსი და ევროპელი მოგზაურების ცნობები, აღორძინების ხანის საერო მწერლობა, მე-13-14 საუკუნეებში ქართული ლიტერატურის დაცემა, მომდევნო ოთხი საუკუნის სასულიერო მწერლობა, ბეჭდვის საქმე მე-17-18 საუკუნეების საქართველოში, 1789-1798 წლებში მოსკოვში დაბეჭდილი ქართული წიგნები, ამას გარდა, სპეციალური ლექცია ეძღვნებოდა უახლესი ლიტერატურის მიმოხილვას.

დამამთავრებელი განყოფილების სტუდენტები სწავლობდნენ ქართული მწერლობის განვითარების გზას, ვახტანგ VI-ის, ვახუშტი ბატონიშვილის, პაპუნა ორბელიანისა და სეხნია ჩხეიძის მატრიანეებს, ფარსადან გორგიჯანიძის, ომან დივანბეგისა და სხვათა ისტორიულ თხზულებებს.

დავითი თავის ლექციებში განიხილავდა ქართული პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებებს, მაღალ შეფასებას აძლევდა შ. რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძისა და ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებას. სტუდენტებს აცნობდა ამირანდარეჯანიანის, ვისრამიანის, რუსუდანიანის, ყარამანიანის და სხვა ნაწარმოებთა საუკეთესო ადგილებს. პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდა ვახტანგ VI-ის სამართლისა და დიპლომატიური აქტების განსახილველად.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დ. ჩუბინაშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ კვლევით მუშაობას აგრძელებს. ამ ხანებში აკადემიის დავალებით მან შეკრიბა და ცალკე წიგნად გამოსცა ისტორიული კრებული, რომელშიც შეტანილია ვახუშტის საქართველოს ისტორია. უცნობი ავტორის თხზულება, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ფარსადან გორგიჯანიძის მატიანეები, აქვეა მოთხრობილი ერეკლე მეორის ცხოვრება.

წიგნს საქართველოს ისტორიის წყაროებსა და ქართულ საისტორიო თხზულებებზე დავითმა ვრცელი წერილი წაუძღვარა. თუმცა ნაშრომი ერთ ტომად დაიბეჭდა, მაგრამ როგორც ერთი იმდროინდელი მიმომხილველი მოსწრებულად წერდა, „შიგ მთელი საისტორიო წიგნთსაცავია მოთავსებული.“

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტმა 1854 წლის 25 იანვარს უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე იშუამდგომლა, რათა დ. ჩუბინაშვილს ექსტრაორდინარული პროფესორის წოდება მიანიჭებოდა.

უნივერსიტეტის საბჭომ და სასწავლო ოლქის მზრუნველმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, მაგრამ განათლების მინისტრმა არ დაამტკიცა იგი იმ მოტივით, რომ აღნიშნულ წოდებას დავითს აღმოსავლურ ენათა განყოფილების ფაკულტეტად გადაკეთების დროს მიანიჭებდა.

მე-19 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების პერსპექტივებმა დღის წესრიგში დააყენა რუსეთში ერთიანი სამეცნიერო-პედა-

გოგური ცენტრის შექმნა. ორიენტალისტიკის ძლიერ-
კერას დიდი ხნის მანძილზე ყაზანის უნივერსიტეტი წარ-
მოადგენდა, მაგრამ საუკეთესო ძალები იმპერიის სხვა-
დასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადავიდნენ და აღ-
მოსავლური ენების მეცნიერული შესწავლის საქმე აქ
თანდათანობით გაუარესდა.

ჯერ კიდევ 1845 წელს პეტერბურგის სასწავლო ოლ-
ქის მზრუნველის თანამდებობაზე ენერგიული და კარგი-
ორგანიზატორული ნიჭის მქონე მიხეილ ნიკოლოზის ძე
მუსინ-პუშკინის დანიშვნით აღმოსავლეთმცოდნეობის
მეცნიერული შტაბის შექმნაში ახალი ეტაპი დაიწყო.

განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში
მ. მუსინ-პუშკინი მიუთითებდა, რომ პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტში აღმოსავლური ენების სწავლება სრულია-
დაც ვერ აღწევს მიზანს, ე. ი. ვერ ხერხდება აღმოსავლუ-
რი ენების, ისტორიისა და ლიტერატურის საფუძვლიანი
და ღრმა შესწავლა. ამიტომ წინადადებას იძლეოდა უნი-
ვერსიტეტის ღირსებისა და საკუთრივ მეცნიერების სარ-
გებლობისათვის გარდაქმნილიყო აღმოსავლური განყო-
ფილება და იქ სწავლება სხვაგვარი, უფრო გაფართოე-
ბული სახით წარმართულიყო.

სასწავლო ოლქის მზრუნველი მომდევნო წლებში
ამავე აზრს ავითარებდა, მაგრამ თანხების უქონლობისა
და ზოგიერთ საკითხებში განათლების მინისტრის შეზღუ-
დული უფლებების გამო აღმოსავლური ენების სწავლე-
ბასა და მეცნიერულ კვლევა-ძიებაში დიდხანს თითქმის
არაფერი შეცვლილა.

აღმოსავლური ენებისა და ქვეყნების შესწავლის გაზ-
რდილი მოთხოვნილება მეფის მთავრობას ახალი ამოცა-
ნების წინაშე აყენებდა.

მნიშვნელობა არა აქვს, აღნიშნული საგანი პოლიტი-
კური, ადმინისტრაციული თუ სამეცნიერო თვალსაზრი-
სით იქნება განხილული,—წერდა 1854 წლის 8 თებერ-
ვალს განათლების მინისტრი აბრამ ნოროვი მთავრო-
ბას. — ყოველ შემთხვევაში იგი სპეციალურ შესწავლას.

საჭიროებს და ჩვენ ამ მხრივაც უნდა გავასწოროთ ევროპის მეცნიერებსა.

ა. ნოროვმა, კაზემ-ბეკის სიტყვით, შექმნა „ახალი აზრი“, როცა ხელმწიფეს აღმოსავლური განყოფილების ნამდვილ საუნივერსიტეტო ფაკულტეტად გადაკეთების აუცილებლობაზე მოხსენება წარუდგინა.

უმაღლესი ხელისუფლებისათვის ეს „ახალი აზრი“ უკვე მისაღები გახდა და პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დაარსების ორგანიზაცია თვითონ განათლების მინისტრს დაევალა.

იმავე წლის 28 აპრილს ა. ნოროვის თავმჯდომარეობით შეიქმნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დამფუძნებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ სასწავლო ოლქის მზრუნველი მ. მუსინ-პუშკინი, სახალხო განათლების დეპარტამენტის დირექტორი პ. გაეესკი, უნივერსიტეტის რექტორი პ. პლეტნევი, სააზიო დეპარტამენტის აღმოსავლურ ენათა განყოფილების გამგე პ. დემეზონი, უნივერსიტეტის ორდინარული პროფ. ა. კაზემ-ბეკი და ა. მუსლინსკი, საქმის წარმოებისათვის კი პროფ. ა. ნიკიტენკო.

მაისში გაიმართა ორი სხდომა, რომლებიც მომავალი ფაკულტეტის სტრუქტურის, სწავლების მიმართულების, შესასწავლ ენათა რაოდენობის განსაზღვრისა და სხვა პრაქტიკული საკითხების განხილვას დაეთმო.

მუსინ-პუშკინის წინადადებით ფაკულტეტზე ორი განყოფილება უნდა გახსნილიყო. პირველ განყოფილებაზე სტუდენტებს უნდა შეესწავლათ სისხლისა და სამოქალაქო სამართალი, პოლიტიკური ეკონომია, საერთაშორისო სამართალი და ფრანგული ენა, ხოლო მეორე განყოფილებაზე შემოდებული იქნებოდა ფილოსოფიურ სისტემათა ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, რუსული სიტყვიერება და ფრანგული ენა.

გარდა ამისა, პროექტის ავტორებმა სასწავლო პროგრამაში თითქმის ყველა ის საგანი შეიტანეს, რომელიც სააზიო ინსტიტუტის პროექტში იყო გათვალისწინებული, ე. ი. არაბული, სპარსული, თურქული, მონღოლურ-

ყალმუხური, ჩინური, მანჯურული, ქართული, სომხური და ახალი ბერძნული. დაემატა მხოლოდ ებრაული ენა. ფაკულტეტზე 5 ორდინარული და 4 ექსტრაორდინარული პროფესორი იქნებოდა.

სხვათა შორის, წარმოდგენილი პროექტით, ქართულ, სომხურ, მანჯურულ და ებრაულ ენებს ექსტრაორდინარული პროფესორი უნდა ჰყოლოდათ.

1854 წლის 5 აგვისტოს კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩერნიშოვი პეტერბურგში განათლების მინისტრს სწერდა, რომ რუსეთის ხელისუფლების ქვეშ მყოფი მონღოლური და ყალმუხური მოსახლეობა, როგორც რიცხოვრივად, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, შეუქლებელია შევადაროთ ქართველებსა და სომხებს, რომლებსაც მდიდარი ლიტერატურა გააჩნიათ, და რომ ამჟამად საგრძნობლად შეიმჩნევა ამ ხალხების განსაკუთრებული ზრუნვა მშობლიური ენის შესწავლის საქმისადმი.

კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს სასურველად მიაჩნდა ქართულსა და სომხურ ენებს ახლადგახსნილ ფაკულტეტზე ჰყოლოდათ ორდინარული პროფესორები, მაგრამ მხედველობაში იღებდა თანხების ნაკლებობას და ამიტომ განათლების მინისტრს სთხოვდა, სათანადო სახსრების გამოყოფამდე აღნიშნული ენების მასწავლებლები ექსტრაორდინარულ პროფესორებად დაემტკიცებინა.

ფაკულტეტის დამფუძნებელმა კომიტეტმა თავისი საქმიანობა კიდევ უფრო გაშალა მას შემდეგ, რაც სენატმა ოფიციალურად მიიღო ბრძანებულება პეტერბურგში აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერული ცენტრის შექმნის თაობაზე. გაზაფხულზე მოსამზადებელი მუშაობა ახალ ფაზაში შევიდა.

1855 წლის 4 მაისს შედგა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის მომწყობი კომისიის სხდომა, რომელსაც დამფუძნებელი კომიტეტის წევრების გარდა ესწრებოდნენ მონღოლური ენის პროფესორი ა. პოპოვი, ადიუნტები: დ. ჩუბინაშვილი, ნ. ბეროევი და ლ. ბუდაგოვი.

სხდომაზე მოისმინეს 22 ოქტომბრის სენატის ბრძანებულება აღმოსავლური განყოფილების აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტად გარდაქმნის შესახებ. აგრეთვე ამასთან დაკავშირებით განათლების მინისტრის წინადადებები და განკარგულებები სასწავლო ოლქის მზრუნველსადმი, ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წინადადება მისცა ა. მირზა კაზემ-ბეკს, ა. მუზლინსკის, შეიხ აიად ტანტავის, ა. პოპოვის, დ. ჩუბინაშვილს, ნ. ბეროვესა და ლ. ბუდაგოვს შეედგინათ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შესაბამისი დისციპლინების სწავლების პროგრამა ოთხწლიანი კურსის გათვალისწინებით.

აქვე ცნობილი გახდა, რომ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი ოთხ შთავარ განხრად იყოფოდა, მათ შორის არაბულ-სპარსულ-თურქულ-თათრულ. მონღოლურ-ყალმუხურ-მანჯურულ, ჩინურ-მანჯურულ-ებრაულ-არაბულ განხრებად.

ქართული ენა სავალდებულოდ კვლავც მხოლოდ ამიერკავკასიელი სტუდენტებისათვის იყო გამოცხადებული. კომიტეტის წევრმა კაზემ-ბეკმა, რომელიც ამ დროს მომავალი ფაკულტეტის დეკანადაც იყო დანიშნული, სხდომის მსვლელობისას ქართული ენის კათედრის უნაყოფობის დამტკიცებასცადა.

დარბაზში მყოფმა დავით ჩუბინაშვილმა ადვლევებისაგან სიტყვის აღებას არ დაჟეჯდა და იქვე საკადრისი პასუხი გასცა ქართული ენის აუგად მანსენებელს. მერე კი კომიტეტის წევრებს საფუძვლიანად გააცნო ქართული ხალხის ისტორიული წარსული და კულტურული მონაპოვრები.

ყოველივე ეს ისე კარგად და ეფექტურად გააკეთა, რომ მუსინ-პუშკინმა ხელი ჩამოართვა და უთხრა „მიყვარს, როცა ასე თავგანწირვით იცავენ თავის სპეციალობას, მშობლიურ ენასა და ლიტერატურასო.“

აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის მომწყობი კომისიის უკანასკნელი სხდომა 13 აგვისტოს ჩატარდა. მას წინა შეკრებისაგან განსხვავებით უფრო

მეტი წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის დავით ჩუბინაშვილიც.

სხდომაზე მოისმინეს რექტორის წარდგინება სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის მოწყობის შესახებ. მერე განიხილეს სწავლების პროექტის მიმართ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, რის შედეგადაც საბოლოოდ გადაწყდა აღმოსავლური ფაკულტეტი ოთხის ნაცვლად ხუთ მთავარ განხრად გაყოფილიყო.

ზემოთ დასახელებულ განხრებს დაემატა ქართულ-სომხურ-თათრული განყოფილება.

ეს იყო არა მარტო დავითის პირადი გამარჯვება, არამედ ქართული საგანმანათლებლო საქმის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი. ამიერიდან ქართული ენა საფაკულტეტო საგნიდან საუნივერსიტეტო დისციპლინად იქცა და მისი შესწავლა აღმოსავლური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სავალდებულოდ გამოცხადდა.

აგვისტოში დ. ჩუბინაშვილს ექსტრაორდინარული პროფესორის წოდება მიანიჭეს..

ფაკულტეტი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1855 წლის 27 აგვისტოს, დღის თორმეტ საათზე, ზუსტად იმ დღესა და საათზე, როცა სევასტოპოლის შტურმი დაიწყო და დასაბამი მიეცა აღმოსავლეთის საკითხებში რუსეთის აქტიურ მონაწილეობას. ამ დღეს უნივერსიტეტში მოვიდა აღმოსავლური სიტყვიერების ბევრი მოყვარული. გახსნას იქაური ქართველებიც დაესწრნენ.

ამ გამარჯვებით გამხნეებული დავითი უფრო მეტი ხალისით განაგრძობს ქართული გრამატიკის ბეჭდვას, რომლის შედგენას თორმეტი წლის შრომა დასჭირდა. კრიტიკულად სწავლობს საქართველოს მეფეებისა და მთავრების კანონმდებლობებს, ამავე დროს ლექციებსაც კითხულობს პეტერბურგის ყველა იმ სასწავლო დაწესებულებაში, სადაც ამიერკავკასიელები სწავლობდნენ. მალე იგი მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მოსკოვში მიემგზავრება სპარსულ-საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში დაცული ქართული სიგელების შესასწავლად. ამ

მივილინების დროს მის მიერ მიკვლეული 85 სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტი მ. ბროსემ 1861 წელს შეიტანა წიგნში „ქართველი მეფეების მიმოწერა რუსეთის ხელმწიფეებთან.“

პეტერბურგში დაბრუნებული დ. ჩუბინაშვილი ვეფხისტყაოსნის გამოცემის საკითხებით არის დაკავებული, უნივერსიტეტის სტუდენტებს აცნობს შოთას უკვდავ პოემას, ფილოლოგიური თვალსაზრისით იკვლევს ქართველი ხალხის ცხოვრებას მე-11-12 საუკუნეებში. ადგენს უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში არსებული ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგს, აკადემიის სტამბაში ბეჭდავს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს. აქტიურად მონაწილეობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც.

ამ დროს, და შემდეგაც, რვა წლის განმავლობაში, სახაფხულო არდადაგებზე, ასრულებს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას. უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკან ა. ბეკეტოვთან და არქიტექტორ ი. გორნოსტაევთან ერთად ხელმძღვანელობს ბოტანიკური აუდიტორიის ფლიგელის მშენებლობას.

აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებასთან ერთად ქართული ენა, ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ევროპელი მკვლევარების შესწავლის საგნად იქცა. დავითის ქართველოლოგიური ნაშრომები მათ დაუფასებელ სამსახურს უწევს.

ამ მხრივ საინტერესოა 60-იანი წლების დასასრულს, გერმანულ ჟურნალში გამოქვეყნებული, ქართული ქრესტომათიისათვის მიძღვნილი ლაიპციგელი პროფესორ ბროკჰაუზის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა და მისივე პირადი წერილი დ. ჩუბინაშვილთან.

რეცენზიაში გერმანელი მკვლევარი ახასიათებს ქართველ ხალხს, რომელსაც მდიდარი ისტორიული წარსული და მწერლობა გააჩნია.

მისი აზრით, ქართული პოეზიის ოქროს ხანას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. მკვლევარი მა-

ლალ შეფასებას აძლევს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის დამსახურებას ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევა-ძიების საქმეში.

დასასრულს იგი წერს, რომ ქართველებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთმანეთთან დაკავშირებაში და მათი საშუალებით აღმოსავლეთის ბევრი რომანტიული მოთხრობა გავრცელდა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში. ეს კულტურულ-ისტორიული მოვლენა ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი.

აღნიშნულ წერილს მკითხველებში ისე დიდი ინტერესი გამოუწვევია, რომ ბროკჰაუზი იძულებული გამხდარა გერმანიის სააზიო საზოგადოების ჟურნალში გამო-საქვეყნებლად ქართულ ქრესტომათიაში შესულ ნაწარმოებებზე უფრო დაწვრილებითი ცნობები ეთხოვა წიგნის გამომცემლისათვის.

გაზრდილი მოთხოვნილება ჩვენი წარსულის შესწავლაზე დავითს ახალი ამოცანების წინაშე აყენებდა.

1862 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის წლიური ანგარიშისათვის წარსადგენ მასალებში ვკითხულობთ, რომ პროფესორი დ. ჩუბინაშვილი მუშაობს ქართული ლიტერატურის ისტორიის შედგენაზე. რომელსაც დაერთვის ქართული ქრესტომათია, გამოსაცემად ამზადებს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, რომელშიც აისახება ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრება, წოდებრივი ელემენტები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ისტორიულ პროცესს, გლეხთა საკუთრების ფორმებსა და სხვა საკითხებს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ლიტერატურული ძეგლები ევროპაში ჯერ კიდევ სრულიად უცნობია, ამიტომ დ. ჩუბინაშვილის მიერ მომზადებული ამ ქვეყნის ლიტერატურის ისტორია მეცნიერებისათვის დიდი მონაპოვარი იქნებაო, — წერდა საიმპერატორო აკადემიის ჟურნალი.

ასეთივე აზრს ავითარებენ პროფესორები ვ. ვასილი-

ევი და კ. პატკანოვი დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ რეცენზიაში, რომელიც 70-იან წლებში უნივერსიტეტის საბჭოზე წაიკითხეს.

ისინი წერდნენ, რომ დავითს მომზადებული აქვს ქართული ლიტერატურის ისტორია, სადაც დაწვრილებით განიხილება ქართული ენის კილოების შედარებითი გრამატიკა. იგი მზადაა და გამოიცემა მას შემდეგ, როცა ავტორი ადგილზე გაეცნობა ენის სხვადასხვა კილოებს. აქვე ლაპარაკია გამოსაცემად უკვე გამზადებული ქართველი ხალხის ყოფითი ცხოვრების ისტორიაზე, რომელიც, რეცენზენტების სიტყვით, „ფრიად საჭიროა არა მარტო ხალხის პოლიტიკური ისტორიისათვის, არამედ მსოფლიო ინსტიტუტისა და განსაკუთრებით, ახალი საკანონმდებლო სამუშაოებისათვის, სადაც შეიძლება ხაზი გაესვას წინა კოდექსებში ადათობრივი სამართლიდან გამოტოვებულ ბევრ დებულებას.“

სამწუხაროდ, დ. ჩუბინაშვილის ზემოთდასახელებულ ნაშრომებს დღის სინათლე არ უნახავთ. ისე კი მათი არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს; ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ორი დოკუმენტი.

1869 წლის 6 ნოემბერს დავითი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს მიმართავს: „დასაბეჭდად მოვამზადე ქართული კილოების შედარებითი ლექსიკონი რუსულ და ფრანგულ ენებზე თარგმანითურთ, აგრეთვე ქართული ენის კილოების შედარებითი გრამატიკა. გადავწყვიტე, ჩემი ნაშრომები ქართული კილოებით გავამდიდრო და ამიტომ გთხოვთ, ამიერკავკასიისა და თურქეთის საქართველოში (ტრაპეზუნტის საფაშო) მიმავლინოთ.“

ცოტა მოგვიანებით კი გაზეთ „დროებაში“ ვასილ მაჩაბელი წერდა: „ამ დღეებში ჩვენი პატივცემული მოღვაწე დავით იესეს ძე ჩუბინოვი დაბრუნდა საზღვარგარეთიდან. იგი ორნაირ სარგებლობას უპირებს ჩვენს ლიტერატურას. პირველი, რომ წერს საქართველოს შინაგანი ცხოვრების ისტორიას (ხაზი ჩემია—კ. კ.) და ამზადებს დასაბეჭდად ახალს, უფრო ვრცლად შევსებულ ლექსიკონს. მადლობა და პატივი მას, ვინც თავის შეძლებისა-

მებრ შრომას არ ზოგავს მამულისათვის და რომლის გულშიაც ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში დაუვიწყარია თავისი მშობელი ქვეყანა“.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება დიდ სიძნელეებს წააწყდა.

ეს იყო წინასწარ მოფიქრებული გადაწყვეტილება, რომელსაც 1863 წლის საუნივერსიტეტო წესდებამ წერტილი დაუსვა. თუმცა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე მასწავლებელთა საშტატო ერთეული 16-დან 21-მდე გაიზარდა, მაგრამ ამით საქმეს მაინც არ ეშველა, აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ხარჯზე ქართული და სომხური ენების კათედრები გააერთიანეს და მას პროფესორისა და დოცენტის შტატი დაუტოვეს. გაერთიანებულ კათედრას სათავეში დავითი ჩაუდგა.

როგორც ქართულ-სომხური კათედრის ხელმძღვანელი, იგი არაერთხელ აღნიშნავდა ამ ორი სხვადასხვა დისციპლინის ერთ კათედრაში გაერთიანების უსაფუძვლობას და მიუთითებდა სწავლების ხარისხის უარყოფით შედეგებზე. ამასთანავე ყოველ შესაძლო შემთხვევას მოხერხებულად იყენებდა, მაგრამ სასურველი შედეგი არ ჩანდა.

შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფი ქართული ენა მეტ ყურადღებას მოითხოვდა, საჭირო გახდა ლექციების კურსის დახვეწა და იმ ძირითადი მეცნიერული მიღწევების პროპაგანდა, რომელიც უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იქნა მოპოვებული.

ამ მხრივ საინტერესოა დავითის მიერ 1863-65 წლებში წაკითხული ლექციების კურსი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქართველი ხალხის პოლიტიკური ისტორიის შესავალი, ფილოლოგიური დაკვირვებები ქართული ენის შემადგენლობაზე, სამ ეპოქად დაყოფილი ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული საკანონმდებლო წყაროების მიმოხილვა, ქართული სამეფო წყობილების სტრუქტურა და სხვა.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი კანონის მიხედვით 25 წლის პედაგოგიური მოღვაწეობა პროფესორისათვის საკმარისი იყო, რათა მუდმივი პენსია დანიშნოდა. დავითმა კი მაინც არ დაანება სამსახურს თავი, რადგან ქართული ენის სწავლება ხელმძღვანელის გარეშე რჩებოდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ამ პერიოდში ქართული კულტურის მიმართ კიდევ ერთი შემზღუდავი ღონისძიება გატარდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება გაუქმდა, თითქოს ესეც საკმარისი არ ყოფილიყო, კავკასიელ სტიპენდიანტთა რიცხვი საგრძნობლად შემამცირეს.

დავით ჩუბინაშვილი გულს მაინც არ იტეხდა, პირიქით, ახალგაზრდებს ამხნევებდა და მოუწოდებდა, კიდევ უფრო მეტი მონღომებით შეესწავლათ მშობლიური ენა და ჩვენი წარსულის მონაპოვრები.

1871 წლის 1 ნოემბრიდან, 30 წლის მუშაობის შემდეგ, დავითი პენსიაზე გავიდა და მთელი თავისუფალი დრო მეცნიერულ კვლევა-ძიებას დაუთმო. უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლების საქმე ღირსეულად განაგრძო დავითის ყოფილმა სტუდენტმა ალექსანდრე ცაგარელმა.

დავით ჩუბინაშვილი და ქართველი საზოგადოებრიობა

სახელოვანი თანამემამულის პედაგოგიურ-მეცნიერული მოღვაწეობა მოხერხებულად უკავშირდებოდა ქართველი ხალხის საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ამიტომ ჩვენი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლებს დავითის ნაშრომების პროპაგანდა მუდამ თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნდათ.

ასე იკათვავდა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან

ჩვენში გზას. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები, ქართული გრამატიკა, ისტორიული და მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულები. პეტერბურგის უნივერსიტეტში მშობლიური ენის შემოღებით ქართველ საზოგადოებასთან მეცნიერის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

დავითის ცხოვრების შესწავლას იმ დასკვნამდე მიყვართ, რომ მას თავდავიწყებით უყვარდა არა მარტო არჩეული სპეციალობა, ამ დარგში მომუშავეებიც, აინტერესებდა საქართველოში მომხდარი ყოველგვარი წვრილმანი, ხშირად თხოვნით მიმართავდა თავის სტუდენტებს „პეტერბურგში გადახვეწილი“ მასწავლებლისათვის დროდადრო ახალი ამბები ეცნობებინათ.

ქართული კულტურის მოყვარულები რომ დ. ჩუბინაშვილში ეროვნული საუნჯის შემკრებსა და პატრიოტ მოქალაქეს ხედავდნენ, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. საკმარისია ითქვას, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში ძნელად მოიძებნება მეტნაკლებად ცნობილი ისტორიკოსი, მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, მასთან პირადი ნაცნობობა ან მიწერ-მოწერა რომ არ ჰქონოდა. საინტერესო უფრო ისაა, რომ აღნიშნული წერილების უმრავლესობა ქართული მეცნიერებისა და მწერლობის საკითხებს ეხება და დაკავშირებულია პეტერბურგელი ქართველოლოგების მოღვაწეობასთან.

დავითი მუდამ დაუზარებლად ეხმაურებოდა ყოველ ახალ წამოწყებას. იგი მხარში ამოუდგა ქართველ საზოგადოებას, როცა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოების შედგენა გახდა საჭირო, მან დიდი ენერჯია შეაღია ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას. თუმცა მის მიერ მომზადებული ქართული ენის გრამატიკის ირგვლივ საქართველოში მომუშავე მკვლევარებსა და პეტერბურგელ ქართველოლოგებს შორის პრინციპული ხასიათის კამათი გაიმართა. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ ერთმანეთს ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე, მაგრამ მათი მეგობრობა მუდამ ჩელშეუხებელი იყო. გადახედეთ დ. ყიფიანის, პ. იოსელიანის, მ. ბროსეს ან დ. ჩუბინაშვილის წერილებს. თქვენ ვერ ნახავთ საპი-

რისპირო აზრის მქონე ავტორის მიმართ ვერც ერთ შე-
ურაცხმყოფელ სიტყვას. ეს იმიტომ, რომ ყველას ერთი
აზრი ამოძრავებდა — შეემუშავებინათ ქართული ენის
გრამატიკის მისაღები ნორმები.

საერთოდ, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობაში და-
ვითი მუდამ პრინციპული იყო. მას ეზიზღებოდა ორპი-
რობა, მახეზღრობა და ზურგს უკან ლანძღვა-გინება. მუ-
შაკის ყველაზე კარგ თვისებად ქვეყნის უანგარო სამსა-
ხური მიაჩნდა. ქართველ სტუდენტებთან გატარებული
ყოველი საათი უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდა, რადგან
ამით, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, სამშობლოს
ერთგულ შვილებს უზრდიდა. თვალისჩინივით უფრ-
თხილდებოდა მეფის ასულ სალომეს მიერ ქართველი
სტუდენტებისათვის ნაანდერძევი ბიბლიოთეკას. ყოველ-
ნაირად ხელს უწყობდა სტუდენტებში დამოუკიდებელი
აზროვნების გამომუშაებას, განსაკუთრებით მოსწონდა,
როცა ახალგაზრდები სწორ დასკვნებს აკეთებდნენ სა-
ქართველოს ისტორიულ წარსულსა და მის მომავალზე.
არა მარტო სტუდენტებისათვის, პეტერბურგში მცხოვრე-
ბი ქართველებისათვისაც დავითი მამა, მეგობარი და მუ-
დამ გულღია მასპინძელი იყო: უბრალოებით და ქართუ-
ლი გულგახსნილობით ხვდებოდა იგი მის ოჯახში სტუმ-
რად მისულ თანამემამულეებს.

60-იან წლებში დ. ჩუბინაშვილის ბინაზე ხშირად იკ-
რიბებოდნენ ჩვენი ქართველი სამოციანელები: ი. ჭავჭა-
ვაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი,
კ. ლორთქიფანიძე, ი. ოქრომჭედლიშვილი, პ. ნაკაშიძე,
ნ. დოლობერიძე, ა. მიზანდარი, და სხვები. ამ დროისათ-
ვის ბევრი მათგანი უკვე თავის ძალებს სცდიდა მწერლო-
ბაში. ისინი ახალ ნაწარმოებებთან ერთად რუსი და ევ-
როპელი პოეტების თარგმანებსაც ხშირად კითხულობდ-
ნენ, აქვე იხილავდნენ ყველასათვის საინტერესო თემებს,
იმართებოდა მძაფრი კამათი სოციალურ-პოლიტიკურ სა-
კითხებზე. ჭაბუკები ისე ცხარედ მსჯელობდნენ, რომ და-
ვითს არაერთხელ უხდებოდა მათი დაწყნარება და კამა-
თისათვის სწორი მიმართულების მიცემა.

ეს იყო ახალი თაობის, ანუ თერგდალეულთა იდეურად მომწიფებისა და დავაუკაცების წლები. აქედან აღეს მათ სტარტი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

დ. ჩუბინაშვილი კი თავის აღზრდილებს საქართველოში ასეთი სიტყვებით ისტუმრებდა: „ბატონებო, ყველაზე მეტად, მთელი არსებით გიყვარდეთ სამშობლო. შეისწავლეთ და ემსახურეთ მას, თქვენი ძალების შესაფერისად, მხოლოდ მაშინ შეძლებთ გაიგოთ, დააფასოთ და შეიყვაროთ სხვებიც... ვინც თავის მშობლებს, ახლობლებს, თავის საკუთარ ოჯახს მოწყდება, მას არ ძალუძს კეთილი გულით შევიდეს სხვის ოჯახში, და თუ მაინც შევა, მაშინ იგი ცბიერ მონად ან საზიზღარ ფარისევლად მოგვევლინება.—თითოეული ხომ ქართველის ბუნებისათვის მიუღებელია“.

ასეთი სულისკვეთებით ზრდიდა დავითი თაობებს და სამშობლოს უანგარო მსახურის საუკეთესო მაგალითს თვითონვე აძლევდა.

მომდევნო პერიოდშიც, ნაყოფიერ კვლევა-ძიებასთან ერთად, დ. ჩუბინაშვილი ენერგიას არ ზოგავდა ახალი ინტელიგენტური ძალების მომზადებისათვის. ეხმარებოდა და საჭირო რჩევას აძლევდა პეტერბურგში ჩასულ თანამემამულეებს ახალი წიგნისა თუ ჟურნალის გამოცემაში, სხვა კულტურული წამოწყების განხორციელებასა თუ სწავლის გაგრძელებაში, მიმართავდა ყველას, ვისაც აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა შეეძლო.

1866 წ. რუსეთის სატახტო ქალაქში უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრნენ ალ. ცაგარელი და დავით სარაჯიშვილი. ისინი სახელოვან მამულიშვილწ. პავლოვსკში საზაფხულო აგარაკზე ეწვივნენ.

„ჩუბინოვს ძალიან გაეხარდა ჩვენი ნახვა, — წერდა. ალექსანდრე თბილისში თავის ბიძას, — სადილზე მიგვიწვია და ძალიან კარგი დროება გავატარეთ. საუცხოვო სახლობა ჰყოლია, კარგადაც უცხოვრია, მხიარული მასპინძლები იყვნენ, მანდაური ამბები დაწვრილებით გა-

მომკითხა. მემრის აპირებს ჯერ მარტოკა წამოსვლას და მერე სულაც გადასახლებას საქართველოში“.

დავითს მართლაც უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იცოდა, რომ ამას უნივერსიტეტში მშობლიური ენის სწავლების შეფერხება მოყვებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, პეტერბურგში დარჩენილიყო და ქართული კულტურისათვის მეტი სარგებლობა მოეტანა.

ამ პერიოდში დავითს ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა გაცნობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ვერც ეს ჩანაფიქრი განახორციელა, სამაგიეროდ, მთელ დროს ახალგაზრდობის აღზრდას ახმარდა. დავითი იყო ალექსანდრე ცაგარელის, ილია ოქრომჭედლიშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და მრავალ სხვათა ნიჭის პირველი დამფასებელი და მეცნიერულ მუშაობაში გეზის მიმცემი.

საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის დ. ჩუბინაშვილი დამატებით ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს, აცნობდა პირველწყაროებს და ხელმძღვანელობდა მათ რეფერატების დამუშავებაში. ასე შეიქმნა ი. ოქრომჭედლიშვილის რეფერატული გამოკვლევა „თემურ-ლენგი საქართველოში. ქართული წყაროების მიხედვით“. აღ. ცაგარელის „მე-18 საუკუნის ქართველი მწერლები“, დავ. ყიფიანის ნაშრომი, „ძველი საქართველოს ყოფის იურიდიული ნარკვევები“ და სხვა.

ახალგაზრდებმა დავითის მიერ გაწეული ამაგი იმით დაათასეს, რომ მოსკოვის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტში ქართველოლოგიის მეცნიერული შტაბი ჩამოაყალიბეს, ხოლო აღ. ცაგარელმა 70-იანი წლებიდან პეტერბურგშივე ღირსეულად განაგრძო საყვარელი მასწავლებლის დაწყებული საქმე.

დ. ჩუბინაშვილის სახელთან დაკავშირებული იყო არა მარტო ახალგაზრდობის საუნივერსიტეტო სწავლება, არამედ ქართული კულტურის დაცვისა და აღორძინების ბევრი საკითხი.

ამ ხანებში ქართული საგანმანათლებლო ცენტრი საზღვარგარეთ დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ბერძ-

ნებმა ხელში ჩაიგდეს ათონის ივერთა მონასტერი და იქიდან ქართველი ბერების განდევნა სცადეს. შეუძლებელია ამ ამბავს ქართველ საზოგადოებასთან ერთად დავითიც არ გამოხმაურებოდა.

1874 წელს სამეგრელოს მთავარმა ნიკოლოზ დადიანმა და ივერიის წმ. იოანეს მონასტრის ძმათა რწმუნებულმა ბერმა ბენედიქტემ დახმარებისათვის პეტერბურგში დავითს მიმართეს. მათ აინტერესებდათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაცული ცნობები, რომლებიც ათონის მთის ქართული მონასტრებისადმი საქართველოს მეფეებისა და კერძო პირების შეწირულებას შეეხებოდა. ეს თხოვნა დავითმა სასწრაფოდ შეასრულა. მომდევნო წლებში კი ნ. დადიანთან, ალ. ცაგარელთან, კ. აბაშიძესთან და სხვებთან ერთად სინოდის ობერპროკურორის წინაშე შუამდგომლობდა, რათა ივერიის (ათონის) მონასტერი კვლავ ქართველებს დაბრუნებოდა.

ასეთ საქმიანობასთან ერთად იგი ხშირად რჩევა-დარიგებას აძლევს საქართველოში მომუშავე მკვლევარებსა და საზოგადო მოღვაწეებს, აწვდის მათ საჭირო ცნობებს: გრ. ორბელიანს, დ. ყიფიანს, რ. ერისთავს, ი. ჭავჭავაძეს, პ. კარბელაშვილს, ს. ხუნდაძეს და სხვებს უგზავნის თავის ახლადდაბეჭდილ ნაშრომებს, თბილისისა და ქუთაისის სკოლების მოსწავლეებს საჩუქრად გადასცემს ქართული გრამატიკისა და ქრესტომათიის ორასამდე ეგზემპლარს.

ბესარიონ გაბაშვილის ლექსთა კრებულის გამომცემელი ზაქარია ჭიქინაძე გაზეთ „დროებაში“ საჯაროდ აცხადებდა: „მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, მადლობა გადავუხადო პროფესორად ყოფილ დ. ჩუბინაშვილს, რომლისგანაც ამ ბოლო დროს წერილი მივიღე და ბევრი რამ ვცანი სრულიად მივიწყებული ბესიკის შესახებ“, ხოლო ნ. ბერძენოვი, პ. უმიკაშვილი და გ. წერეთელი კმაყოფილებით იხსენიებენ დავითისა და მ. ჯროსეს ღვაწლს პეტერბურგში ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეში და აღნიშნავენ, რომ მათ „დიდი საქმე შესძინეს ჩვენს ლიტე-

რატურას, და რაც შეეძლოთ, როგორც კერძო პირთა, ყოველივე აღასრულეს“.

ილია ჭავჭავაძე ინტერესით ადევნებდა თვალს სასახელო თანამემამულის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

იგი პეტერბურგში მყოფ თავის თანამშრომელს ვასილ მაჩაბელს წერდა, დავით ჩუბინაშვილს გაზეთი მიართვი და ლაზეთისადმი მიძღვნილი მისი სტატია გამოგიგზავნეო.

ეს ის პერიოდია, როცა რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა და საქართველოში დიდი კამპანია იყო გაჩაღებული საუკუნეთა მანძილზე დაკარგული აჭარის მიწა-წყლის დასაბრუნებლად: მეცნიერის ნარკვევი ეხმაურებოდა აღნიშნულ პრობლემას. ამიტომ ილიამ წერილი რუსულად თარგმნა და „ივერიაში“ მოათავსა სათაურით: „ეთნოგრაფიული განხილვა ქველთა და ახალთა მკვიდრთა კაბადოკიისა ანუ ჭანეთისა“, რომელიც ცალკე ბროშურადაც გამოიცა, მოგვიანებით კი იგივე სტატია პეტრე შირიანაშვილმა პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა.

ქართული პრესა მუდამ ფართოდ ასახავდა დავით ჩუბინაშვილის მოღვაწეობას, რადგან იგი ყველგან და ყოველთვის ჩვენი კულტურის პროპაგანდისტი იყო. ქართველი ჟურნალისტები ხშირად მას აკადემიკოსსაც უწოდებდნენ.

გაზეთმა „ივერია“ რუსული პრესის დამოწმებით თავის მკითხველებს პირველად აცნობა, რომ ვენაში შეკრებილი ორიენტალისტებისთვის განსახილველად დ. ჩუბინაშვილს წარუდგენია ორი წერილი: „პონტის ერა ანუ საიდან იწყება ქართული ქრონიკონი“ და მეორე — „მცირე აზიაში რა ადგილებამდე მოსახლეობდნენ ქართველები“.

იგივე გაზეთი 1877 წელს იუწყებოდა დავითის მიერ ახალი, უჯრო ვრცელი და რუსულ-ქართული ლექსიკონის სასტამბოლ მომზადებას და მკითხველებს აცნობდა მეცნიერის გადაწყვეტილებას — ლექსიკონისაგან შემოსული ფულითა და ზოგიერთი სხვა სახსრებით ქართული ახალ-

გაზრდებისათვის რომელიმე უნივერსიტეტში სტიპენდიის დაარსების შესახებ.

მაგრამ დ. ჩუბინაშვილის სურვილებს ფრთები შეაკვეცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც ლექსიკონის ბექდვისადმი არაკეთილსინდისიერი პოზიცია დაიკავა.

80-იანი წლების დასაწყისში დავითი აქტიურად მონაწილეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, რომლის საპატიო წევრადაც იმ ხანად აირჩიეს. მეთოდურ დახმარებას უწევს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წევრებს. თვალს ადევნებს ყოფილი სტუდენტების მოღვაწეობას.

„საქართველოში რას სჩადიან, როგორ მიდის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე“, — ხშირად ეკითხება პირად წერილებში ამ დროს სამშობლოში მყოფ ი. ოქრომჭედლიშვილსა და სხვა ქართველ მოღვაწეებს. ნაცნობ-მეგობრებთან უშუალო შეხვედრა დავითმა მოახერხა 1881 წ. სექტემბერში, როცა რუსეთის არქეოლოგთა მე-5 ყრილობაზე დასასწრებლად თბილისში ჩამოვიდა.

არქეოლოგიური ყრილობის საქართველოში ჩატარება უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა თბილისს ერთდროულად 70-მდე რუსი და ევროპელი მეცნიერი ეწვია. ყრილობისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ სამშობლოში ამ დიდი ფორუმის ჩასატარებლად მეცნიერთა რაზმს წინ მოუძღოდნენ პეტერბურგელი და მოსკოველი ქართველოლოგები.

არქეოლოგთა თბილისის ყრილობა თავის წარმომადგენლობით 4-ჯერ აღემატებოდა მოსკოვში, პეტერბურგში. კიევსა და ყაზანში ჩატარებულ ყრილობებს. განსხვავდებოდა მათგან განსახილველი საკითხების რაოდენობითაც. მაგალითად, თუ 1877 წ. ყაზანში ჩატარებული არქეოლოგიური ყრილობის დღის წესრიგში 110 საკითხი იდგა, თბილისში 162 მოხსენება იქნა მოსმენილი.

მოხსენებები უმთავრესად ამიერკავკასიის ხალხთა ენების, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის განვითარების პრობლემებს დაეთმო. განსახილველად წარმოდგენილი იყო სხვა საკითხებიც რუსეთის სინამდვილიდან. თავიანთი კვლევის შედეგები ყრილობის დელეგატებს ფართოდ გააცნეს აგრეთვე საქართველოში მოღვაწე სწავლულებმა.

განსაკუთრებით ბევრი მსმენელი ესწრებოდა იმ სექციის სხდომებს, სადაც საქართველოს სიძველეების შესწავლის ამოცანები განიხილებოდა.

„პონტოს ერა ქართული წყაროების მიხედვით“, — ასეთი იყო 10 სექტემბერს დ. ჩუბინაშვილის მიერ წაკითხული მოხსენება.

თავის გამოსვლაში იგი შეეხო ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის ზუსტი ქრონოლოგიის აუცილებლობას. მიმოიხილა ქრონოლოგიის საკითხებზე მომუშავე ავტორების შეხედულებები და გაარჩია ფრიოლინისა და კარის მიერ შემოღებული პონტოს ერა, რაც, მომხსენებლის სიტყვით, მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს.

ყველა ხალხის ცხოვრებაში, — განაგრძობდა დ. ჩუბინაშვილი, — ერა იწყება მაშინ, როცა ეს უკანასკნელი თავისუფლებას მიიღებს ან მის ცხოვრებაში რაიმე დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდება. 297 წელს ისეთი არაფერი არ მომხდარა, რომ ერა დაეწყოთ.

ამის ნათელსაყოფად პროფესორმა დაიმოწმა ბერძენი და რომაელი ავტორები. პონტოს ერის დასაწყისად მან 284 წელი მიიჩნია, როცა ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების 40 წლისთავზე მცირე აზიის სამეფოებმა კაპადოკიამ, პაფლაგონიამ, პონტომ და ბითუნიათ დაამოუკიდებლობა მოიპოვეს, ეს ერა მიღებული იყო ქართველებშიაც, რადგანაც 780 წელს დამთავრებული მეორე 532 წლიანი ციკლი მიუთითებს ამ ერის 284 წელს დაწყებას. ($780 + 284 = 532 + 532$).

აღნიშნული დებულების გასამაგრებლად დავითმა მაგალითები ისევ ბერძენ-რომაელთა ისტორიიდან მოიშველია და აღნიშნა, რომ პონტოს ერა 297-ე წლიდან 284-ე წელზე უნდა იქნას გადმოტანილი.

როცა მომხსენებელმა მსჯელობა დაამთავრა. დარბაზში დიდხანს ტაში არ შენელებულა. „დროების“ კორესპონდენტის სიტყვით, „ეს იყო პირველი რეფერატი, რომელიც საზოგადოებას მოეწონა“.

ქართველი ხალხი თავის სახელოვან თანამემამულეს აღტაცებით ხვდებოდა აგრეთვე ყრილობის დელეგატებისათვის სხვადასხვა ადგილას გამართულ საღამოებზე, სადაც დავითმა თავისი გამოსვლები მიუძღვნა მშობლიური მწერლობის განვითარების, საქართველოსა და რუსეთის ისტორიული ურთიერთობისა და ქართული თეატრის აღორძინების საკითხებს. იგი სტუმრად ჩამოსულ გერმანელ მეცნიერს რ. ვირხოვს, ვარშავის უნივერსიტეტის პროფ. ლ. სამოკვასოვს, პროფესორებს პ. ვისკოვატოვს, ნ. მილერს, ნ. კოსტომაროვს, ი. პომიალოვსკის, ი. ცვეტაევსა და სხვებს სიამაყით აცნობდა ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებსა და ისტორიულ ძეგლებს.

რვა დღის მუშაობის შემდეგ რუსეთის არქეოლოგთა მენუთე ყრილობა დაამთავრდა. მან კიდევ ერთხელ ცხადყო ქართული მეცნიერული ძალების მაღალი პროფესიული დონე და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის მზადყოფნა მყარი საფუძველი მოემზადებინათ საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

ყრილობის შემდეგ საქართველოში დარჩენილი დ. ჩუბინაშვილი მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მუშაობაში, ეცნობა მის წიგნთსაცავსა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირად ბიბლიოთეკებს. საჯარო ლექციებს კითხულობს ანტონ კათალიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ესწრება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომებსა და სხვა კულტსაგანმანათლებლო ღონისძიებებს. მერე ორი თვის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობს, თავისი ლექსიკონებისათვის სწავლობს

ხალხში გავრცელებულ სიტყვებს, ანდაზებსა და ხატოვან თქმებს.

67 წლის მეცნიერი კვლავ მხნედ გამოიყურებოდა. ამიტომაც სურდა სამშობლოში რაც შეიძლება მეტი ენახა და განეცადა.

მშრომელი ხალხი დ. ჩუბინაშვილს ყველგან დიდი ზეიმით ეგებებოდა, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი სალამო ქუთაისში გაუმართეს 11 ოქტომბერს.

სათავადაზნაურო ბანკის ვრცელ დარბაზში თავი მოეყარა 70-მდე კაცს. მათ შორის ბევრი იყო დავითის აღზრდილი. სტუმრის პატივსაცემად დერეფანში მუსიკა უკრავდა. როცა მაზრის მარშალმა ღვაწლმოსილი მკვლევარის სადღეგრძელო წარმოსთქვა, დარბაზში ტაშმა იქუხა.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა დავითმა: „პატივცემულნო საქართველოს შვილნო! სამუდამო ჩემი სურვილი იყო შეემეშუშავებინა გრამატიკის კანონები და შესაძლებლობისდა მიხედვით შენედგინა სრული ლექსიკონები—რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. ეს სურვილი შევასრულე და ჩემი სუსტი შრომა ეხლა თქვენ წინ გიძევთ.

ჩვენი ენა დიდხანია დამყარებული და გამშვენიერებულია დიდმშვენიერი მწერლებისაგან... რადგანაც ენის საფუძველი დადებულია, ეხლა ჩემი წადილია ამ საფუძველზე აშენდეს, გამრავლდეს ჩვენი ქართული მწერლობა“.

დავითის მოღვაწეობაზე სიტყვები წარმოსთქვეს ი. მეუნარგიამ, გ. შარვაშიძემ, ი. მესხმა და სხვებმა, ძვირფასი სტუმარი ყვავილებითა და დაფნის გვირგვინით შეამკეს.

სალამოზე წაიკითხეს ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა აღრესი, რომელშიც პატარები აღტაცებას გამოთქვამდნენ მეცნიერთან შეხვედრის გამო. თქვენი ღვაწლი. — ამბობდნენ ისინი, — გვაძლევს ნათელ მაგალითს, რა შეუძლია სამშობლოს სიყვარულს, თქვენის მოღვაწეობით

გამხნევებული მოსწავლეები პირობას გაძლევთ ერთგულად ვემსახუროთ მშობელ ერს.

პეტერბურგელ ქართველოლოგს გულითადი შეხვედრები მოუწყვეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და მანრებშიც, თავის მეგობარ დიმიტრი ყიფიანს იგი ქვიშახეთშიც ეწვია.

დავითის პატივსაცემად გამართულ საღამოზე თბილისში ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „დღეს ყმაწვილკაცობას ქართველობისას აქ ერთად თავი მოუყრია, რათა პატივი სცეს თავის უხუცეს მოღვაწეს სალიტერატურო სარბიელზე. ეს უტყუარი ნიშანია მისი, რომ ჩვენს ცნობიერებითს ცხოვრებას ცოტად თუ ბევრად უმატნია, სულიერი ძალი ჩვენი ჰასაკში შედის... ამ სანუგეშო და სასიხარულო ამბის მიზეზი და პირველი მაგალითი ჩვენში თქვენა ბრძანდებით, ბატონო დავით... თქვენ ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენეთ, ჩვენის ჭკუითა და გულით მონაგარს, ჩვენს სულიერ განძს ბინა დაუდევით: თქვენ შეგვიდგინეთ ლექსიკონი და შეგვიკრახბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა“.

დ. ჩუბინაშვილის მოგზაურობამ დიდი გამოძახილი ჰპოვა ქართულ პერიოდულ პრესაში, რადგან ჩვენი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში.

ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ იაკობ გოგებაშვილმა გამოხატა საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ „ივერიის“ 1882 წლის პირველ ნომერში. შინაურ მიმოხილვაში იგი აღნიშნავდა, რომ ქართველმა ხალხმა დ. ჩუბინაშვილისადმი გულითადი მიგებებით აშკარად დაამტკიცა ეროვნული პრინციპის ღრმა ცოდნა და მნიშვნელობა, ავტორი იხსენიებს გრანდიოზულ დღესასწაულს, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებამ გაუმართა ვიქტორ ჰიუგოს იუბილეს დროს, და აღნიშნავს, რომ ჩვენში დიდხანს სრულიად გულგრილად უცქეროდნენ იმ პირთა მოღვაწეობას, ვინც ხელს უწყობდა ერის კულტურულ აღორძინებასა და მასში სიამაყის გრძნობის ჩანერგვას.

„პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიგებება.—დასძენს იგი,— არის ერთი იმ ფაქტთაგანი, მოვლენათაგანი, რომელმაც გამოააშკარავა ეს სასიხარულო ცვლილება ჩვენს საზოგადოებაში, და დაგვანახვა, რომ ეროვნებითის პრინციპის მნიშვნელობა... ინტელიგენციის მცირე დასიდგან საზოგადოებაშიც გავრცელდა და ღრმად იდგამს ფესვსა“.

დავითი უდიდეს მუყაითობას და შრომისმოყვარეობას იჩენდა ყოველგვარ საქმეში და როგორც გულანთებული პატრიოტი, შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა ჩვენი ვინაობის აღდგენას. სწორედ ასეთი საქმიანობით მოიპოვა მან მშრომელი ხალხის სიყვარული და აღიარება, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამ სიყვარულმა შეაძლებინა, ხელიდან კალამი არ გაეგდო და ეროვნული საუნჯე შთამომავლობისათვის ანდერძად დაეტოვებინა.

ქართველი მოღვაწეები ამ „ეროვნული მიგებების“ შემდეგაც ხშირად ხვდებოდნენ სახელოვან მამულიშვილს პეტერბურგსა და საქართველოში, ღებულობდნენ მისგან ახლად გამოცემულ ნაშრომებსა და წერილებს, მათი სამადლობელი სიტყვები ხშირად პრესაშიც ქვეყნდებოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა ყოველ შემთხვევას მოხერხებულად იყენებდა მხცოვანი მეცნიერის დამსახურების აღნიშვნისათვის.

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის გამოცემის 50 წლისთავთან დაკავშირებით საინტერესო მასალები გამოაქვეყნეს საქართველოს ეურნალ-გაზეთებმა, რადგან იგი დავითის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის თარიღად ჩაითვალა.

ილია ჭავჭავაძეს სასარგებლოდ მიაჩნდა მეცნიერის ეუბილის ფართოდ აღნიშვნა, მაგრამ მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მმართველი წრეების მხრივ, რომელსაც „ფეხებზე ჰკიდია ვისიმე ღვაწლი, ვისიმე გარჯა და შრომა საქვეყნო საქმისათვის.“ ამიტომ მოსკოვში მცხოვრებ პროფ. ი. ოქრომჭედლიშვილს წინადადებას აძლევდა ცხარე წერილი მოეწერა, დაეხასიათებინა დავითის დამსახურება და მოეთხოვა მისი იუბილეს ჩატარება. „ამ წერილს გაზეთში დავბეჭდავ, მერე ჩვენც მოვეყვებით და

ბუკსა და ნალარას დაკრავთ და იმედია, რომ სოფელი აშენდებაო“, — წერდა იგი.

იუბილეს აღნიშვნის აუცილებლობაზე ალექსანდრე ხახანაშვილმა სპეციალური სტატია მოათავსა *„ეურნალ“* „თეატრში“. სამზადისი ფართოდ გაიშალა.

ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ხალისით მონაწილეობდნენ დღესასწაულის აღსანიშნავ ღონისძიებებში, მაგრამ დავითმა ავადმყოფობის გამო თავის იუბილეზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

გიორგი ზდანევიჩი, რომელიც ქუთაისში დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ საღამოს დასწრებია, ნიკო ნიკოლაძეს ატყობინებდა: სიტყვით გამოსულებმა კირილე ლორთქიფანიძემ, ილია ოქრომჭედლიშვილმა და პავლე თუმანიშვილმა ვრცლად დაახასიათეს მეცნიერის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. დარბაზში გამოფენილი იყო დავითის სურათი და ყველა მისი ნაშრომი, საღამოს მონაწილეებმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგში.

თავიანთ საყვარელ მასწავლებელს 50-წლიანი მოღვაწეობის იუბილე მიულოცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე 70-მდე მისმა ყოფილმა სტუდენტმა.

იუბილარმა მისალოცი დეპეშები მიიღო თბილისიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან, თელავიდან, ამ თარიღთან დაკავშირებით სილოვან ხუნდაძემ ლექსიც კი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“.

გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ა. სულხანიშვილი წერდა: „საყოველთაოდ გამოვხატავთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას მშობლიური ენისა და ისტორიული ძეგლების შესწავლის გამო. ჩვენ მუდამ ვამაყობთ თქვენი სახელით. ამიტომ სასიხარულო მოვალეობად მიგვაჩნია გულწრფელად მოგესალმით მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილეზე და გისურვოთ დიდი ხნის ნაყოფიერი სიცოცხლე მშობლიური ქვეყნის შემდგომი სამსახურისათვის“.

ქართველი ხალხი ამით ხარკს უხდიდა თავის მამული-
შვილს, რომელმაც ხანგრძლივი სიცოცხლე ერის სამსა-
ხურში გაატარა და სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი
ვალი ღირსეულად მოიხადა.

უნივერსიტეტის უმადლონი წლები

1871 წელს დ. ჩუბინაშვილმა თუმცა ოფიციალურად
დატოვა უნივერსიტეტი, მაგრამ ქართული ენისა და სიტ-
ყვიერების კათედრის კონსულტანტად მაინც დარჩა.
მზრუნველობას არ აკლებდა მისი საქმის გამგრძელებელ
ალექსანდრე ცაგარელს, ესმარებოდა სასწავლო პროგრამების
დახვეწაში. დროდადრო საუნივერსიტეტო ღონის-
ძიებებშიც მონაწილეობდა.

უნივერსიტეტთან ასეთი ურთიერთობა დიდხანს გაგ-
რბელდა; ამას ისიც ადასტურებს, რომ 90-იან წლებში
ღვაწლმოსილ მეცნიერს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე
თვით უნივერსიტეტმა გადაუხადა.

დავითი კვლავ ცხოველ ინტერესს იჩენს ქართული
კულტურის ყველა საკითხის მიმართ და მჭიდრო ურთი-
ერთობას ამყარებს ჩვენს საზოგადო მოღვაწეებთან,
თვალყურს ადევნებს ქართულ პერიოდულ პრესას, სა-
ქართველოდან იღებს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს და
გადაწყვეტილი აქვს მომავალ ლექსიკონში ფართოდ შე-
იტანოს ახალი სიტყვები, ტერმინები და გამოთქმები.

წლების განმავლობაში ასეთი ერთფეროვანი მუშაობა
მისთვის მომქანცველი როდი აღმოჩნდა, პირიქით, ახალი
მასალების კლასიფიკაცია, წყაროებთან შედარება, მათი
კომენტარები და ანბანზე დალაგება, მუშაობაში ძალასა
და რწმენას ჰმატებდა.

პეტერბურგში მყოფი ქართველები ხშირად იგონებდ-
ნენ თავისი ბიბლიოთეკის პოეტურად გაფანტულ ტომებს
შორის ჩამგდარ სიმპათიურ, თოვლივით თეთრ მოხუცს

და მის გვერდით განუშორებელ ლექსიკოლოგიური სიტყვანების ანბანურ კარადას.

ამ დროისათვის იგი მთავრობის მრავალი ორდენის კავალერი იყო, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მეცნიერულ წრეებში, პენსიაც საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ თუ მაინც ასე თავდაუშოგავად შრომობდა, მხოლოდ იპიტომ, რომ სურდა სამშობლოს აღორძინების საქმეში რაც შეიძლება მეტი წვლილი შეეტანა.

ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარმა დიდმნიშვნელოვანმა სოციალურმა ძვრებმა, კერძოდ, ჩვენში ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ, საჭირო გახადა ბევრი ახალი სიტყვის შეშოტანა. აუცილებლობამ მოითხოვა მათი თავმოყრა, შესწავლა და გამოცემა. ამასთანავე, დიდი ხნის წინათ დაბეჭდილი ქართულ-რუსულ-ფრანგული და რუსულ-ქართული ლექსიკონები ბაზლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

დროის მოთხოვნილების საპასუხოდ დავითის მთავარი საზრუნავი ახალი მასალებით გამდიდრებული ლექსიკონების გამოცემა იყო. სახალხო განათლების დეპარტამენტით პროფესორმა საგანგებოდ იმოგზაურა საქართველოში. შეისწავლა თბილისის სინოდალურ კანტორასა და ეკლესია-მონასტრებში, აგრეთვე თურქეთის გავლენის ქვეშ მყოფ სამცხე-საათაბაგოში დაცული აქტები და წიგნებიც. მერე ყველაფერი წინა წლებში დაგროვილ მასალებთან ერთად დაამუშავა და ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის ახალი გამოცემისათვის წარუწვა დაიწყო.

70-იანი წლების ბოლოს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო პეტერბურგში ჩატარებული აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმპერიაში შემავალ ღალტთა ისტორიას, სამართალს, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიის საკითხებს.

დავით ჩუბინაშვილისა და სხვა პეტერბურგელი ქართველოლოგებისათვის კონგრესის ჩატარება იმითაც იყო სასიხარულო, რომ საშუალება ეძლეოდათ პირადად გასცნობოდნენ სამშობლოში მოღვაწე მეცნიერებს და მათ

მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებს.

მეცნიერთა ამ საერთაშორისო შეკრებაზე საქართველოდან 15 კაცი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებიდან, არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებიდან, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკიდან და სხვა.

1876 წლის 1 სექტემბერს კონგრესი გაიხსნა. ამიერკავკასიის სექციაში მონაწილეობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარემ ა. ბერკემ მიმოიხილა კავკასიის ეთნოგრაფიული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობა.

პეტერბურგის ქართველოლოგიის მეცნიერულმა შტაბმა კონგრესზე განსახილველად ორი მოხსენება გამოიტანა. ერთი, ალ. ცაგარლისა. შეეხებოდა მის მიერვე რუსულ ენაზე თარგმნილ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნესი ცრუსას“.

ახალგაზრდა მკვლევარს ეს ნაწარმოები ინდურ, სამხურ და აღმოსავლეთის ხალხთა სხვა ენებზე არსებული მსგავსი ხასიათის თხზულებებისათვის შეედარებინა და ამის საფუძველზე ამტკიცებდა, საბაას არაკები დამოუკიდებელი ხასიათისაა და არა საიდანიე გადმოკვეთული.

მეორე კი დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნოდა. მან დაწვრთვებით გაარჩია ვახტანგ VI-ის სამართალი, საქართველოს ფეოდალური სისტემისა და იმდროინდელი ქართველების წეს-ჩვეულებები და დასძინა: ქართული ფეოდალიზმის ღრმა შესწავლა მეცნიერებს დიდ დახმარებას გაუწევს ევროპაში ფეოდალიზმის სრული ისტორიის წარმოსადგენად.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. ბროსემ, ვ. გრიგორიევმა, შმიდტმა, ნ. ლოლობერიძემ და სხვებმა, რომლებმაც დადებითი შე-

ფასება მისცეს წარმოდგენილ მასალებს და მოითხოვეს მათი დაბეჭდვა.

ქართველი მკვლევარების მიერ კონგრესისადმი წარდგენილმა მასალებმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. უთუოდ ამ აღიარების გამოძახილიც იყო, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთის არქეოლოგებმა მეხუთე ყრილობა თბილისში მოიწვიეს.

მალე დავითს დასაბეჭდად მზად ჰქონდა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, რომელიც თავისი მოცულობით აღემატებოდა ევროპაში ოდესმე გამოცემულ მსგავსი ხასიათის ყველა ნაშრომს. გარდა ამისა, მასში მოთავსებული ქართული სიტყვები და გამოთქმები სათანადო წყაროს მითითებით ქართულადვე იყო განმარტებული. ციტატები ასახავდნენ სიტყვის ისტორიას და მნიშვნელობას ძველ წიგნებსა და თანამედროვე სასაუბრო ენაში.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართული სიტყვების სწორად და მკაფიოდ განმარტებას და მათ ზუსტ თარგმნას. ლექსიკონი შეიცავდა ქართულ ენაში შემოსული სპარსული, თურქული, არაბული, სომხური სიტყვებისა და 3 ათასზე მეტი საბუნებისმეტყველო ტერმინის განმარტებას.

დ. ჩუბინაშვილმა თავისი შრომა აკადემიას წარუდგინა გამოსაცემად. თან სწავლულ მდივანს კ. ვესელოვსკის მისწერა: „ჩემი ერთადერთი სურვილია, გამოიცეს 40 წლის მანძილზე შეგროვილი მასალით შედგენილი ლექსიკონი; მე არ მოვიტხოვ არც გასამრჯელოს, არც ჯილდოებს და ბედნიერი ვიქნები, თუ მეცნიერებათა აკადემია ნაშრომს თავის ხარჯზე დაბეჭდავს, ხოლო მის ავტორს რამდენიმე ეგზემპლარს დაუთმობსო“.

აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილებაში დავითის ლექსიკონს მოწონებით შეხვდნენ. ხელნაწერი მ. ბროსემ განიხილა და აღნიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკონის დიდი მნიშვნელობა, გამოიანგარიშა გამოსაცემი თანხა, რომელიც 3600 მანეთს შეადგენდა. რეცენზენტმა თავისი აზრი საჯაროდ განაცხადა.

ქართველი ხალხი მოუთმენლად მოელოდა მსცოვანი მეცნიერის ახალი ნაშრომის გამოსვლას. „დიდი სულსწრაფობით მოველით, რომ ეს ყოვლად სასარგებლო შრომა მალე იქმნას დაბეჭდილი... — წერდა ჟურნალი „ივერია“, — დიდი იმედია, რომ მაგ შრომას მთელი საქართველო დაიტაცებს. ჯერ ახლაც, ჩვენ თვითონ გამოცდილებით ვიცით, რომ ბევრი მდომელია, არამც თუ იმ გვარის ლექსიკონისა, რომელიც ეხლა წარუდგენია პატივცემულს დ. ი. ჩუბინოვს, არამეუ იმისიც, რომელიც წინათ იყო დაბეჭდილი“.

მაგრამ ასე როდი თქვირბდა აკადემიის სწავლული მდივანი. იგი მიზეზად გამოსაცემი სახსრების ნაკლებობას ასახელებდა და ავტორს ქართული ტექსტის შემცირებისაკენ მოუწოდებდა. დავითმა ეს წინადადება, ცხადია, არ მიიღო. იგი განუმარტავდა კ. ვესელოვსკის, რომ ქართული ნაწილი ლექსიკონს არ ტვირთავს, უფრო მეტიც, მისი დატოვება აუცილებელია და ნაშრომის შემცირების დაკინებითი მოთხოვნა მის დამახინჯებას ნიშნავსო.

იმის ნაცვლად, რომ აღნიშნული წერილი განსახილველად ისტორია-ფილოლოგიური განყოფილებისათვის გადაეცა, სწავლულმა მდივანმა წერილობითი განმარტება ავტორის პრეტენზიად ჩათვალა და ხელნაწერი უკან დაუბრუნა დ. ჩუბინაშვილს. დავითმა კიდევ ორი წერილი მისწერა აკადემიას, რომლებშიც აღნიშნავდა, რომ თავისი ხელნაწერი მას არ მოუთხოვია.

მეტი გამოსავალი რომ ვერ გამოიხატა, კ. ვესელოვსკი იძულებული გახდა, ლექსიკონის დაბეჭდვის თაობაზე წამოჭრილი სიძნელეები მთლიანად იმ ხანად გარდაცვლილი მ. ბროსესათვის გადაებრალეზინა; თითქოს ამ უკანასკნელს არ წარედგინოს აკადემიისათვის დაწვრილებითი განმარტება ლექსიკონის ირგვლივ. იგი უფრო შორს მიდიოდა: რადგან ამჟამად აკადემიას არა ჰყავს თავისი წარმომადგენელი ქარაფულ ნაწილში, რომელიც ლექსიკონზე რეცენზიას დაწერდა, აღნიშნული ლექსიკონის გამოცემაზე ხარჯის გაღება აკადემიისათვის შეიძ-

ლება ძალზე დამამძიმებელი აღმოჩნდესო. ნათქვამი რომ სინამდვილეს არ შეეფერება, ის ფაქტიც მიუთითებს, რომ იმავე პიროვნების განკარგულებით მხოლოდ გერმანულ ენაზე ბეტლინგის სანსკრიტული ლექსიკონის დაბეჭდვაში აკადემიამ 60 ათასი მანეთი გადაიხადა.

თანამემამულეებისათვის სრულფასოვანი ლექსიკონის მომზადების სურვილი დ. ჩუბინაშვილში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ იგი საკუთარი ხარჯებით შეუდგა ნაშრომის ბეჭდვას, მაგრამ აქაც დიდ სიძნელეებს წააწყდა. ერთი ნაბეჭდი ფორმის აწყობა და სასტამბოდ მომზადება ჩვეულებრივ 10 მანეთი ღირდა, მას 38 მანეთი დაუფასეს.

დავითი იძულებული გახდა თხოვნით მიემართა აკადემიის პრეზიდენტისათვის. თუ თქვენს ხარჯზე არ დაბეჭდავთ ლექსიკონს, მისი ძვირადღირებული გამოცემა მაინც შემიმსუბუქეთო. ცოტა ხნის მერე იგი კვლავ წერს: მომზადებული მაქვს ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები ფრანგულის გარეშე, მთლიანად გამოცემისათვის თანხები არ მყოფნის და დამეხმარეთო.

დ. ჩუბინაშვილმა ამ თხოვნაზეც უარი მიიღო, მაგრამ ლექსიკონების გამოცემისათვის ზრუნვა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. საქმიანობა მას შემდეგ კიდევ უფრო გაშალა, რაც ი. ოქრომჭედლიშვილმა მატერიალური დახმარება აღუთქვა.

თანამემამულეთა ასეთი მხარდაჭერით აღფრთოვანებული დავითი ხალისით განაგრძობს ლექსიკონზე მუშაობას: თვალს ადევნებს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ყველაფერი აინტერესებს, რაც საქართველოს კულტურულ წინსვლას ხელს შეუწყობს.

იგი აღტაცებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ დადიანი ბულგარეთის მთავრად უნდა დანიშნულიყო, „ნეტა არ იქნება, ქართველებს ცოტა ფხა მოეშატებათ“, — იმედიანად წერდა დ. ჩუბინაშვილი.

როცა რუსეთში გარდაცვალებული გრაფ ტოლსტოის მამულის გაყოფა დაიწყო, დავითი წერდა ი. ოქრომჭედლიშვილს: „რადგანაც ვახტანგ მეფის მამრობითი ნათესა-

ობა ამოწყდა, ამისათვის მდებრობითის ნათესაობაზე გადავა მამულის მემკვიდრეობა. ეს გამოუცხადე ყველას, ვინც მანდ მოსკოვში ცხოვრობენ, ჩვენი სამეფოს სახლის წევრნი, მადლია, თითონ ხომ არაფერა იციან, მამული სულ სახელმწიფოს დარჩებაო“.

ამ ხანებში დ. ჩუბინაშვილი აქტიურად მონაწილეობს რუსეთის არქეოლოგიური, გეოგრაფიული და ფილოლოგიური საზოგადოებების საქმიანობაში. როგორც აღნიშნული სამეცნიერო საზოგადოებების წევრი, ესწრება სხდომებსა და საჯარო კრებებს, კითხულობს მოხსენებებს ქართველი ხალხის წარსულზე, საზოგადოებების დავალებით მოგზაურობს რუსეთის გუბერნიებში, რუს მეცნიერებს სხვადასხვა ცნობებს. აწვდის საქართველოს ისტორიიდან.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ა. მურავიოვის პირადი არქივის გაცნობა, სადაც შემონახულია დავითის წერილები ქართველ მწერალთა ნაწარმოებებზე. მ. საბინინს პეტერბურგშივე ეხმარება ქართულ წმინდანთა ცხოვრების ტექსტების გამოკვლევაში, არქეოლოგიურ საზოგადოების წევრს ნ. პოკროვსკის ძველი ქართული წარწერების ვაშიფრვაში ეშველება, პ. დოლგორუკოვის ნაშრომში ქართული გვარებისადმი მიძღვნილი თავი უშუალოდ დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის.

70-იანი წლებიდან დავითი აქტიურად თანამშრომლობს მისი ახლო მეგობრის პროფესორ ი. ბერეზინის მიერ გამოცემულ მრავალტომიან ენციკლოპედიურ ლექსიკონში. სადაც საინტერესო წერილებს აქვეყნებს ისტორიულ პიროვნებებზე, საქართველოს ქალაქებზე, ქართველ მემატრიანეებზე და სხვა.

უნივერსიტეტის პერიოდში, განსაკუთრებით კი პენსიაში გასვლის შემდეგ დავითის ბინაზე ხუთშაბათობით სისტემატურად იკრიბებოდნენ კოლეგები და ახლო მეგობრები: იხილავდნენ სამეცნიერო პრობლემებს, არჩევდნენ ახლადდაბეჭდილ წიგნებს თუ სტატიებს. საუბრები ვიწრო სპეციალობის გარდა ხშირად საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებსაც ეხებოდა.

ხუთშაბათის საღამოებზე მხცოვანი მეცნიერის ხშირი სტუდენტები იყვნენ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პროფესორები ა. მუხლინსკი, ა. პოპოვი, ვ. ვასილიევი, ი. ბერეზინი, მ. პოზდნეევი, ალ. ცაგარელი, ასტრონომი ი. სავიჩი, ბუნებისმეტყველი კ. კესლერი და სხვები. აკადემიკოსი მ. ბროსე თვალის ტკივილის გამო ასეთ შეკრებებზე დიდხანს ვერ რჩებოდა, სამაგიეროდ ყოველი კვირის ოთხშაბათს, როგორც წესი, თავის უმცროს მეგობართან განიხილავდა სამეცნიერო საკითხებს, თარგმნიდა ცალკე ფურცლებზე ამოწერილ სპეციალურ ტერმინებს და ციტატებს.

არც ქართველი სტუდენტები ივიწყებდნენ თავიანთ ღვაწლმოსილ პროფესორს. ხშირად იწვევდნენ სათვისტომოს შეკრებებზე. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობდა ახალგაზრდობის ცოდნის გაღრმავებას და უღვივებდა მათ სამშობლოს სიყვარულის გრძნობას.

ახალგაზრდა თანამემამულეებს დავითმა რამდენიმე ლექცია წაუკითხა. მათ შორის საქართველოს განმანათლებელ წმინდა ნინოზე. ჩუბინაშვილი ამტკიცებდა, რომ ნინო კაპადოკიელი ქართველია და მცირე აზიის ამ პატარა კუთხეში მეოთხე საუკუნეში ბევრი ქართველი ცხოვრობდაო.

„ახლაც თვალწინ მიდგას, — იგონებდა შემდეგ ი. მანსვეტაშვილი, — ეს პატარა ტანის, მრგვალი კაცი გაუქრობელი პაპიროსით პირში, ტკბილად, მამაშვილურად მოსაუბრე“.

დ. ჩუბინაშვილს მოსკოველი ქართველი სტუდენტებიც იწვევდნენ თავიანთ ტრადიციულ საღამოებზე, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი ხშირად ავადმყოფობდა და იქ გამგზავრებას ვერ ახერხებდა, სამაგიეროდ, მ. ხელთუფლიშვილისა და სხვათა მოწვევას სიყვარულით აღსავე წერილებით პასუხობდა.

დავითი მუდამ განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მშობელი ხალხის კეთილისმოსურნეთ. სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო იგი მისთვის და-

შახასიათებელი გულითადობით მიესალმა მოსკოვში მცხოვრებ ნიკოლოზ ეძიხს.

„ჩემი თანამემამულეთა მოლოცვებს შორის დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თანამგრძნობი სიტყვა ქართული სიტყვიერების მხცოვანი და უხუცესი წარმომადგენლისა, რამაც უძველესი დროიდან ჩვენი წინაპრების მეგობრული ურთიერთობა მომაგონაო“, — წერდა ამის გამო სომეხი მკვლევარი.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მისი ყოფილი სტუდენტებიც ხშირად ამხნევებდნენ მეცნიერულ მუშაობაში ჩაფლულ პროფესორს. „ამ დღეებში მივიღე თქვენი ქართულ-რუსული ლექსიკონის მეორე გამოცემა, რომელიც საჩუქრად გამომიგზავნეთ. თქვენს ლექსიკონს ყოველდღიურად ვფურცლავ და ყოველ დღეს კიდევ უფრო ცოცხლად წარმომიდგება ჩემი დამრიგებლის დავით იესეს ძის კეთილი სახე, რომლის ლექციებს მე სიყვარულით ვისმენდი უნივერსიტეტში 40 წლის წინათ“. ბარათს ხელს აწერს დავითის ნამოწაფარი 64 წლის გაბრიელ სუნდუკიანი. მსგავსი ხასიათის წერილებში ქართველი საზოგადო მოღვაწეები ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებდნენ ღვაწლმოსილ თანამემამულეს, აცნობდნენ თავიანთ მიღწევებს. ექვთიმე თაყაიშვილმა ავტოგრაფით გაუგზავნა მის მიერ გამოცემული „სამი ისტორიული ქრონიკა“. დავითს ასეთავე საჩუქარი უძღვნეს კრებულ „ცდას“ ქუთაისელმა გამომცემლებმა.

ამ სიყვარულის საპასუხოდ დ. ჩუბინაშვილს ავადმყოფობის პერიოდშიც გული არ უთმენდა თავისი ლექსიკონის კორექტურა რომ არ წაეკითხა და ქართული გრაშატიკის ტექსტში ჩასწორებები არ შეეტანა. „თუმცა ახლა კარგად ვარ, უკეთესობა კი მეტყობა, შემიძლიან ქვეითად ერთ ვერსამდინ გავიარო, მაგრამ დღე სიცოცხლისა მაკლდებაო“, — წერდა იგი. მისი მთავარი სურვილი იყო, რაც შეიძლება მალე დაემთავრებინა ლექსიკონის გამოცემა, მერე შეევსო, ჩაესწორებინა და რუსულ ენაზე გამოეცა თავისი ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ამასთანავე შეედგინა საქართველოს ისტორია.

ამ ხანებში მართლაც დაიბეჭდა ქართულ-რუსული ლექსიკონი სათაურით „საუნჯე ქართული ენისა“. ჩვენმა საზოგადოებრიობამ მისი ავტორი დიდების შარავანდედით შეიმოსა, ხოლო გაზეთმა „ივერია“ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა.

დ. ჩუბინაშვილის ნიჭის დამფასებელი მრავლად იყვნენ რუსეთის სატახტო ქალაქშიც. საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი. იუბილეს დღეებში ბევრი დაიწერა პეტერბურგისა და მოსკოვის პერიოდულ პრესაში.

ეურნალ «Всемирная иллюстрация»-ში პ. ბიკოვი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც პუშკინმა და ლერმონტოვმა რუსული ლიტერატურა გაამდიდრეს მხატვრული ნაწარმოებებით საქართველოს შესახებ, რუსმა მეცნიერებმა რატომღაც დაივიწყეს საქართველო, სავსებით უყურადღებოდ მიატოვეს ქართველი ხალხის ენა და ლიტერატურა. ამ დიდი ხარვეზის გამოსწორება იკისრა დავით ჩუბინაშვილმა, რომელიც ნამდვილ პიონერად ითვლება ამ ხელუხლებელ დარგში.

არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა იუბილეს დღეებში ქართველი მეცნიერი თავის საპატიო წევრად აირჩია. სამშობლოდან მრავალრიცხოვან მილოცვასთან ერთად დავითმა თბილისში გამოძავალი სომხური გაზეთ „მურჩის“ რედაქციის დეპეშაც მიიღო, პავლოვსკიდან იუბილარს დიდი ხნის მეგობარი ბრეიკი მიესალმა. მისალოცი დეპეშები იყო თვით პეტერბურგიდანაც.

მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავად აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის მიერ გაგზავნილ ადრესში ხაზგასმითაა აღნიშნული ლექსიკოლოგიაში დ. ჩუბინაშვილის უდიდესი დამსახურება.

„დღევანდელ ღირსსახსოვარ დღეს, — ნათქვამია ადრესში, — აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, რომელიც ყველაზე საუკეთესო მოგონებებს ინახავს თქვენზე, მოგესალმებათ ქართულ ფილოლოგიაში დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილე-

ზე. თქვენს ძველ კოლეგებს ახალგაზრდა ამხანაგებთან ერთად კვლავაც თავიანთი ოჯახის წევრად მიაჩნხართ, გულითადად გისურვებთ კიდევ დიდხანს შეინარჩუნოთ სულიერი და ფიზიკური სიმსნევე იმ საქმის სასარგებლოდ, რომელსაც არასოდეს დალატობდით“.

1890 წლის 13 მაისს დ. ჩუბინაშვილს შინ ეწვივნენ და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი მიულოცეს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის წევრებმა, თავიანთი დეკანის მეთაურობით, ქართველმა სტუდენტებმა, არქეოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, პეტერბურგში მცხოვრებმა თანამემამულეებმა და მრავალმა ნაცნობმა.

გულაჩუყებული დავითი ყველას მადლობას უხდოდა და ამბობდა, ეს დღესასწაული ჩემთვის ყოველგვარ ჯილდოზე ძვირფასია და გამოუთქმელ კმაყოფილებას მანიჭებსო.

საუზმეზე იუბილარის პატივსაცემად მრავალი გულთბილი სიტყვა ითქვა, ქართველებმა კი მხცოვან მამულიშვილს მრავალჯამიერი უმღერეს.

იუბილეს შემდეგ დავითი დიდხანს ავადმყოფობდა. ერთ ხანს გრძნობაც დაკარგა. ბერე კვლავ უკეთესობა დაეტყო, მაგრამ სახლიდან გასვლა მაინც არ შეეძლო.

„უეჭიმოდ ეერსად წავსულეაო, რაღაც ავადმყოფობა გარდამეკიდა, თავს არ მანებებს, რომ უწინდელივით საქართველოში ჩამოვიდე“, — სევდიანად წერდა იგი ილია ჭავჭავაძეს. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად საქართველოს ისტორიული წარსულისადმი ინტერესი ზიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შენელებია.

სამშობლოსადმი ამ დიდ სიყვარულზე ისიც მიუთითებს, რომ აღ. ცაგარელის მიერ იმხანად გამოცემული „სიგელები და სხვა დოკუმენტები“-ს მოზრდილი ტომი მწოლიარე ავადმყოფმა ერთი ღამის განმავლობაში გადაიკითხა, ხოლო გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მასთან მისულ აკაკი წერეთელს მამულიშვილობის დიდ მოვალეობაზე ესაუბრებოდა.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1891 წლის 5 ივნისს, ღლის 3 საათზე შეწყდა მაჯისცემა დავით ჩუბინაშვილისა, რომლის გარდაცვალებით „ქართველობამ დაკარგა დიდად ღვაწლმოსილი კაცი, ჩვენმა ქვეყანამ—თავისი ჭეშმარიტი შვილი, საქართველოს მწიგნობრობამ და ჩვენმა ნორჩმა საისტორიო და სალექსიკოგრაფიო მეცნიერებამ — იშვიათი მოყვარე, მოკეთე და მოტრფიალე...“

მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, „მოვისვენე სხვათა ყოველთა ზრუნვათაგან, ხოლო ვერ მოვისვენე საქართველოს ზრუნვისაგან“.

ქართული მეცნიერების ამ უდიდესი დანაკლისის გამო ნეკროლოგები გამოაქვეყნა საქართველოს თითქმის ყველა გაზეთმა და ჟურნალმა. დაიბეჭდა წერილები პეტერბურგის გაზეთ «Правительственный вестник»-სა და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

მთელი საქართველო გლოვობდა თავის ერთგულ შვილსა და ქომაგს. მშობლიური კულტურის აღორძინებისათვის მებრძოლი რაინდის ხსოვნის აღსანიშნავად პანაშვიდები გაიმართა თბილისში, ქუთაისში, გორში, თელავში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და მაზრებში.

თბილისის ერთ-ერთი გაზეთის ცნობით, დავითის ცხედარი სამშობლოში უნდა გადმოესვენებინათ, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ამიტომ დ. ჩუბინაშვილის ოჯახს სამგლოვიარო დეპეშები გაუგზავნეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ, ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ და საზოგადო მოღვაწეებმა.

8 ივნისს ქართველი მეცნიერის ცხედარს ბევრი მისი თაყვანისმცემელი მიაცილებდა ალექსანდრე ნეველის სასაფლაოსაკენ. დაკრძალვას დაესწრნენ რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი-გრაფი ი. დელიანოვი, უნივერსიტეტის პროფესორები და პეტერბურგში მცხოვრები დიდძალი ქართველობა. მრავალ გვირგვინთა შორის ერთერთზე ასეთ წარწერას ამოიკითხავდით: „ღრმად მოხუცებულს მასწავლებელს და დამრიგებელს დ. ი. ჩუბინაშვილს მისი მადლიერი შეგირდის ი. გ. ჭავჭავაძისაგან“.

სამგლოვიარო მიტინგზე აკაკი წერეთელი მთელ-
 ერის გულისტკივილს გამოხატავდა, როცა ამბობდა:
 „ჩვენ აქ, მისი თანამემამულეები ცოტანი ვართ, მაგრამ
 ეჭვი არ არის, რომ ამ წუთში მთელი საქართველო ჩვენ-
 თანაა, რათა თავისი უკანასკნელი ვალი მოიხადოს იმის
 წინაშე. ვინც ასე ბევრი იშრომა სამშობლოსათვის და
 ამით უდიდესი სამსახური გაუწია. ამ დამსახურებისათ-
 ვის ქართველი ხალხი მას არასოდეს არ დაივიწყებს და
 ღირსეულ ადგილს მიუჩენს იმ საუკეთესო შვილთა შო-
 რის, რომლებმაც ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას ღრმა
 კვალი დააჩნიეს“.

გარდაიცვალა სახელოვანი მეცნიერი, მაგრამ შთამო-
 მავლობას დარჩა დ. ჩუბინაშვილის ნაშრომები და მდიდ-
 რული წიგნსაცავი, რომელიც განსვენებულის ანდერძის
 თანახმად მისმა მემკვიდრეებმა ქართველთა შორის წერა-
 კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცეს. იგი
 ალ. ცაგარლის ხელმძღვანელობით აღწერა პეტერბურგის
 უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის
 კურსდამთავრებულმა გ. ქართველიშვილმა. ბიბლიოთე-
 კის აღწერილობა შევიდა 1894 წელს პეტერბურგში და-
 ბეჭდილ წიგნში „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლ-
 თა შესახებ“, ნაწილი III, გვ. 102—148.

ეკლიანი ცხოვრების გზა განვლო დ. ჩუბინაშვილმა,
 მაგრამ როგორც ქვეყნის დიდ პატრიოტს შეეშენოდა.
 უშიშრად შეებრძოლა ყოველგვარ სიბნელეს და საპატიო
 წვლილიც შეიტანა ქართული ენის, მწერლობისა და სა-
 ქართველოს ისტორიის შესწავლა-პროპაგანდის საქმეში.
 ამდენად ინტერესს მოკლებული არ იქნება მისი მემკვიდ-
 რეობის უფრო დაწვრილებით გაცნობა.

რუსთველოლოგიური დაკვირვებანი

დ. ჩუბინაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული
 კლასიკური პოემის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.
 მას ეკუთვნის შ. რუსთაველის სადაურობის, ვეფხისტყა-

ოსნის პერსონაჟთა, პოემის გეოგრაფიული გარემოსა და სხვა საკითხების განსაზღვრის ცდები, მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რუსულ ენაზე ვეფხისტყაოსნის პოეტურად თარგმნაშიც.

ვეფხისტყაოსნის შედგენილობასა და, საერთოდ, ქართული მწერლობის განვითარების საკითხებზე ჩუბინაშვილმა საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა სტატიაში: «О грузинской поэме Вепхис-ткауосани или Барсова кожа», რომელიც საბალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის 1842 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა.

ლიტერატურის აღმავლობისა თუ დაცემის მიზეზი მან საესებით სამართლიანად ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებას დაუკავშირა. მწერლობის ავ-კარგი დამოკიდებულება ხალხის ბედზე, — წერდა იგი, — ლიტერატურა სუსტდება ხალხის პოლიტიკური ძლიერების შესუსტებასთან ერთად, საგარეო უბედურებისა და შინაგანი აშლილობის ვითარებაში, ხოლო მთელი ძალით იწყებს აღორძინებას ბრწყინვალე გამარჯვებების ეპოქაშიო. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს საქართველოს მაგალითი, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში თუმცა გადამწყვეტი როლის შესრულება არ შეეძლო, სამაგიეროდ, მე-12 საუკუნეში მას ჰქონდა ოქროს საუკუნე. ქართველი ხალხი წინ აღუდგა არაბების, მონღოლების, თურქ-სელჯუკების ძლიერებას და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან ერთად დიდი წარმატებები მოიპოვა კულტურის სფეროში. ამავე საუკუნეში გამოჩნდნენ უდიდესი მწერლები, რომლებმაც აღორძინების გზით წაიყვანეს ქართული ენა და ლიტერატურა.

ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსის შემდეგ ჩუბინაშვილი უშუალოდ ვეფხისტყაოსნის ავტორის ბიოგრაფიულ ცნობებზე ჩერდება; წინა მკვლევარებისაგან განსხვავებით, შ. რუსთაველი მან მესხად გამოაცხადა, განიზიარა ლიტერატურაში ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კლასიკური განათლება პოეტს ათონზე მიუღია, სიცოცხლის უკანასკნელი წლებიც ჯვრის მონასტერში ბერად გაუტარებია და იქვე გარდაცვლილა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მკვლევარმა რუსთაველი მესხად მიიჩნია თეიმურაზ ბაგრატიონის სიცოცხლეშივე, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი ვეფხისტყაოსნის ავტორს ჰერეთის წარმომადგენლად ასახელებდა. ცხადია, სარწმუნო წყაროების გარეშე ჩუბინაშვილს არ შეეძლო თავისი საყვარელი მასწავლებლის საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა. აღნიშნული მოსაზრება შემდგომში ფართოდ დამკვიდრდა რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში და ამჟამადც მეცნიერთა უმრავლესობა რუსთაველის მესხური წარმოშობის თეორიას იზიარებს.

დ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი როგორც ფორმით, ისე შინაარსით ძალიან ჰგავს აღმოსავლურ რომანებს. ეს მსგავსება ვნებათა გაზვიადებით, ეპითეტებით და ჰიპერბოლური გამონათქვამებით იმდენად აღეცხს მკითხველს, რომ ზოგიერთი კიდევ ფიქრობდა, თითქოს პოემის ძირითადი შინაარსი — ტარიელის ისტორია — ავტორს არაბულიდან ან სპარსულიდან გადმოეღოს.

ასეთი შეხედულების საწინააღმდეგოდ იგი ამტკიცებს, რომ შ. რუსთაველმა უცხო ამბავი შეგნებულად აიღო, პოემისათვის მეტი მიზნიდველობა რომ მიენიჭებინა. იმოწმებს ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც კარვად იცოდა სპარსული ენა და ლიტერატურა, დიდხანს ცხოვრობდა სპარსეთში, ბევრი წიგნიც თარგმნა სპარსულიდან, მაგრამ ამ ქვეყანაში ტარიელის ამბავს ვერსად მიაკვლია.

ამის საფუძველზე დ. ჩუბინაშვილი ამტკიცებს, რომ რუსთაველს თავისი პოემის სიუჟეტი აღმოსავლეთის მწერლებისაგან არ უსესხებია, იგი უშუალოდ მას ეკუთვნის, მით უმეტეს, რომ პოემის ქარგა იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეს უკავშირდება, და ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირები კონკრეტულ ისტორიულ პირებს მოგვაგონებენო.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის დ. ჩუბინაშვილისეული ისტორიულ-ალეგორიული თეორია, ისე როგორც ზოგიერთი სხვა დაკვირვება, ცალკეული შესწორებებით, გა-

ნავითარეს ქართველმა და ევროპელმა მკვლევარებმა. დავითის კონცეფცია შთაგონების წყაროდ იქცა ბევრი ქართველი შემოქმედისათვის.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მეცნიერის ანალოგიებიდან რამდენიმე ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება, რაზედაც ახლა ამომწურავ პასუხს იძლევა რუსთველოლოგიური ლიტერატურა. მაგრამ დ. ჩუბინაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასებისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ სტატია 128 წლის წინათ დაიბეჭდა, როცა გამოკვლეული არ იყო ვეფხისტყაოსნის არა თუ სიუჟეტი ან სტროფული შედგენილობა, არამედ პოემის ბეჭდვაც დიდ სარისკო საქმეს წარმოადგენდა.

დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ ნააზრევს უმეტეს შემთხვევაში ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ რაოდენ საკამათო და საცილობელიც არ უნდა იყოს მისი ესა თუ ის მოსაზრება, როგორც პროფესორი ლევან მენაბდე წერს, მეცნიერი-ქართველოლოგის კონცეფციამ თავის დროზე უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გავივების საქმეში.

დავითი განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა ვეფხისტყაოსნის როგორც მეცნიერულად შესწავლის, ისე სხვა ენებზე პროპაგანდის საკითხებისადმი. როცა გაზეთმა „კავკაზმა“ 1846 წელს ი. ევლახოვის მიერ რუსულად თარგმნილი პოემის ბეჭდვა დაიწყო, იმავე გაზეთში გამოქვეყნდა პეტერბურგელი ქართველოლოგის სტატია „შენიშვნები ვეფხისტყაოსნის თარგმანზე“.

დასახელებულ წერილში დ. ჩუბინაშვილი გვევლინება, როგორც პოემის საუკეთესო მცოდნე და მთარგმნელობით საქმიანობაში ზედმიწევნით გათვითცნობიერებული ადამიანი. ვეფხისტყაოსანი მას ჰარმონიულად და მიმზიდველად დაწერილ ნაწარმოებად მიაჩნია, რომლის მშვენიერებას მოქნილი ენა და დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები წარმოადგენენ. ქართველი ერის ამ კლასიკურ პოემას სტატიის ავტორი ამიერკავკასიის ილიადას უწოდებს.

შეუძლებელია ყოველი განათლებული მკვლევარი თუ მწერალი სიყვარულითა და პატივისცემით არ განიმსჭვალოს შოთას ბგერების მიმართ, რომლებიც დიდებულად ეღერენ, ნაზად და მწუხარედ ირხევიან, ან სულის სიღრმემდე ქვითინებენ, — აღნიშნავს პოემაზე უსაზღვროდ შეყვარებული მეცნიერი და მიუთითებს, რომ რუსულად მისი თარგმნა ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა.

ბგერათა პარმონიულობისა და ენის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე მას ვეფხისტყაოსნის თარგმანი წარმოუდგენლად მიაჩნია. ამიტომაც აკრიტიკებს ი. ევლახოვს. რომელმაც სრულიად საწინააღმდეგოდ გაიგო პოემის შესანიშნავი ადგილები, არ გაითვალისწინა წინამორბედი მთარგმნელების მემკვიდრეობა და მკითხველს უხეიროდ შესრულებული თარგმანი მიაწოდა.

აქვე განიხილავს ი. ბარდტინსკის მიერ თარგმნილ ვეფხისტყაოსანს და ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდ კეთილსინდისიერებას, რაც რუსმა პოეტმა ნაწყვეტის თარგმნისას გამოიჩინა.

რადგან საუბარი რუსულ ენაზე პოემის პირველ თარგმნას შეეხო, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დ. ჩუბინაშვილის დიდი წვლილი ამ საქმეში.

ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში მ. ბროსეს უნდა გამოექვეყნებინა თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტება ვეფხისტყაოსნისა“ ფრანგულ ენაზე. სწორედ ამ პერიოდში ჩუბინაშვილმა მოამზადა პოემის პროზაული თარგმანი და როცა რუსმა მეგობარმა შ. რუსთაველის პოემის თარგმნა იკისრა, დავითმა მას დიდი შემწეობა აღმოუჩინა. როგორც შინაარსის გაცნობაში, ისე ვეფხისტყაოსნის ბჭკარედის თარგმანშიც.

ამ ფაქტის აღნიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია იმიტომაც. რომ უკანასკნელ დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო მოსაზრება, თითქოს პოემის თარგმნის იდეა საქართველოში წარმოშობილიყოს. უფრო მეტიც, ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტი ი. ბარდტინსკის ზუგდიდში, ნ. დადიანთან ერთად ეთარგმნოს.

ნიკოლოზ დადიანის მონაწილეობა ვეფხისტყაოსნის
6. კ. კინწურაშვილი

პირველ პოეტურ თარგმანში არავეთარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, როგორც მკვლევარი ლ. ანდლულაძე სარწმუნო წყაროებით ამტკიცებს, ეს სამუშაო შესრულდა პეტერბურგში, დ. ჩუბინაშვილის უშუალო მონაწილეობითა და აქტიური მხარდაჭერით, რასაც ადასტურებს მრავალი დოკუმენტი. ამის თაობაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსულ ენაზე თარგმნილია პოემის ნაწყვეტმა გარკვეული როლი შეასრულა შ. რუსთაველის პოეტური გენიის პროპაგანდის საქმეში, თუმცა მხატვრულობით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მომდევნო პერიოდში შესრულებულ ვეფხისტყაოსნის თარგმანებს.

და ბოლოს, როცა ვეფხისტყაოსნის კვლევის საქმეში დ. ჩუბინაშვილის დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა გამოიყოს შემდეგი მთავარი მომენტები:

პ ი რ ვ ი ლ ი: 1840-1860 წლებში დ. ჩუბინაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შ. რუსთაველის პოემის ვახტანგისეული ტექსტისა და სხვა ხელნაწერების კრიტიკულად განხილვასა და ისტორიული შედგენილობის განსაზღვრაში. ძნელად გასაგები სიტყვებისათვის ლექსიკონის შედგენასა და ვეფხისტყაოსნის პუბლიკაციის საქმეში.

მ მ ო რ მ: მას მიეკუთვნება ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ალეგორიული თეორია, რომელიც დიდხანს იყო მიღებული და ზოგიერთი მკვლევარი ახლაც იზიარებს. მეცნიერთა შორის იგი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც შ. რუსთაველი მესხეთის მკვიდრად მიიჩნია, პოემაში ასახული ამბავი ქართულ ისტორიულ სინამდვილეს დაუკავშირა და გმირთა პროტოტიპების ძიებაც ჩვენში დაიწყო, მოგვცა საგულისხმო დაკვირვებები პერსონაჟთა მხატვრულ სახეებზე და მათ სასაუბრო ენაზე.

მ მ ს ა მ მ: დ. ჩუბინაშვილი მუდამ იბრძოდა, რომ ქართული კლასიკური პოემა ხელმისაწვდომი გამხდარიყო რუსი და ევროპელი მკითხველისათვის. მან რუსულ ენაზე შეადგინა ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმანი და აქტიური მონაწილეობა მიიღო ი. ბარდტინსკის მიერ

82

შესრულებული პოემის ნაწყვეტის (142 სტროფი) პირველ პოეტურ თარგმანში. შესრულებული სამუშაო ჟურნალ „ილუსტრაციაში“ გამოქვეყნების შემდეგ მის მიერ გამოცემულ „ქართულ ქრესტომათიაშიც“ შეიტანა.

საქართველოს ისტორიის კვლევა

ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა დ. ჩუბინაშვილს ეროვნული აღორძინების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნდა. ამიტომაც პეტერბურგელ ქართველოლოგებთან ერთად იგი გულმოდგინედ იკვლევდა არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულ დოკუმენტებსა და წინამორბედი ავტორების ნაშრომებს. ნაყოფიერმა მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო. დროთა განმავლობაში მან დიდძალ მასალას მოუყარა თავი, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა მრავალი სტატია თუ გამოკვლევა.

საგულისხმოა, რომ ქართველ მეცნიერთა შორის იგი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ამტკიცებდა შორეულ ისტორიულ ეპოქაში ჩვენი ხალხის ნათესაურ კავშირს მცირე აზიის მოსახლეობასთან.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს 1877 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილების სერია „ეთნოგრაფიული განხილვა ძველისა და ახალთა კაპადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“, რომელშიც საინტერესო დაკვირვებებია მოცემული მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის პრობლემებზე.

დ. ჩუბინაშვილის აზრით, კაპადოკიის მრავალი ქალაქის, მთისა და მდინარის სახელწოდება ქართულია და რომ ზნე-ჩვეულების, ყოფა-ცხოვრებისა და მმართველობის წესის საფუძველიანი გაცნობა საქართველოსთან კაპადოკიელთა ნათესაურ კავშირზე მიგვანიშნებს.

ბერძენ-რომაელი, ევროპელი და აღმოსავლეთის ის-

ტორიკოსთა ცნობებზე დაყრნობით იგი განიხილავს კაპადოკიის იმ ნაწილს, რომელიც პონტოსა და კოლხიდის სამეფოებად იყო დაყოფილი.

როგორც ცნობილია, პონტოს ნაპირებზე დაარსებული ქალაქები სინოპი, ამიზუსი, კოტიორა და ტრაპეზუნტი სპარსეთისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ და უძველესი დროიდანვე ვაჭრობდნენ მეზობელ ქვეყნებთან.

პონტოს სამეფოს ისტორიაში იყო აყვავების ხანა, როცა ამ უკანასკნელმა თავის გავლენის ქვეშ მოაქცია მრავალი ქვეყანა, მათ შორის კოლხეთიც. 284 წელს მითრიდატემ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა მაკედონიის მეფე ლისიმახზე. ამის აღსანიშნავად მან ახალი წელთაღრიცხვა შემოიღო, რომელიც შემდეგ მიიღეს როგორც ბოსფორის სამეფოში, ისე კოლხიდასა და იბერიაში.

„აქამდე სწავლულებმა სწორად არ იცოდნენ პონტოს სამეფოში რომელი წლიდან იწყებოდა ახალი ერა. ზოგი ცდებოდა 8, ზოგი 10, ზოგიც 12 წლით. ქართული ქრონიკონის შედარებისას აღმოჩნდა, რომ ჩვენი და პონტოს ერას დასაბამი ძველი წელთაღრიცხვის 284 წელიწადია; ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქრონიკონის საქცევია 532 წელიწადი, რომელიც შედგება 28 რომ გავამრავლოთ 19-ზე. ეს იმიტომ, რომ ყოველ 28 წელიწადში ერთხელ ხდება მზის მოქცევა, 19 წელიწადში კი მთვარისა“, — წერდა დ. ჩუბინაშვილი.

ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში იგი გამოყოფს მითრიდატე პონტოელის მეფობის პერიოდს. მითრიდატე იყო ბუნებით ახოვანი, ფრიად განათლებული, ფლობდა 22 ენას, ჰქონდა საკვირველი მეხსიერება და მამულის განდიდებისათვის არაფერს არ ერიდებოდა. მეზობელ ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ შეიჭრა კოლხიდაში, დაიპყრო აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სრულიად ბოსფორის სამეფო. შფოთი ატეხა კაპადოკიაში, მოაკვლევინა იქაური მეფე და მის მაგიერ თავისი შვილი დასვა; სწორედ ეს გახდა რომაელებთან პონტოს სამეფოს პირველი შეტაკების მიზეზი. ამ ომში რომაელებმა დაკარგეს თრაკია და ათენი.

ისტორიულად ცნობილია, რომ ბოსფორის სამეფოში შითრიდატემ თავისი შვილი მახარე დასვა, მაგრამ რომის სარდალმა ლუკულუსმა პონტოს მეფის წარმატებებს ფრთები შეაკვეცა. დამარცხებული შითრიდატე ჯერ სომხეთში გაიქცა, აქედან კოლხეთსა და ბოსფორში გადავიდა, სადაც (შვილია ლალატის შედეგად) იგი დაიღუპა.

ამიერიდან 1204 წლამდე პონტოს სამეფო ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. საქართველოს სამეფოს გავლენა ტრაპეზუნტის იმპერიის სახელწოდებით ცნობილ პონტოს სამეფოზე 1461 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე ეს უკანასკნელი ოსმალებმა არ დაიპყრეს. ამის მიუხედავად, ტრაპეზუნტის საფაშოში მომდევნო საუკუნეებშიც ცხოვრობდნენ ჭანები, რომელთა ენაც დიდად ენათესავება მეგრულს.

დ. ჩუბინაშვილი უფრო დაწვრილებით მიმოიხილავს კოლხეთის სამეფოს ისტორიას, მოჰყავს სტრაბონის, პლინიუსის, ქსენოფონტეს, არიანესა და პროკოფი კესარიელის ცნობები კოლხეთისა და კოლხების შესახებ. იგი იზიარებს ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეს უძველესი მხარე იყოფოდა 5 ნაწილად: ეგრისი (სამეგრელო) მარგვეთი ან არგვეთი (იმერეთი), წუნდა და არტაანი (სამცხე), ოძრხე (ვლრია), კლარჯეთი (სპერი ან ისპირის ხეობა და ტაო). ძველი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში კოლხეთი პონტოს სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა, ამ უკანასკნელის დაცემის შემდეგ კოლხეთში სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამთავრო წარმოიშვა: ლაზისტანი, სამცხე და ჭანეთი.

მე-2 საუკუნეში ლაზებმა დაიპყრეს იმერეთი და სამეგრელო და შექმნეს სამეფო, რომელიც მე-5 საუკუნეში რომსა და სპარსეთს შორის ომის მიზეზი გახდა. სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონები, მათ მოსპეს ლაზების მეფობა, დაიმორჩილეს იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, მოგვიანებით კი ქართლი და კახეთი.

დ. ჩუბინაშვილი განიხილავს უძველეს სახმელეთო და სამდინარო გზებს, რომლებიც დასავლეთ საქართვე-

ლოს ინდოეთთან და ჩინეთთან აკავშირებდა. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ქსენოფონტეს ცნობებს პონტოსა და კოლხეთის მოსახლეობისა და ტერიტორიის შესახებ, არ ეთანხმება პროკოფი კესარიელის მიერ მოცემულ მდინარე ბოას აღწერილობას, რომლითაც თითქოს მდინარე დიდდებოდა და იღებდა ფაზისის სახელს, ამასთანავე: თითქოს მასზე გაშენებული იყო ქალაქი შორაპანი.

„ფაზისი ჩამოუდიოდა ლაზისტანს და არა ივერიას, ბოას მარჯვენა ნაპირი, როგორც ეხლაცა სჩანს, ეჭირათ მესხებს და ამ მდინარეზე არც შორაპანი ყოფილა გაშენებული,“—წერდა დ. ჩუბინაშვილი.

აღნიშნულ საკითხზე მან ყურადღება გაამახვილა იმიტომაც, რომ პროკოფის ცნობამ შეცდომაში შეიყვანა დიუბუა, რომელმაც ერთმანეთში აურია ბოა და ხანის წყალი.

ქართველი მეცნიერი აკრიტიკებს აგრეთვე ისტორიკოს ნ. ემინს, რომელმაც ფაზისი ჭოროხად გამოაცხადა და აღნიშნა, თითქოს იგი სომხეთის ტერიტორიას ჩაუდიოდა. სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ ეს ადგილები ოდითგანვე მესხებს ეჭირათ, მდინარე ჭოროხი კლარჯეთის ტერიტორიაზე მოედინება, მოსე ხორენელის გეოგრაფიით კი ტაო-კლარჯეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ამავე გეოგრაფიით საქართველოს ეკუთვნოდა არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა და სხვა, რომლებიც შეადგენდნენ ჭოროხის მხარეს და არა სომხეთისას.

დ. ჩუბინაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ტაო-კლარჯეთის მონაწილეობას საქართველოს კულტურულ წინსვლაში. როგორც ცნობილია, ამ კუთხემ ქვეყანას აღუზარდა ბევრი გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მათ შორის იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეები, გიორგი ოლთისელი, თორნიკე ერისთავი და სხვა. ტაო-კლარჯეთში ფართოდ გავრცელდა სამონასტრო მშენებლობა. მე-9 საუკუნეში აქ იყო 31 სამღვდელმთავრო საყდარი, აწყურის, კუმურდოს, იშხნელის, ანჩელის, მტბევიარის, წყაროსთვალელის, ვალაშკერთელის, ანელის,

ბანელის, დადაშნელისა და სხვათა ეპარქია. ამათ გარდა აიგო შესანიშნავი ხახულის ტაძარი.

ისტორიული წყაროების საფუძვლიანი ცოდნა დ. ჩუბინაშვილმა მაშინაც გამოამყვანა, როცა გამოსცა „ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე (ახალი 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე)“. რუსულად და ფრანგულად დართულ წინასიტყვაობაში ლაპარაკია ქართულ ენაზე დაწერილი ისტორიული თხზულებების დიდ ღირსებებზე. საქართველოს ისტორიის სარწმუნო წყაროებად მკვლევარს მიაჩნია ძველი მატყანეები. ისტორიული თხზულებები, თანამედროვეთა გადმოცემები, მეფეთა და გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერილობანი და მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიური მაჩვენებლები.

უპირატესობას ქართლის ცხოვრებას ანიჭებს, რომელშიც თანმიმდევრულადაა გადმოცემული ამბები. ქართლის ცხოვრების სხვადასხვა ხელნაწერების განხილვისას მაღალ შეფასებას აძლევს ამ საქმეში ვახტანგ VI-ის დამსახურებას, რომელმაც, საერთოდ, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლაში.

რაც შეეხება მატყანის სტილს, იგი „მარტივი გამართული ენით არის დაწერილი, თუმცა მასში ადგილ-ადგილ აღმოსავლურ მწერალთა მედიდური და მეტაფორული ენაც გვხვდება. საკმაო ნაკლი „ქრონიკისა“ (ასე უწოდებს ქართლის ცხოვრებას, კ. კ.) დ. ჩუბინაშვილის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ მასში იშვიათად არის ნაჩვენები წლები, როდის მოხდა ესა თუ ის ამბავი.

იგი კმაყოფილებით აღნიშნავს მ. ბროსეს დამსახურებას ქართლის ცხოვრების პუბლიკაციის საქმეში. ამასთანავე განიხილავს ქართულ ისტორიულ თხზულებებს.

განსაკუთრებით გამოყოფს ქართველი ბატონიშვილების მოღვაწეობას ისტორიის, გეოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის დარგში; ვახუშტის საქართველოს ისტორია მოსწონს იმიტომაც, რომ იგი დაწერილია მარტივი, გასაგები ენით და ქრონიკისაგან გამოირჩევა მიუდგომლო-

ბით, თარღების ზუსტი ჩვენებით. გამოკვლევას ისეთი სწავლული კაცის შრომას უწოდებს, რომელიც ყოველგვარ მასალას კრიტიკულად უდგება.

ასევე დადებით შეფასებას აძლევს დ. ჩუბინაშვილი იოანე ბატონიშვილის კალმასობას, რომელიც „ღირსშესანიშნავია არა მარტო საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის, არამედ ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ლიტერატურის შესასწავლადაც“.

თეიმურაზის საქართველოს ისტორია, რომელშიც ქართული, ბერძნული, ლათინური და სპარსული წყაროებია გამოყენებული, ჩუბინაშვილის სიტყვით, გამოირჩევა თხრობის ოსტატობით და მას ლიტერატურული ღირსებები უფრო აქვს, ვიდრე ისტორიული. აქვე დასახელებულია ანტონ პირველის საქართველოს მოკლე ისტორია და დავით თუშანიშვილის მიერ შედგენილი ქართველ მეფეთა საგვარეულო სია ქართლის, კახეთის, იმერეთისა და საათაბაგოს მოკლე ისტორიით.

ინტერესს იწვევს სეხნია ჩხეიძის საქართველოს მატთანე, რომელშიც 1653-1737 წლებში მომხდარი ამბებია მოთხრობილი. მემატთანე თვითონ იღებდა მონაწილეობას ქართლის მეფის გიორგი XI-ის ლაშქრობაში ავღანეთისა და ყანდაარის მმართველის, მირვეისის, წინააღმდეგ და ამის გამო დასახელებულ ნაშრომს მნიშვნელობა აქვს სპარსეთის ისტორიისათვისაც, რადგან სპარსეთში მომხდარი ამბები ზუსტად და ვრცლად არის გადმოცემული.

დ. ჩუბინაშვილი განიხილავს იმ თხზულებებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის, მათ შორის პაპუნა ორბელიანისა და ფარსადან გორგიჯანიძის მატთანეებს, უცნობი ავტორის ქრონიკას, ბაგრატ და დავით ბატონიშვილების საქართველოს ისტორიას, თეიმურაზ ბაგრატიონის ალა-მაჰმად ხანის თბილისში შემოჭრის ამბავს, უცნობი ავტორის ახალციხის ოლქის დაპყრობის (1625 წ.) ისტორიას, ქართველ წმინდანთა ცხოვრებას. იგი ცალკე გამოყოფს სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებს, რადგან მათში საყურად-

ლებო ცნობებია ძეფეებზე, დედოფლებზე, მთავრებზე და ყველა იმ პირებზე, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სარწმუნოებისა და მამულის დასაცავად ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლებში.

იმ მრავალ წმინდანთა შორის, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, ქართული მწიგნობრობის განვითარებისა და ქვეყნის დაცვის საქმეში. დასახელებულია ოსებ თბილელის გიორგი სააკაძის ცხოვრება, უცნობი ავტორის დიდი მოურავის გარდაცვალების ისტორია, რომელიც 1834 წელს გამოსცა მ. ბროსემ პარიზში ლითოგრაფიული წესით. ნახსენებია არჩილის მიერ გალექსილი თეიმურაზ პირველის ცხოვრება, დავით გურამიშვილის ვახტანგ VI-ის ცხოვრება, ომან მდივანბეგის, ერეკლე II-ის ცხოვრება, ორბელიანის გვარის ისტორია, უცნობი ავტორის მიერ შედგენილი ქართველი თავადებისა და აზნაურების ისტორია, ათონის მთაზე და იერუსალიმში ქართველი მოღვაწეების ცხოვრება, მცხეთის მონასტერში დაცული ტლაშაძისა და უცნობი ავტორის მიერ შედგენილი საქართველოს უმნიშვნელოვანესი მოვლენების ქრონოლოგიური მაჩვენებლები.

ამათ გარდა, საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დ. ჩუბინაშვილს აუცილებლად მიაჩნდა სამეფო სიგელები, ბრძანებულებები და დადგენილებები, რომლებიც ინახებოდა კერძო პირებთან, სხვადასხვა არქივებსა და ეკლესია-მონასტრების საცავებში. მეფეებისა და მთავრების მიერ საკუთარი ხელით შედგენილი წერილები, ქართველი მეფეების მარჯვ-მარჯვარა სხვა ხელმწიფეებთან, განსაკუთრებით რუსეთის მეფეებთან. ეკლესია-მონასტრებისა და სხვა ისტორიული ძეგლების წარწერები, საქართველოში მოჭრილი ფული, ხალხის შინაგანი ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები, ვახტანგ VI-ის სამართალი, რომელიც საკუთრივ ვახტანგის მიერ შედგენილი კანონების გარდა შეიცავს გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიელთათვის შედგენილ კანონებს, ბექასა და აღბუღას სამართალს, საქართველოს ისტორიის დამხმარე წყა-

რობად დასახელებულია აგრეთვე კათალიკოს მალაქიას 1605 წლის მონათა გაყიდვის შესახებ საკრებულო გადაწყვეტილება, რომელსაც ვახტანგ მეექვსემ დაუმატა ბერძენთა, სომეხთა და სხვათა კანონები, უცნობი ავტორის მიერ შედგენილი იმერეთის სამეფოს დადგენილებები, დასტურლამალი, მეფედ კურთხევის წესი მიხეილ კათალიკოსისა; გელათის, მცხეთისა და სხვა ტაძრების სიგელები, მეფეთა ბრძანებებით ჩატარებული ხალხის აღწერის მასალები...

მომავალ ისტორიკოსებს ჩუბინაშვილი რჩევას აძლევდა, რომ კვლევით მუშაობაში ფართოდ გამოეყენებინათ საქართველოს ტოპოგრაფიული აღწერილობა. თეიმურაზ მეორის, არჩილისა და ვახუშტის ნაშრომები, რომლებშიც სამეფო წყობილება და ქართველთა ზნეჩვეულებებია დახასიათებული.

ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილში დ. ჩუბინაშვილმა შეიტანა ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ახალი ისტორიის ის ნაწილი, რომელშიც კრიტიკულად არის განხილული 3 სამეფოდ და 5 სამთავროდ საქართველოს დაყოფა, მე-15-18 საუკუნეების ქართლის სამეფოს ისტორია, მე-7-18 საუკუნეების კახეთის სამეფოს ისტორია, იმერეთის სამეფოს ისტორია 686—1745 წლებში, სამცხე-საათაბაგოს ისტორია 508—1746 წლებში, მე-13-18 საუკუნეების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ქრონოლოგიური მაჩვენებელი. მინ ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოების ისტორია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცული ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერი ისტორიიდან გადმობეჭდა. მეორე ტომში შევიდა აგრეთვე უცნობი ავტორის ქრონიკა 1475-1605 წლებისა, სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის მატრიანეები, ომან მდივანბეგის ერეკლე მეფის ცხოვრება, დავით ბატონიშვილის ქართლის, კახეთისა და ნაწილობრივ იმერეთის ისტორია 1744-1800 წლებში. კრებულში ფარსადან გორგიჯანიძის მატრიანედან შევიდა მხოლოდ როსტომ მეფის, ვახტანგ V-ის და გიორგი XI-ის ცხოვრება.

გამომცემელი შენიშნავს. რომ როსტომ მეფის ცხოვრებადღე ამბავი ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობითაა შედგენილი და კრიტიკულად შესწავლის გარეშე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ამ სახით მისი გამოქვეყნებაო.

მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის შედგენილ ქართულ ქრესტომათიაში, აგრეთვე ა. პლიუმარის, პ. ლავროვის, ი. ბერეზინისა და ნ. სტარჩევსკის რედაქტორობით გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში გამოქვეყნდა. ჩუბინაშვილის მრავალი წერილი, რომლებიც ეძღვნება ისტორიულ და იურიდიულ დოკუმენტებს. ქართული გვარების წარმოშობას, საქართველოს ქალაქების ისტორიას, ჩვენი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების საკითხებს და სხვა. საგანგებოდ განიხილავს ვახტანგ მეექვსის სამართალს და გვაძლევს საინტერესო დაკვირვებებს ისეთ სოციალურ კატეგორიებზე, როგორცაა პატრონი, მდივანი, ქორ-იასაული, ბოქაულთუხუცესი, აზნაური, სახასო გლეხი.

აზნაური ნიშნავს „თავისუფალს“, „კეთილშობილს“. გადმოცემით, ქართველ აზნაურთა წოდებას სათავე ფარნავაზ მეფის დროს დაედო. პირველ ხანებში აზნაურობა ორ ფენად—უმალღესად და უმაღლესად იყოფოდა. შემდგომში ჩინებულმა აზნაურობამ მთავრის, ანუ თავადის წოდება მიიღო. აზნაურები მეფისა და უმაღლესი სასულიერო პირების ამაღლაში შედიოდნენ. ფლობდნენ დასახლებულ მიწებსა და გლეხებს. მეფისაგან ნაწყალობევ მიწებზე შეეძლოთ აეგოთ პატარა ციხე-სიმაგრე, უფლება ჰქონდათ გადასულიყვნენ მეფიდან მთავართან, მთავრიდან მეფესთან და სასულიერო უწყებაში. არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ. მათი მთავარი მოვალეობა იყო ჯარში ან სამოქალაქო მმართველობაში სამსახური, გვარის ძირძველობა უპირატესობას აძლევდა ერთ გვარს მეორეზე. აზნაურისათვის სისხლით შეურაცხყოფის მიყენება საურავით ისჯებოდა.

სახასო ანუ სახელმწიფო გლეხი, დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ნიშნავს ყმას, რომელსაც ქართულ ენაში ორგვარი მნიშვნელობა გააჩნია: ქვეშევრდომი და გლეხი.

ფი მიეკუთვნება აზნაურს ან გლეხს. მეფეთა მიერ აზნაურებისადმი გაცემულ სიგელებსა და სხვა აქტებში სახასო გლეხები ზუსტად ასე მოიხსენებიან, რადგან მე-19 საუკუნემდე ქართულ ენაში არ არსებობდა подданын-ს ფარდი სიტყვა, მოგვიანებით შემოვიდა „ქვეშევრდომი“.

ცალკე განიხილავს თარხნობის სიგელს, ბარათსა და სამეფო ხელისუფლების ტიტულებს.

თარხნობის სიგელი, მისი სიტყვით, გაიცემოდა განსაკუთრებული დამსახურებისა და წარჩინებისათვის. იგი ერთგული სამსახურისათვის ტიტულად ეძლეოდათ პირებს, რომლებიც აზნაურთა ფენიდან არ იყვნენ. თარხნობის სიგელის მფლობელები თავისუფლებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან, მათი გასამართლებაც მხოლოდ მეფეებს ან მეფისაგან დანიშნულ მოსამართლეებს შეეძლოთ.

ბარათი ნიშნავდა რაიმესაგან განთავისუფლებას, საერთო წესებიდან ამოღებას, ლათინური privilegium-ის მსგავსად. ბარათის სახელწოდებით ცნობილია კერძო პირთა თხოვნებზე მეფეთა რეზოლუციები და ბრძანებები, რაც ჩვეულებრივ ასე იწყებოდა: ჩვენი ნებაა, მერე აღინიშნებოდა იმ პირის სახელი, ვისაც ბრძანება ეკუთვნოდა, თან ერთვოდა შედგენის წელი, რიცხვი და თვე. ბარათის სისწორეს მეფე ხელმოწერით ან ბეჭდით ადასტურებდა.

საინტერესოა დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებები სამეფო ხელისუფლების ტიტულის შესახებ. „საქართველოში დამოუკიდებელი მფლობელობის დროს.—წერდა იგი,— მეფეები თავის გავლენის ქვეშ აქცევდნენ სხვა მფლობელებს და აქედან წარმოსდგება სიგელებში ხმარებული სიტყვა მეფეთა მეფე და დედოფალთა დედოფალი“.

ერთმმართველობის დროს, განსაკუთრებით მე-12 საუკუნეში, მეფეები იწოდებოდნენ შვიდი სამეფოს ან ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერის მეფეებად. დავით აღმაშენებელი სიგელებში იწოდებოდა მეფედ აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა. მეცნიერი ერთმანეთთან ადარებს ერაკლე მეფემდე და მის შემდეგ არსებულ სამეფო

ტიტულებს და აღნიშნავს, რომ იგი დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდიდა. მაგალითად, წინათ მეფე სიგელს თუ ასე იწყებდა: ჩვენ მეფეთა მეფე, ღვთისწყალობით, გვირგვინოსანი, თვითმპყრობელი ხელმწიფე და ა. შ., 1782 წლის 23 აგვისტოს ერეკლე მეფის მიერ გაემულ სიგელში წერია: წყალობითა ღვთისაითა ჩვენ ირაკლი მეორემან, მეფემან ქართლისამან, მეფემან კახეთისამან, მემკვიდრემან მთავართამან უაზახისამან, მთავარმან ბორჩალოსა, მთავარმან შამშადილისა, მთავარმან კაკისა, მთავარმან შაქისა და მბრძანებელმან განჯისა და ერევანისაგან, გიბოძეთ... და სხვ. დავითი აქვე დასძენს, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მკდომი მუსლიმანი მეფეები ქართველ მეფეთა ტიტულებს უმატებდნენ სპარსეთში მინიჭებულ წოდებებს.

გარდა ამისა დ. ჩუბინაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პ. დოღგორუკოვის მიერ გამოცემული რუსეთის საგვარულო წიგნის შედგენაში. მის კალამს ეკუთვნის აღნიშნულ ნაშრომში დაბეჭდილი ამირეჯიბის, გელოვანის, გრუზინსკის, გურჯელას, ღადეშქელიანის, ჯავახიშვილის, მაჩაბელის, ფალავანდიშვილის, ორბელიანის, ხერხეულიძის, წერეთლის, ჩოლოყაშვილის, შერვაშიძის, ერისთავის, თუმანიშვილის, ავალიშვილისა და სხვა გვარების ისტორია.

ანდრონიკაშვილების გვარის პირველსაწყისად მან ბერძენთა იმპერატორი ანდრონიკე კომნენი მიიჩნია. რომლის შვილმა ალექსიმ შთამომავლობით კახეთის დასახლებული მიწები მიიღო. მომდევნო საუკუნეებში ანდრონიკაშვილებმა ქიზიყის მოურავობა დაიმსახურეს.

ამილახვრები, დ. ჩუბინაშვილის აზრით, იოთამ ზედგენიძიდან მოდიან. ეს ის იოთამ ზედგენიძეა, რომელმაც 1465 წელს საქართველოს მეფე გიორგი VIII გადაარჩინა და თვითონ მტრებთან ბრძოლაში დაიღუპა. მის მემკვიდრეებს თავადის წოდება მიანიჭეს, გვარში უფროსს კი მეფემ გორისა და მისი ოლქის ვოევოდობა (ქალაქის თავობა) მისცა და შთამომავლობით ობერ-შტალმეისტრობა, ქართულად ამილახვრის წოდება უბოძა.

აბაშიძეების გვარის წარმოშობას აბისინიელ აბეშს უკავშირებს, რომელმაც მე-7 საუკუნის საქართველოში თავადის წოდებით მიწები მიიღო. მე-17-18 საუკუნეებში აბაშიძეები იმერეთის მეფის ვასალთა შორის უძლიერესნი არიან, თავიანთი ნებით მართავენ ქვეყანას, ეწევიან შეუპოვარ ომებს ხან თურქეთის, ზოგჯერ კი იმერეთის მეფეებისა და ვასალების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, სხვადასხვა ენციკლოპედიებში დ. ჩუბინაშვილმა სპეციალური სტატიები გამოაქვეყნა: ანაკლიის, არტანუჯის, ანაკოფიის, ანანურის ციხე-სიმაგრეების და ალავერდის ტაძრის შესახებ. პ. ლავროვის რედაქციით გამოცემულ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში დაბეჭდა წერილები ანტონ პირველის, არსენ კათალიკოსის, ალექსანდრე კახთა მეფის ცხოვრებაზე, არჩილ მეორის, ქართველი არსაკიდების, ბაგრატიონთა გვარის წარმოშობაზე, აფხაზეთის სოციალურ წყობაზე და სხვა.

საყურადღებოა აფხაზეთისადმი მიძღვნილი წერილი, რომელშიც მეცნიერულად გაანალიზებულია ქვეყნის სოციალური სურათი. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ აფხაზეთში შემავალი სამი მთავარი ტომი: საკუთრივ აფხაზები, ჯიხი და აბაზგები აფხაზურ ენაზე ლაპარაკობენ. მათ არ გააჩნიათ საკუთარი დამწერლობა. თავადების უმაღლესი ფენა და მემამულეები ქართულად ლაპარაკობენ და იყენებენ ქართულ დამწერლობას.

მეცნიერი შემდეგ მიუთითებს, რომ აფხაზები ოთხ სოციალურ ფენად იყოფიან: პირველს მიეკუთვნებიან თავადები, მეორეს—მემამულეები, მესამეს—გლეხები და მეოთხეს—მონები. თავადებში ორი ფენა გამოიყოფა: პირველი—მფლობელი თავადი, მეორე—თავადი მემამულე; მათ განკარგულებაშია დიდძალი ადგილები და გლეხები.

მფლობელი თავადი არის აფხაზეთის უმაღლესი ხელისუფალი. მისი მთავარი მოვალეობაა მტრების თავდასხმისაგან დაიცვას ქვეშევრდომების სიცოცხლე. მმართველი თავადის ხელისუფლება გადადის მემკვიდრეობის წესით უფროს შვილზე ან გვარში უფროსზე.

თავადი მემამულე ფლობს დასახლებულ მიწებს და გლეხებს,—განაგრძობს დ. ჩუბინაშვილი, მმართველ თავადს იგი არავითარ ღალას არ უხდის. მისი მთავარი მოვალეობაა მმართველი თავადის დავალებით შეასრულოს სამხედრო და სამოქალაქო ვალდებულება. მემამულეებს აქვთ აგრეთვე უფლება, ჰქონდეთ დასახლებული მიწები და ჰყავდეთ გლეხები, ისინი შეადგენენ მმართველისა და თავადის დრუჟინას, ასრულებენ დანიშნულებებისამებრ საომარ და სამოქალაქო მოვალეობას და არ იხდიან არავითარ ღალას.

გლეხები მებატონეებს თავიანთი მოსავლიდან უხდიდნენ პურს და ღვინოს, არაუმეტეს 1/10 ნაწილისა, სარგებლობდნენ პირადი თავისუფლებით და ქონების თავისუფლებით. პირადი თავისუფლება იმაში მდგომარეობდა, რომ ბატონი მხოლოდ ხარკს იღებდა მათი მოსავლიდან და არ ჰქონდა მათზე არავითარი საბატონო უფლება.

დ. ჩუბინაშვილის დახასიათებით, მონები მფლობელის სრულ საკუთრებას წარმოადგენდნენ, მფლობელს მათზე ჰქონდა განუსაზღვრელი ხელისუფლება.

მკვლევარი შენიშნავს, რომ ძლიერი მებატონეები ადრე შინა ომებს ეწეოდნენ, ერთმანეთს ანადგურებდნენ და ასუსტებდნენ მმართველის ხელისუფლებას; 1846 წელს აფხაზეთის უმაღლესმა ხელისუფალმა გააუქმებინა მმართველობის აპარატი. უარყო სისხლის აღების წესი და დამნაშავეებს ხარკი დააკისრა.

ისე როგორც სხვა ქართველ მეცნიერებს, დ. ჩუბინაშვილსაც აინტერესებდა მე-17-18 საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემები და ყველა ის საკითხი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ბედს განსაზღვრავდა. ამასთან დაკავშირებით უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში შესწავლილ დოკუმენტებს, რომლებიც შეეხება ქართველი მეფეებისა და მთავრების მიმოწერას რუს ხელმწიფეებთან, აგრეთვე ქართველი ერისთავებისა და საეკლესი-

სიო პირების წერილებს . რუსეთში მცხოვრებ ვახტანგ მეფესთან და სხვ. აქ არის იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის წერილი ალექსი მიხეილის ძისადმი. თუმცების.. ხევსურებისა და ფშავლების ერთგულების ფიცი რუსეთის მეფე ალექსი რომანოვისადმი. საგულისხმოა ოსმალეთთან დამარცხებული იმერეთის მეფე არჩილის 1680 წლის 28 ნოემბრის სიგელი თევდორე მეფისადმი: „...ბრძანება ღვთისა არის თქვენზედა. რომ დაჭირებულსა და შეწუხებულსა მართლმადიდებელს ქრისტიანს მოეხმარო და უშველო რამე... ამდენი საყდრები და მონასტრები, ამდენი პატიოსანი ხატი და ჯვარი. ამდენი წმინდანი ნაწილები დაკარგვას აპირობენ. სულ წახდენას აპირობენ, მოეხმარე, ნუ შეურაცხყოფ, დაგვიხსენ განსაცდელისა და საცდურისაგან“.

1722 წლის სექტემბერში იმედგაცრუებული ვახტანგ VI წერს პეტრე პირველს: „ველოდით თქვენს ძალას და ამდროს ივანე ანდრიაშვილი (ვახტანგის ელჩი. კ. კ.) მოიწია და რომელიც დავედრებულა ამბავი მოგვიტანა, ის მოვისმინეთ, იმაზედ გამოვბრუნდით, თუმცა ამ საქმით ყენიც დაგვემდურა, კახი ბატონიც აგვეშალა და ხონთქარიც წყინობს და იმუქრების, მაგრამ ჩვენ ჩვენი თავა მაგათს ერთგულებასა და სამსახურზე დაგვიძს. რაც უნდა გარდაგვხედეს, წამებად შეგვირაცხია, ოღონდ ეს იქნას, რომელიც იმედი და წყალობა უბრძანებიათ, ვიაჯებით მაგათს მალალს ხელმწიფობასა. რომე რაც იმედი გვაქვან, აღგვისრულონ და შეწუხებულნი არ დაგვაგლონ“.

მაშინდელ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას კარგად ასახავს ვახტანგის სიგელი (1724 წ.) პეტრე დიდისადმი, სადაც უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი მეფე საყვედურობს რუსეთის იმპერატორს, დახმარების ხელი არ გამომიწოდებო.

კახეთის სასულიერო პირთა ვედრებაა გამოთქმული 1724 წელს რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში. საგულისხმოა რაჭის ერისთავის წერილი იმპერატორისადმი: „ღმერთმან ასე მაგათს ურჩს გაუჭიროს საქმე, როგორც ყოველს საქართველოსა და საქართველოს კაცთ

რჯულით და ქვეყნით ურჯულოთაგან ჩვენ საქმე გაგვი-
ჭირდა: ერთი ქვეყნის მომვლელი რამ იყოს, ეს მეფე
ვახტანგ მეფე იყო. ესეც დაგებარებინა და მანდ წამოვი-
და და ასე დაერჩით. ჩვენი საიმედო ამის მეტი აღარა
არის რა, რომ ეგება მაგათგან ერთი ზურგიშობას და ამ
ქვეყანას მოეშველოს, თვარამ, ეს ქვეყნები გაუთათრე-
ბელი არ დარჩება“.

მაგრამ, როგორც ცნობილია, რუსეთიდან დახმარების
ხელი დიდხანს არ ჩანდა. ქვეყანა ნადგურდებოდა უცხო
დამპყრობლების მიერ. გარდა იმისა, რომ ამ უთანასწო-
რო ბრძოლას შეეწირა მრავალი ქართველი მამულიშვი-
ლი, მტერმა დაარბია და ააოხრა მეურნეობის სხვადასხვა
დარგი და ჩვენი ხალხის კულტურის ძეგლები.

დ. ჩუბინაშვილის მიერ მიკვლეული დოკუმენტები
აშკარად მიუთითებენ საქართველოს ორიენტაციას ერთ-
მორწმუნე რუსეთისაკენ. აღნიშნული მასალები ნათელს
ჰფენენ ქართველი ხალხის ბრძოლისუნარიანობას, შინა-
გან სიმტკიცესა და დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს.

ქართული ენისა და მწერლობის საკითხები

დ. ჩუბინაშვილს ქართული ენის შესწავლა სპეცია-
ლური კვლევის საგნად არ გაუხდია, მაგრამ მისი შედგე-
ნილი გრამატიკები გასულ საუკუნეშივე ახალი სალიტე-
რატურო ენის სახელმძღვანელოდ იქნა მიჩნეული.

ცნობები ქართული გრამატიკის შესახებ მან გამოაქ-
ვეყნა თავის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში
რუსულ და ფრანგულ ენებზე, აქვე მოგვცა მეტყველე-
ბის ნაწილების დახასიათება.

ახალგაზრდა მკვლევარმა უთუოდ კარგი საქმე გააკე-
თა, როცა 1846 წელს დაბეჭდილ რუსულ-ქართულ ლექ-
სიკონს მოკლე გრამატიკა დაურთო, რომელშიც მოცე-
მულია არსებითი სახელის, ზედსართავის, ნაცვალსახე-

ლის, ზმნის, თანდებულის, კავშირისა და შორისდებულის რაობა. მკითხველს საშუალება ეძლევა მასში გაეცნოს ხუცური და მხედრული ანბანის წარმოშობის საკითხებს, ქართულ ენაში ბრუნვისა და უღლების წესებს და სხვა.

სწორედ ამ პერიოდში მტკიცე ნიადაგი მზადდებოდა საქართველოს სკოლებში ქართული ენის შემოღებისათვის და, ადვილი გასაგებია, რა დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო დასახელებულ ნაშრომს მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

საგრამატიკო მუშაობა დ. ჩუბინაშვილმა განსაკუთრებით მას შემდეგ გაშალა, რაც ქართული გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენა შესთავაზეს.

ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი გაგზავნილ წერილში იგი სასიამოვნო მოვალეობას უწოდებდა ასეთი სახელმძღვანელოებისათვის ზრუნვას და პირობას იძლეოდა, რომ მის მიერ შედგენილი გრამატიკა დააკმაყოფილებდა ახალგაზრდობის მოთხოვნილებას.

მალე დაწვრილებითი პროგრამაც წარუდგინა სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობას განსახილველად.

1851 წლის 1 მაისს, სასწავლო ოლქის მზრუნველი გ. სემიონოვი ქ. შემახადან სასწავლო სახელმძღვანელოების შემდგენი კომიტეტის ქართული განყოფილების გამგეს დიმიტრი ყიფიანს წერდა: რადგან სახელმძღვანელოები არ გაგვაჩნია, ქართული გრამატიკის, საკითხავი წიგნის და მოკლე ლექსიკონების შედგენისათვის მივმართე პროფესორ დ. ჩუბინაშვილს, რომელმაც იკისრა ასეთი დავალების შესრულება; გიგზავნით მის პროგრამას და გთხოვთ ამ საგანზე მომაწოდოთ თქვენი დასკვნაო.

აღნიშნული გეგმა-პროგრამა ფრიად დამაკმაყოფილებლად შეათვასეს, რის საფუძველზეც დ. ჩუბინაშვილს წინადადება მიეცა შესდგომოდა მუშაობას. ერთი წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ დავითმა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და ქართული გრამატიკა ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობას გაუგზავნა სა-

რეცენზიოდ. „ჩემს მიერ შედგენილი გრამატიკა შეიცავს ქართული ენისათვის დამახასიათებელ წესებს და შეიძლება გამოიციეს რუსულ-ქართულად, ერთად ან ცალცალკე. რუსულად გამოცემის შემთხვევაში მიზანშეწონილად მიმაჩნია იგი უცვლელად დარჩეს, ხოლო ქართულ ენაზე დაბეჭდვისას საჭიროა ოდნავ შემცირდეს, ამოღებულ იქნას სტატიები სიტყვების წარმოშობაზე და ქართულ ლექსთა წყობაზე, რადგან წიგნი გიმნაზიის დაბალი კლასებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვისაა გათვალისწინებულიო,“ — წერდა ახალგაზრდა მეცნიერი და მოითხოვდა გრამატიკა მისივე მეთვალყურეობით გამოცემულიყო.

ქართული სასწავლო სახელმძღვანელოების განყოფილებამ მაღალი შეფასება მისცა ჩუბინაშვილის შრომას, ამასთანავე გამოთქვა ცალკეული შენიშვნებიც, რომელთა ნაწილი ავტორმა გაითვალისწინა.

დ. ჩუბინაშვილი თავდაპირველად ქართული ლექსთწყობის საკითხს სპარსულ წარმოშობას უკავშირებდა, მაგრამ როცა კომისიის წევრებმა მრავალი მაგალითი დაასახელეს ჩახრუხაულის, ფისტიკაურის, წყობილის, ლექსის, ტაეპის, იამბიკოს შესახებ, ეს სადავო მოსაზრება მან გრამატიკაში აღარ შეიტანა. ასევე მიიღო შენიშვნა ნაცვალსახელის ბრუნებაზე და სხვ. მაგრამ ზოგი მათგანი კატეგორიულად უარყო.

პრინციპული კამათი გაიმართა მოთხრობითი ბრუნვის შესახებ. თბილისში მომუშავე მკვლევარები (დ. ყიფიანი, პლ. იოსელიანი, ნ. ფალავანდიშვილი) დაჟინებით მოითხოვდნენ ჩუბინაშვილს გრამატიკაში შეეტანა მოთხრობითი ბრუნვა, რომელიც „ქართული ენის აუცილებელ საკუთრებას წარმოადგენს“.

ანტონ კათალიკოსიდან მოყოლებული ყველა გრამატიკოსი ქართულ ენაში მოთხრობით ბრუნვას აღიარებდა, მაგრამ დავითმა მის აუცილებლობაში ეჭვი შეიტანა, იმ მოტივით, რომ თითქოს მოთხრობითი მან ნაცვალსახელით არის გაფორმებული და იმავე კითხვაზე უპასუხებს, რომელზედაც სახელობითი. ამ აზრს იცავდა მარი ბროსე

და მომდევნო ხანის ზოგიერთი მკვლევარი, მაგრამ, რათქმა უნდა, ისინი ცდებოდნენ. მოთხრობითი ბრუნვის გარეშე ქართული ენა წარმოუდგენელია.

დ. ყიფიანთან ხანგრძლივი დავის შემდეგ ჩუბინა-შვილმა მართლაც შეიტანა ქართულ გრამატიკაში მოთხრობითი ბრუნვა.

თბილისელ მეცნიერებსა და პეტერბურგელ ქართველოლოგებს შორის კამათს იწვევდა სხვა საკითხებიც, მაგრამ რაგინდ საცილობელი არ უნდა ყოფილიყო ნაშრომში გამოთქმული ესა თუ ის დებულება, რუსულ ენაზე დაბეჭდილი მოკლე ქართული გრამატიკა პირველი და ერთადერთი ცდა იყო იმისა, რომ ქართული ენისა და მეტყველების კანონები თვით ქართული ენის ბუნებაზე დაკვირვებით შემუშავებულიყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. ჩუბინაშვილის სახელს უკავშირდება მიმართებითი, ანუ როგორც მან უწოდა, გარდაქმნითი ბრუნვის შეტანა გრამატიკაში. მას ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო დაკვირვებები სუბიექტური ქცევის ფორმებზე, ზმნებზე, ზმნის პრეფიქსებზე, უღლებაზე, ნაცვალსახელზე და სხვ.

1857 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა უცნობი ავტორის რეცენზია დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკის შესახებ. რეცენზენტმა დაუმსახურებლად გაილაშქრა გრამატიკის ავტორის წინააღმდეგ. მისი აზრით, გრამატიკის ძირითად საგანს მართლწერის საკითხების გარკვევა წარმოადგენს. იგი იმეორებს იმ დროს გავრცელებულ მცდარ მოსაზრებას, თითქოს გრამატიკა შედგება მხოლოდ სინტაქსის, ეტიმოლოგიისა და მართლწერისაგან, კონსერვატორულად უყურებს ენის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას და ანტონის „სამი შტილის“ თეორიის თავგამოდებული დამცველის როლში გვევლინება.

შეუძლებელია კაცმა უარყოს ანტონ კათალიკოსის დამსახურება ქართული ენის მეცნიერულად შესწავლის საქმეში, მაგრამ მისი ხელოვნური ენა, ხშირ შემთხვევაში გაუგებარი რჩებოდა არა მარტო მოსწავლე-ახალგაზრ-

დობისათვის, არამედ მკვლევართათვისაც. ამიტომ მე-18-19 საუკუნეების მეცნიერებიც კი აღნიშნავდნენ, რომ გრამატიკის საგანი ქართული საეკლესიო ენა კი არ უნდა იყოს, არამედ სასაუბრო, ძველი ქართული საერო მწერლობის ენაო.

ამის მიუხედავად, „ცისკრის“ უცნობი ავტორი ანტონის გრამატიკის დაბრუნებას მოითხოვდა. ამასთანავე იგი ჩუბინაშვილს ეკამათებოდა, თითქოს ამ უკანასკნელს არ განემარტოს ზოგადი გრამატიკული ტერმინები, შემოეღოს სიტყვების არასწორი მართლწერა (ჩვენ ჩუჭნის ნაცვლად, თქვენ თქუჭნის ნაცვლად და სხვ.), ენის უცოდინრობის გამო შეცდომით გადაეთარგმნოს ბევრი სიტყვა და ერთმანეთში აერიოს მოთხრობითი და მოქმედებითი ბრუნვები.

იმავე წლის ივნისში გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა დ. ჩუბინაშვილის პასუხი. რომელშიც პუნქტობრივადაა გარჩეული „ცისკრის“ ზემოთდასახელებული სტატია. დავითი უარყოფს რეცენზენტის ბრალდებებს და აღნიშნავს, რომ მას ერთმანეთში არ აურევია მოთხრობითი და მოქმედებითი ბრუნვები. მიუთითებს კლასიკური მწერლობის ენის შემოღების აუცილებლობაზე და ყურადღებას ამახვილებს რეცენზენტის სტატიაში დაშვებულ უხეშ გრამატიკულ შეცდომებზე.

„უნდა მოვაგონოთ გამომცემელსა და სტატიის ავტორს, — განაგრძობს იგი, — რომ სამეცნიერო ან ლიტერატურული შრომის სწორი გარჩევა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც საფუძვლიანად ფლობს საგანს, იცის თანამედროვე ხერხები და შეუძლია მისი გამოყენება“.

დ. ჩუბინაშვილი მომდევნო წლებშიც ნაყოფიერად მუშაობდა გრამატიკული ლიტერატურის შევსება-დახვეწისათვის.

„თქვენი გრამატიკა რომ აღარ იშოვებოდა და აღარც სხვებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა ენის სწავლებას ველარ ვახერხებდით“, — წერდა დავითს ერთი თბილისელი მეგობარი. ამიტომაც ძალასა და ენერჯიას

არ იშურებდა, რათა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის სტაბილური სახელმძღვანელო მოემზადებინა.

1887 წელს მან კიდევ გამოაქვეყნა ქართული გრამატიკა, რომელშიც ფართოდაა განხილული ქართული ლექსთწყობა, მეტყველების ნაწილები, ზმნა, სიტყვის წარმოება და სხვ.

დ. ჩუბინაშვილის საგრამატიკო მემკვიდრეობის განხილვისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა მის პრობლემატურ ხასიათს, არამედ უაღრესად დიდ პრაქტიკულ დანიშნულებას. თავის დროზე ამ გრამატიკებმა დიდად შეუწყო ხელი ქართული ენის სწავლების საქმეს. ამ გაგებით, ქართული ენის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის დ. ჩუბინაშვილის დამსახურებას ენათმეცნიერებაში.

გარდა ქართული გრამატიკების შედგენისა, მან დიდი შრომა გასწია აგრეთვე ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებების შესწავლა-პროპაგანდისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია 1846 წელს ორ ნაწილად გამოცემული ქართული ქრესტომათია, რომელიც 14 განყოფილებისაგან შედგება.

ქართულ ქრესტომათიაში შევიდა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, ნაწყვეტი ამირანდარეჯანიანიდან (მოთხრობა მზეჭაბუკის შესახებ), რუსუდანიანი, ვისრამიანი, რაშინის მოკლე დახასიათება, ქილილა და დამანას 7 არაკი, სიგელ-გუჯრები, ცნობები უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებზე, მირიანისა და ვახტანგის ცხოვრება, ცხოვრება ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეებისა, ქეთევანისა და ლუარსაბის წამება, ნაწყვეტი დაბადებიდან, ვეფხისტყაოსანი შესავალი წერილით, აქვე დახასიათებულია თორნიკე ერისთავის მოღვაწეობა და მისი ეპოქა, გარჩეულია ვახტანგ მეექვსის სამართალი.

დ. ჩუბინაშვილმა ქრესტომათიაში შეიტანა ბესარიონ გაბაშვილის სამი ლექსი—„სევდის ბალი“, „ტანო ტატანო“ და „შაენი შაშენი, შავს გალიას შემომსხდარნი“, აგრეთვე დიმიტრი თუმანიშვილის და მზეჭაბუკ ორბელიანის ლექსები. იგი არც ქართულ ფოლკლორს ივიწყებს. ამ მხრივ საინტერესოა ქრესტომათიაში მოთავსე-

ბული 2000-მდე ქართული ანდაზა და ენის გასატეხი გამოთქმა. მართალია, ანდაზები სოციალური თემების მიხედვით არაა განლაგებული, მაგრამ ყურადღებას იქცევს თავისი მრავალფეროვნებით.

მეორედ ქართული ქრესტომათია დ. ჩუბინაშვილმა 1863 წელს გამოსცა; იგი შეესებულება მხატვრული ნაწარმოებების ნიმუშებით. ახალ გამოცემაში შევიდა წამება აბიბოს ნეკრესელისა, წამება წმიდისა აბოსი, სოლომონ ლეონიძის მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ერეკლე მეორის საფლავზე, ყარამანიანი, დავრიშიანი, ვარდუღბულიანი, ზაქარია გაბაშვილის კატის ომი, გურამიანი, თამარიანი, რუხის ბრძოლა. კრებულში ფართოდაა წარმოდგენილი ბესარიონ გაბაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, საიათნოვასა და მე-18 საუკუნის სხვა პოეტების ნაწარმოებები.

ქართული ქრესტომათია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის იმ საუკეთესო ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, რომელიც სულიერ საზრდოს აძლევდა ახალგაზრდობას და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის კულტურულ წინსვლაში.

ამას გარდა დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის წერილები ქართული მწერლობის განვითარების საკითხებზე, ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებაზე და სხვა, რომლებიც ენციკლოპედიურ ლექსიკონებში გამოქვეყნდა. საინტერესოა ი. ბერეჟინის ენციკლოპედიურ ლექსიკონში გამოქვეყნებული სტატია „ქართული ენა და ლიტერატურა“. მასში მიმოხილულია ქართული მწერლობა უძველესი პერიოდიდან მე-18 საუკუნემდე. ქვეყნის პატრიოტის დიდი გულისტკივილი ჩანს შემდეგ სიტყვებში: ოთხი საუკუნის განმავლობაში უმოწყალოდ დაიღუპა შრომისმოყვარე და განათლებული მოღვაწეების შექმნილი ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდიდან შემორჩენილი მრავალი ორიგინალური და თარგმნილი თხზულება და მხოლოდ მე-17 საუკუნის დასაწყისში განახლდა დიდხანს შეწყვეტილი ლიტერატურული მოღვაწეობა.

დ. ჩუბინაშვილი მუდამ უდიდეს ინტერესს იჩენდა

ქართული ხელნაწერების ლიტერატურული და ისტორიული ძეგლების მიმართ, ამ დიდმა სიყვარულმა დაღუპვას გადაარჩინა ერის კულტურული საუნჯე.

ვინ იცის, რაოდენი შრომა გასწია და მსხვერპლი გაიღო ამ საქმისათვის. იგი დიდი სიფრთხილითა და მზრუნველობით ინახავდა და აგროვებდა ძველ ქართულ წიგნებს; სიგელ-გუჯრებს, ისტორიულ რუკებსა და გეოგრაფიულ აღწერილობებს. საგულისხმოა ის, რომ ათეული წლების განმავლობაში ოფლითა და ჯაფით შეგროვილი ეროვნული განძი მან, როგორც უკვე ითქვა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება.

ლექსიკოლოგიური ნაშრომები

ქართულ-რუსულ-ფრანგული და რუსულ-ქართული ლექსიკონების გამოქვეყნებით დ. ჩუბინაშვილმა იმთავითვე მიიქცია ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება, ნაშრომები აშკარად მიუთითებდა ავტორის დიდ შრომისმოყვარეობაზე, განსწავლულობასა და ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობის ღრმა ცოდნაზე.

ლექსიკონების საფუძვლიან გაცნობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ შემდგენელს ხელი მიუწვდებოდა დიდძალ ენობრივ მასალაზე და, რაც მთავარია, წინამორბედი სწავლულების ლექსიკოლოგიურ მემკვიდრეობაზე. იგი უხვად იყენებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ძველ ქართულ ხელნაწერებს, საეკლესიო და საერო მწერლობას და სხვა მასალებს. არაბულის, სპარსულისა და თურქულის ცოდნა საშუალებას აძლევს კრიტიკულად მიუდგეს ამ ენებიდან ქართულში შემოსულ სიტყვებს.

ლექსიკოლოგიურ ნაშრომებს მან საფუძვლად დაუდო სულხან-საბა ორბელიანისა და თავისი სახელოვანი ბიძის—ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონე-

ზი. იოანე ბატონიშვილის მცენარეთა, პირუტყვთა, ქვე-
წარმავალთა აღწერილობა, კათოლიკოსი მისიონერი ფი-
ლიპეს მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური ბოტანიკუ-
რი ლექსიკონი, რეიფის რუსულ-ფრანგული ეტიმოლო-
გიური და სოკოლოვის საეკლესიო სლავურ-რუსული
ლექსიკონები, იანოვსკის მიერ გამოცემული სიტყვების
განმარტებები, აგრეთვე რუსეთის აკადემიის ლექსიკონი
და აღმოსავლურ ენათა ლექსიკონები.

ამათ გარდა, გამოიყენა ისეთი სანდო წყაროები, რო-
გორცაა ძველი და ახალი აღთქმა, ქართლის ცხოვრება,
სიგელ-გუჯრები, სამართლის წიგნები, ვეფხისტყაოსანი,
ამირან-დარეჯანიანი, აბდულმესია, ვისრამიანი, თამარი-
ნი, აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის,
ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილისა და სხვათა ნაწარმოებე-
ბი, აგრეთვე პერიოდული გამოცემები და ხალხური ზე-
პირსიტყვიერება.

1840 წელს დაბეჭდილი ქართულ-რუსულ-ფრანგული
ლექსიკონის პირველმა ოფიციალურმა რეცენზენტმა მა-
რი ბროსემ ნაშრომი ქებით მოიხსენია, ხოლო მისი ავტო-
რი გამოჩენილი ფრანგი ლექსიკოგრაფის ლიტრეს ღირ-
სეულ მემკვიდრედ გამოაცხადა.

ეს მაღალი შეფასება დ. ჩუბინაშვილმა მომდევნო ხა-
ნებში გამოცემული ლექსიკონებითაც გაამართლა.

მასალების დალაგებისა და განმარტების საქმეში იგი
მოგვევლინა, როგორც დამოუკიდებელი მკვლევარი-ლექ-
სიკოგრაფი, რომელიც ღირსეულად აგრძელებს წინამორ-
ბედი ავტორების კარგ ტრადიციებს. მან შემოქმედები-
თად წარმართა ლექსიკოლოგიური სამუშაოები და ყოვე-
ლი შესაძლო შემთხვევა მოხერხებულად გამოიყენა იმი-
სათვის, რომ მხედველობიდან არ გამორჩენოდა ენის
არც ერთი ანგარიშგასაწევი ლექსიკური ერთეული.

დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი გა-
მოირჩევა მაღალი მეცნიერული ღირსებებით. იგი ემყა-
რება მდიდარ ლიტერატურულ წყაროებს. განსაკუთრე-
ბით ყურადღებას იქცევს სიტყვების განმარტებები და
თარგმნის სიზუსტე. ლექსიკური ერთეულების განსაზღ-

ვრისას იგი დიდ ანგარიშს უწევს სულხან-საბა ორბელიანის, მეტადრე საკუთარი ბიძის ნაშრომებს. იგი ან სიტყვა-სიტყვით იმეორებს მათ განმარტებებს, ან იღებს მათ-ოდნავი რედაქციული ცვლილებებით, ანდა იძლევა ახლებურ განმარტებას. ავტორი ცდილობს ესა თუ ის სიტყვა იმის მიხედვით ახსნას, რა მნიშვნელობითაც იხმარება იგი თანამედროვე სასაუბრო ენაში, ამასთანავე აჩვენოს მისი მნიშვნელობის ისტორია.

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინამორბედი მკვლევარების მსგავსი ნაშრომებისაგან. განსხვავება შეეხება როგორც შინაარსს, ისე მოცულობას. ჩვენი ავტორის ლექსიკონებში თითქმის ორჯერ და სამჯერ მეტი სიტყვობრივი ერთეული გვხვდება. ქართულ-რუსულ-ფრანგულ-ლექსიკონში შეტანილია 21 ათასზე მეტი სიტყვა, ხოლო 1887 წელს გამოცემული ქართულ-რუსული ლექსიკონი 33.500-მდე სიტყვას შეიცავდა. ლექსიკური მასალის რაოდენობით დ. ჩუბინაშვილის ნაშრომები წინ უსწრებს ყველა მანამდე არსებულ ასეთი ხასიათის ლექსიკონს. იგი არის თავისი დროისათვის აკადემიური სიღრმით და პროგრესულ მეთოდოლოგიურ პრინციპზე აგებულ სრული განმარტებითი ლექსიკონი.

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელმა თავისი ლექსიკონის უკანასკნელი რედაქცია მაშინ დაასრულა, როცა ქართული მწერლობა აღმავლობის გზით მიდიოდა. სწორედ ამ პერიოდში გამოიკა ჩვენი კლასიკოსების ნაწარმოებები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და ბევრი სხვა მასალა, რომელიც ამდღისთვის ქართულ ენას. გარდა ამისა, ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ ბევრი მოძველებული სიტყვა განდევნა სასაუბრო ენიდან და მათ ნაცვლად სხვა ლექსიკური ერთეულები დაამკვიდრა. დავითმა ლექსიკონის შედგენა დროის მოთხოვნილებას დაუკავშირა, ნაშრომში უცხო წარმოშობის ნაკლებად გავრცელებული სიტყვების ხარჯზე ახალი ლექსიკური მასალა შეიტანა და დახვეწა განმარტებები. ზმნის პირიანი ფორმების ნაცვლად შემოიღო

სახელზმნები. ლექსიკონში ბევრი ისეთი სიტყვაც გამოიყენა, რომლებიც მანამდე ქართულ ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში ნაკლებად, ან საერთოდ, არ იყო ცნობილი, რითაც გაამდიდრა ქართული ენა და ამ მხრივ კვლევა-ძიების საქმე ახალ საფეხურზე აიყვანა.

ახალი სიტყვების განმარტებებთან ერთად დ. ჩუბინაშვილმა ახალ გამოცემაში კიდევ უფრო სრულყოფილი სახე მისცა წინა ლექსიკონებში შესულ სიტყვობრივ ერთეულებს.

დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: თუ 1858 წელს დაბეჭდილ ლექსიკონში ასო ა წარმოდგენილი იყო 266 სიტყვით, 1887 წელს გამოცემულ ნაშრომში ავტორი 303 სიტყვას განმარტავს. ა ბ-ზე მოცემული იყო მხოლოდ 2 ლექსიკური ერთეული (ანიшировать — დავიჭირავენ თეატრში ლოქას, априс — მხატვრობის მოხაზულობა), ბოლო გამოცემაში მსგავსი სიტყვების რაოდენობა 11-ს შეადგენს, საგულისხმოა, რომ ადრე განმარტებულ სიტყვებშიც ცალკეული კორექტივებია შეტანილი. (азажур — სანთლის საჩრდილობელი, азаз — აბაზი, ოთხშაურიანი, аратство — წინამძღურობა, საწინამძღვრო, арат — წინამძღვარი, კათოლიკეთ მონასტრისა. аниement — დაკვეთა თეატრის ადგილისა და სხვ. аниировать — დავიწინდავ, დავიკვეთ თეატრში ლოქას ან წიგნებს საკითხავად. аордаж — შეჯახება ორთა მებრძოლთა ხომალდთა. аборигены — უპირველესნი მცხოვრებნი ადგილისა. априкос — ჭერამი, გარგარი. априс — პირველი მოხაზულობა მხატვრობისა. асопютный — კერძობითი, განთვისებით).

ასო ც და შ 1858 წლის გამოცემაში წარმოდგენილია 106 და 250 სიტყვით, 1887 წლის ლექსიკონში კი იგივე ასოებზე შესაბამისად განმარტებულია 132 და 366 სიტყვობრივი ერთეული.

ლექსიკოლოგიურ დარგში დ. ჩუბინაშვილს ბევრი წინამორბედი ჰყავდა, პირველ რიგში, მისი უშუალო წინამორბედი საკუთარი ბიძა იყო, რომელმაც მომავალ გამოჩენილ ფილოლოგსა და ისტორიკოსს სიყრმიდანვე შე-

აყვარა ქართული ლექსიკონი. ნიკოლოზის ნაშრომი ჩუბინაშვილების საგვარეულო ლექსიკონად ითვლებოდა და ცხადია, დავითს ყველაზე უფრო მასზე მიუწვდებოდა ხელი.

როგორც პროფესორმა ალ. ღლონტმა გამოარკვია, დ. ჩუბინაშვილს თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონში თითქმის მთლიანად გამოყენებული აქვს ნ. ჩუბინაშვილის მასალები. ცალკეულ შემთხვევაში, იგი შეტანილია უკრიტიკოდ, ყოველგვარი გადაკეთება-გადამუშავების გარეშე. ნიკო ჩუბინაშვილიდან აღებული ლექსიკური მასალა ლექსიკონში გვხვდება სამგვარი რედაქციით: სიტყვასიტყვით; წყაროს უჩვენებლად, სიტყვასიტყვით, წყაროს ჩვენებით და ოდნავი ჩედაქციული ცვლილებით.

დავითი არ უარყოფდა ნიკოლოზის როლს მის ლექსიკოლოგიურ საქმიანობაში. 1846 წელს გამოცემულ რუსულ-ქართული ლექსიკონის წინასიტყვაობაში მან დიდი სიყვარულით მოიხსენია თავისი ბიძის დამსახურება აღნიშნული ნაშრომის შედგენის საქმეში, ამ დიდ სიყვარულზე ისიც მიუთითებს, რომ დავიწყებას არ მისცა ბიძის ნაშრომი და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონასთან“ ერთად გამოიყენა იგი თავისი ლექსიკონის საფუძვლად.

ქართველი საზოგადოება მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკოლოგიის მემკვიდრეობას. უურნალ-გაზეთებში ქება-დიდებას ასხამდნენ სახელოვანი თანამემამულის ნაყოფიერ მოღვაწეობას. მის ნაშრომებზე აღიზარდა ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობა. „ჩუბინაშვილმა თავის ლექსიკონების შემუშავებას მრავალი წელიწადი და დიდი შრომა მოახმარა, ბევრი ჯანი, ოფლი და თვალის სინათლე შეაღია, რისთვისაც ღირსია მადლობისაო“, — წერდა რაფიელ ერისთავი გაზეთ „ივერიაში“.

ეს მადლობა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობით დაიმსახურა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დ. ჩუბინაშვილმა მთელი შეგნებული ცხოვრება ლექსიკოლოგიური მასალების შეგროვება-

შესწავლის საქმეს შეაღია და ღრმა კვალი დააჩნია ქართული ლექსიკოლოგიის განვითარებას, რითაც ხელი შეუწყო მშობელი ხალხის კულტურულ წინსვლას.

მისი მოღვაწეობიდან დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ქართულმა ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა ულიდეს წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ დ. ჩუბინაშვილის მეცნიერული, განსაკუთრებით კი ლექსიკოლოგიური ნაშრომები მუდამ დიდ სამსახურს გაუწევს ქართველ ახალგაზრდობას.

დავით ჩუბინაშვილი და ქართული კულტურა

მოღვაწე ქმნის და ამით თავისი მშობელი ერისადმი ვალდებულებას იხდის; მაგრამ თუ მის შემოქმედებას და მოღვაწეობას იმდენად დიდი ღირებულება აქვს, რომ თანამედროვეთათვის კი არა, შემდეგდროინდელ და მომდევნო საუკუნეთა თაობათათვისაც ძვირფას განძად რჩება, მაშინ მათაც, თავიანთ მხრივ. ამ მოღვაწის ხსოვნისადმი ზნეობრივი მოვალეობა უჩნდებათ.—აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ეს სიტყვები თავისუფლად გამოდგება დავით ჩუბინაშვილის მამულიშვილური მოღვაწეობის შესაფასებლად.

დავით ჩუბინაშვილი იყო პირველი ქართველი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მრავალმხრივი მოღვაწე, რომელმაც სახელსა და დიდებას ჰმატებდა ქართულ კულტურას. ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსეთის სატახტო ქალაქში მას ღირსეულად ეჭირა ქართული მეცნიერებებს დროში. არ იშურებდა ნიჭსა და გამოცდილებას, რათა სამშობლოსათვის აღეზარდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის უფროსი თაობის წარმომადგენლის უშუალო ხელმძღვანელობით ქართველ ინტელიგენტთა მრავალი თაობა აღიზარდა.

დ. ჩუბინაშვილის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთში ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლების შემოღება, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ქართული ენის კათედრის გახსნა და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში ქართულად ლექციების კურსის წაკითხვა, 30 წლის მანძილზე იგი წარმართავდა მშობლიური ენისა და მწერლობის საუნივერსიტეტო სწავლებას.

სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა დ. ჩუბინაშვილს ისეთ პირობებში მოუხდა, როცა შეუსწავლელ-გამოუქვეყნებელი იყო ისტორიული თუ მხატვრული ნაწარმოებები და ჩვენი კულტურის მრავალი ძეგლი. ეს კი მკვლევარს აიძულებდა ერთდროულად ეკისრა ისტორიკოსის, ფილოლოგის, ენათმეცნიერის, არქეოგრაფისა და კიდევ სხვათა მოვალეობა და კომპლექსური მეცნიერული სამუშაოები შეესრულებინა.

მან თავიდანვე სწორად წარმართა მუშაობა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. პირველი სერიოზული გამარჯვება ქართულ ლექსიკოლოგიაში მოიპოვა, როცა 23 წლის ჭაბუკის ნაშრომს — ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დემიდოვის პრემია მიანიჭა. მის მიერ გამოცემული ქართული ქრესტომათიები, შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები, ქართლის ცხოვრება, ქართული გრამატიკები, — ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის პროპაგანდის საქმეს.

გარდა ამისა, დ. ჩუბინაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლების მოსწავლეებისათვის პან მოამზადა დამხმარე სახელმძღვანელოები, ეხმაურებოდა ყოველ ახალ წამოწყებას, ბეჭდავდა სტატიებს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, რჩევა-დარიგებებს აძლევდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. იგი ყველა კულტურულ-სამეცნიერო საზოგადოების აქტივისტად

ითვლებოდა, ხოლო საპატრიოწვერი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

ჩუბინაშვილი ყველაფერს აკეთებდა ქართული კულტურის პროპაგანდისათვის. რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებებში მოხსენებებს კითხულობდა ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე. საერთაშორისო კონგრესებისა და რუსეთის არქეოლოგთა ყრილობების დელეგატებს აცნობდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის ახალ-ახალ მიღწევებს, მიმოწერა ჰქონდა ევროპელ სწავლულებთან.

ვუკოლ ბერიძის სიტყვით, ქართველთაგან დ. ჩუბინაშვილი ევროპული მასშტაბის პირველი ქართველოლოგია, რომელმაც ჩვენი კულტურის დიდება რუსეთის ფარგლებს გარეთ გაიტანა.

დავით ჩუბინაშვილი იყო იშვიათი კულტურული ადამიანი და ჩვენი ქვეყნის აღორძინების დიდი გულშემატკივარი. მისი მემკვიდრეობის გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ იგი რიგითი მეცნიერი კი არა, მკვლევართა აღმზრდელი და წინამძღოლი იყო.

თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში მან იმდენი რამ გააკეთა, იმდენი ამაგი დასდო მშობელი ქვეყნის კულტურულ წინსვლასა და ქართული მეცნიერების განვითარების საქმეს, რომ დ. ჩუბინაშვილის სახელი დაუვიწყარი იქნება საქართველოში. ამის საწინდარია სახელოვანი მამულიშვილის მთელი ცხოვრება და შემოქმედება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინაპრები, ბავშვობისა და სტუდენტობის წლები	3
პირველი ნაბიჯები	17
დავით ჩუბინაშვილი და ქართული ენის სწავლება პეტერბურგში	26
დ. ჩუბინაშვილი და ქართველი საზოგადოებრიობა	51
უნივერსიტეტის წემდგომი წლები	65
რუსთველოლოგიური დაკვირვებები	77
საქართველოს ისტორიის კვლევა	83
ქართული ენისა და მწერლობის საკითხები	97
ლექსიკოლოგიური ნაშრომები	104
დ. ჩუბინაშვილი და ქართული კულტურა	109

НАШИ СЛАВНЫЕ ПРЕДКИ

Кинцурашвили Корнелий Калистратович

ДАВИД ЧУБИНАШВИЛИ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1970

რედაქტორი ნ. ქართველიშვილი, მხატვარი გ. გორდე-
ლაძე, მხატვრ. რედაქტორი შ. დოლიძე, ტექრედაქტო-
რი ნ. შველიძე, კონტროლიორ-კორექტორი ე. ჭიჭია
კორექტორები: თ. შინდაგორიძე და ნ. ანთელავა, გამო-
მშეები ვ. პირველი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/111-70 წ.. ქალაქის
ზომა 84 × 108¹/₃₂, ნაბეჭდი თაბახი, 5.9 სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 5 უე 00227 ტირაჟი 5 000
შეკვ № 19 ფახი 21 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყ-
ვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვე-
ლობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома
Государственного Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцелაძე, 5